

მართლმსაჯულება **1**'11
კანონი

Justice and Law Legal Journal
#1(28)'11

N1(28)'11

მართლმსაჯულება



კანონი

რედაქტორი

ნინო ძიციგური

რედაქტორის თანაშემწე

ირმა ბეჰაური

ნომერზე მუშაობდნენ:

ინგა ალავიძე

ლეილა კოშკაძე

მარინე ვასაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

ფოტოურუნველყოფა:

დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:

დინა ბერეკაშვილი

თამარ ჯამბახიძე

ინგა კვაჩანტირაძე

კონსტანტინე კუბლაშვილი

ზაზა მემიშვილი

ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:

DIANA BEREKASHVILI

TAMAR ZAMBAKHIDZE

INGA KVACHANTIRADZE

KONSTANTINE KUBLASHVILI

ZAZA MEISHVILI

VALERI TSERTSVADZE

Editor:

NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:

IRMA BEKAURI

The issue was prepared by:

INGA ALAVIDZE

LEILA KOSHKADZE

MARINE VASADZE

Designed by

BESIK DANELIA

Photo support by

DAVIT KHIZANISHVILI

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უპკ (UDC) 340.11+340.130.5

მ-306

ISSN 1512-259X



საპარტვილოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

5

მალხაზ გურული: „სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა გაზრდილია“

MALKHAZ GURULI: "PUBLIC TRUST TOWARD COURTS IS INCREASED"

13

ჯონი ხეტურიანი

საქართველოს სახელმწიფო ენა

STATE LANGUAGE OF GEORGIA

JOHN KHETSURIANI

31

ირმა პერანიძე

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი სამოქალაქო სამართალწარმოებაში

THE THIRD PARTY IN CIVIL PROCEEDINGS WITHOUT SEPARATE CLAIM

IRMA PERANIDZE

41

სიმონ ჩხაიძე

მრავალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებაში

MULTITUDE OF DEBTORS AND CREDITORS IN LIABILITY

SIMON CHKHAIDZE

56

ზურაბ ჭყონია

სამოქალაქო სამართალწარმოებისა და აღსრულების საკითხები საბჭოთა საქართველოში

ISSUES OF CIVIL PROCEEDINGS AND EXECUTION IN THE SOVIET GEORGIA

ZURAB CHKONIA

72

ლაურა მიქავა

ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება

VINDICTIVE APPEAL AS LEGAL MEANS OF PROTECTING THE PROPERTY RIGHT

LAURA MIKAVA

89

დავით მესხიშვილი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

UNITED NATIONS CONVENTION AGAINST TRANSNATIONAL ORGANIZED CRIME

DAVID MESKHISHVILI

101

გიორგი დგებუაძე

კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების - JOINT CRIMINAL ENTERPRISE დოქტრინის შექმნისა და გამოყენების აუცილებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში

NEED FOR CREATION AND USAGE OF THE JOINT CRIMINAL ENTERPRISE DOCTRINE IN THE INTERNATIONAL CRIMINAL LAW

GEORGE DGBUADZE

111

აღამ მახარაძე

სასჯელის დანიშვნის საკითხისათვის თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში

THE PUNISHMENT INDIVIDUALIZATION MATTER IN COMMITTING CRIME WITH ACCEESSARY

ADAM MAKHARADZE

123

ნინო ოსაძე

ფულის გათეთრება ოფშორული ზონების გამოყენების გზით

MONEY LAUNDERING THROUGH OFFSHORE ZONES

NINO OSADZE

131

ახალი წიგნები

„სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა გაზრდილია“

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მალხაზ გურული აცხადებს, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წელს საკმაოდ პროდუქტიულად იმუშავა და წინა წელთან შედარებით გაცილებით მეტი საქმე განიხილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმიანობის, მიმდინარე რეფორმისა და მოსალოდნელი სიახლეების შესახებ გთავაზობთ ინტერვიუს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, მალხაზ გურულთან.

ბატონო მალხაზ, გასული წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი და, შესაბამისად, ამოქმედდა სრულიად ახალი ტიპის მართლმსაჯულება. უკვე ოთხი თვე გავიდა და საინტერესოა, როგორ „მოერგო“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ახალ პროცესს?

– სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებით სრულიად შეიცვალა სისხლის სამართალწარმოება. ეს

არის პროცესი, რომელიც დაფუძნებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ნიშნავს, რომ მხარეების კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე, რომელიც პროცესზე მხოლოდ არბიტრის როლშია და მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს აფასებს.

რაც შეეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ჩვენ ისევე, როგორც მთლიანად სასამართლო სისტემა, მომზადებული შევხვდით ამ ცვლილებებს. მოსამართლეები ორი წლის განმავლობაში ინტენსიურ ტრენინგებს გადიოდნენ, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ექსპერტებთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის იმპლემენტაცია წარმატებით მიმდინარეობს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სასამართლოა, ემსახურებით დასავლეთ საქართველოს, ამიტომაც, საინტერესოა, თქვენი ანალიზი, როგორ შეაფასებდით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მუშაობას 2010 წელს?

– სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წელს საკმაოდ პროდუქტიულად იმუშავა და წინა წელთან შედარებით უფრო მეტი საქმე დაასრულა.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს შემოღებული იქნა სასამართლო გადაწყვეტილების ახალი ფორმები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლის მეშვეობითაც, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უფრო დაიხვეწა და მოქალაქეებისათვის ადვილად აღსაქმელი გახდა.

სასამართლოში მოეწყო ვიდეოკონფერენციის და საპრეზენტაციო დარბაზები, რომლის მეშვეობითაც, სასამართლო პროცესზე აღარ იქნება საჭირო რეგიონებიდან მოწმეების ჩამოყვანა. ისინი დაიკითხებიან სასამართლოში თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

ადმინისტრაციული მართლმსაჯულება საქართველოში 10 წელია რაც მოქმედებს, შეიძლება თქმა, რომ ის მაინც ახალი რგოლია მართლმსაჯულებისათვის როგორ შეაფასებდით თქვენი სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის საქმიანობას? მით უმეტეს, რომ ადმინისტრაციული დავისას, ერთმანეთის პირისპირ დგას მოქალაქე და სახელმწიფო, საჯარო სამსახურის სახით. როგორი მაჩვენებელი აქვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს – გადაწყვეტილებების რამდენი პროცენტია მოქალაქეების სასარგებლოდ გამოტანილი?

– პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ადმინისტრაციული სამართალწარმოების მხრივ, საქართველო ლიდერია და ეს ნათლად დადასტურდა ცოტა ხნის წინათ კიევში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები თავიანთ მოხსენებებში ხაზგასმით საუბრობდნენ იმ წარმატებების შესახებ, რომელსაც საქართველომ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მხრივ ამ 10 წლის განმავლობაში მიაღწია.

რაც შეეხება მოქალაქეთა სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, არსებული მონაცემებით, გადაწყვეტილებების 60 პროცენტი მათ სასარგებლოდ გამოდის.

სასამართლოს საქმიანობის მაჩვენებელი მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხია. როგორ ფიქრობთ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია აკმაყოფილებს თანამედროვე სასამართლოს სტანდარტებს?

– გეთანხმებით, რომ სასამართლოს საქმიანობის მაჩვენებელი მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხზეა დამოკიდებული. გადაწყვეტილებების ხარისხს კი განსაზღვრავს, თუ რამდენად ხშირად ხდება მათი შეცვლა ზემდგომი ინსტანციის მიერ. ჩვენი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, საკასაციო წესით გასაჩივრებული საქმეების უმეტესობა ძალაში რჩება, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

თუმცა, მთავარი შემფასებელი მაინც საზოგადოებაა, როგორ ფიქრობთ, გაიზარდა თუ არა საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ?

– ჩვენი საქმიანობის ყველაზე ობიექტური შემფასებელი არიან ის მოქალაქეები, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდათ სასამართლოსთან. 2010 წელს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა აშკარად გაზრდილია და იგი საშუალოდ, დაახლოებით, 60 პროცენტს შეადგენს.

საინტერესოა, თქვენი აზრი კოდექსით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან სიახლესთან – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით. ამ ინს-



მალხაზ გურული – 1996 წელს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ეკოლოგიის პოლიციის ქვეგანყოფილებაში უფროს მომკვლევ ინსპექტორად მუშაობდა.

1998 წელს, იუსტიციის სასწავლო ცენტრში წარმატებით გაიარა სამთვიანი სასწავლო კურსი მოსამართლის თანაშემწის თანამდებობის დასაკავებლად.

1999-2004 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ – სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატაში და სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში.

2003 წელს, წარმატებით ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. 2004 წელს, ასევე წარმატებით ჩააბარა ადვოკატთა

საკვალიფიკაციო გამოცდა. 2004-2005 წლებში მუშაობდა შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში, პროკურორად.

2005 წელს, ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. იმავე წელს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, დაეკისრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

2006 წელს, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის დადგენილებით აირჩიეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.

2007 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დაეკისრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 2007 წლის 31 ივლისის №6 დადგენილებით, აირჩიეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.

2007 წლის 15 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინიშნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ.

2007 წლის 15 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინიშნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ.



ტიტუტს გარდა მომხრეებისა, მოწინააღმდეგეებიც მრავლად ჰყავს, რომელთა მტკიცებით, ეს ინსტიტუტი საქართველოში ვერ იმუშავებს.

– ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებით მოქალაქეებს მიეცათ შანსი პირდაპირ ჩაერთონ მართლმსაჯულების განხორციელებაში და გადაწყვიტონ პიროვნების დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის საკითხი, თავის თავზე გამოცადონ, თუ როგორი რთულია მოსამართლეობა, რაც გამოიწვევს მათი მართლმეგნების ამალგებას და ხელს შეუწყობს სასამართლოს იმიჯის კიდევ უფრო გაზრდას.

ამ ინსტიტუტის მოწინააღმდეგეების არგუმენტები ძირითადად, ის არის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერ იქნება ჩვენს ქვეყანაში წარმატებული, რადგან პატარა ქვეყანაა და ნათესაური კავშირები ძალზე გავრცელებულია. ეს არის აბსურდული მოსაზრება, რადგან გასათვალისწინებელია იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც საქართველოს ჰგავს. ამ მხრივ, ალსანიშნავია შოტლანდია, რომელიც ასევე, პატარა ქვეყანაა და საზოგადოებაც ახლო კავშირებზე არის დაფუძნებული. ამის მიუხედავად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შოტლანდიაში მაინც წარმატებით მუშაობას.

რა აზრის ხართ კიდევ ერთ სიახლეზე – საკონსტიტუციო ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეები უვადოდ უნდა დაინიშნონ?

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილება და სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური ნაბიჯი. უვადოდ დანიშნულ მოსამართლეს სტაბილურობის და დამოუკიდებლობის უფრო მეტი გაცნადა აქვს.

სასამართლო რეფორმის რამდენიმე წლიანი გეგმა არსებობს, საინტერესოა, რეფორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში როგორ მიმდინარეობს, რეფორმის რომელ ეტაპზე ხართ ახლა და 2011 წლისთვის რა სიახლეებს გეგმავთ?

– საქართველოში სასამართლო რეფორმა წარმატებულად მიმდინარეობს. ამის თქმის საშუალებას მაძლევს სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, სასამართლოს მომხმარებელთა ნდობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

რაც შეეხება სიახლეებს, 2011 წლისთვის ვგეგმავთ საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის ამოქმედებას, რაც ნებისმიერ მოქალაქეს სასამართლოში წარმოებული მისი საქმის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების საშუალებას მისცემს.

PUBLIC TRUST TOWARD COURTS IS INCREASED

Chairman of the Kutaisi Appellate Court – one of the biggest courts in Georgia, Malkhaz Guruli states that according to the statistics, year 2010 was quite productive for this court and has deliberated much more cases compared to the previous year.

To review activities, reforms and anticipated novelties, we offer interview with the Chairman of Kutaisi Appellate Court, Mr. Malkhaz Guruli.

Mr. Malkhaz, starting October 1, last year, new Criminal Procedure Code entered the legal force and accordingly, entirely new model of administration of justice in enforced. 4 months passed and it is interesting, how Kutaisi Appellate Court adjusted to the novelties?

– New Criminal Procedure Law completely changed criminal proceedings. This process is based on the adversarial principle between the parties. This means that the decision of a judge completely depends on the competence of the parties. Judge has the role of arbiter and evaluates the evidences presented by the parties.

As for the Kutaisi Appellate Court, we as well as the entire judiciary, were ready for these changes. Judges had been trained during two years with Georgian as well as international experts. We can easily say that the implementation of the new Criminal Procedure Code is successful.

Kutaisi Appellate Court is one of the biggest courts, you cover west Georgia, thus it is interesting to know your analysis, how would you evaluate the work of Kutaisi Appellate Court in 2010?

– According to the statistics, Kutaisi Appellate Court worked very productively in 2010 and finished more cases than last year.

It has to be mentioned that the new templates were introduced for civil and administrative cases in 2010. This facilitated improvement of the decisions and making them easier to understand for the citizens.

Video Conference and presentation rooms have been arranged in the court. Through that there will be no need to bring witnesses from the regions and they will be questioned in the court according to their residence – this will facilitate ensuring speedy and effective administration of justice.

Administrative case proceeding is enforced in Georgia for 10 years, it being relatively new, how would you evaluate the work of administrative collegium? It is especially interesting as during this proceeding we have a citizen and the state, through the public service, as opposing parties. What is the statistics of the Kutaisi Appellate Court – what is the percentage of the decisions made in favor of the citizens?

– Among the post soviet countries, Georgia is leader in administrative case processing and this was proved at the recent international Conference held in Kiev. Representatives of different countries spoke about the success that Georgia achieved in this field during the last 10 years.

As for the percentage of court decisions made in favor of citizens, 60 % of the decisions are made in favor of them.

Indicator of the court's work is the quality of the court decisions. Do you think the competence and qualification of the Kutaisi Appellate Court judges comply with modern standards in the courts?

– I agree – indicator of the court work depend on the quality of the court decisions. Quality of the decisions is verified when and how often they are appealed and changed in the upper instances. According to the statistics of our court, the majority of the decisions that are appealed in the cassation, are maintained – this confirms the competence and high qualification of the Kutaisi Appellate Court judges.

However, the main appraiser is public; do you think the public confidence towards judiciary has increased?

– The most objective assessors of our activities, are those citizens that had to deal with the courts. According to the surveys conducted by different international research organizations, the public confidence towards courts has clearly increased and composes 60-65 %.

It is interesting to know your opinion regarding the most important novelty of the Code – Jury Trial. This institute had many supporters as well as many opponents, who argue that this institute will not work in Georgia.

– Through introducing the jury trial court, citizens got opportunity to directly participate in the administration of justice and decide the guilt and innocence of a person; to judge themselves how difficult it is to be a judge. This is result in raising their legal awareness and will facilitate improvement of the court image.

The opponents of this institute mainly refer to the fact that the country is small and connections are too strong

– thus this institute will not work. This is absurd because we have to see the experience of the countries similar to Georgia. For example Scotland that is also a small country and society is based on the strong connection. Regardless this, jury trial is very successfully implemented in Scotland.

What do you think about one more novelty – constitutional amendment according to which judges will be appointed for the lifetime?

– This is a significant constitutional amendment and one of the most positive steps in the judicial reform. Judge appointed for life will have higher sense of stability and independence.

There is the plan of the judicial reform for the years to come. It is interesting to know how is the reform going on in Kutaisi Appellate Court. At which stage are you currently and what kind of novelties do you plan for 2011?

– Judicial reform is successfully implemented. The surveys conducted by different international organizations allow me to say this – confidence of court consumers towards the judiciary is quite high.

As for the novelties, in 2011 we plan to start implementation of the new electronic case management program that will allow all the citizens to receive detailed information on his / her case in the proceeding.

საქართველოს სახელმწიფო ენა

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

ქართული ენა უძველესი ენაა, რომელსაც უნიკალური დამწერლობა აქვს ქართული ანბანის სახით. მსოფლიოში 14 ანბანია, მათ შორის, ერთ-ერთი ქართულია. მართალია, ქართული წერილობითი ძეგლები დღეისათვის მხოლოდ V საუკუნიდან მოგვეპოვება, მაგრამ ქართული დამწერლობის შემოღებას XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ფარნავაზ მეფის (ძვ.წ. III ს.) დამსახურებად მიიჩნევს, რომელმაც „განავრცო ენა ქართული და არლარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული.“¹

ქართული ენა არა მხოლოდ საერო ენაა. IV საუკუნიდან, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ქართული ენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ღვთისმსახურების ენაც გახდა.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა ქვეყანაში წერა-კითხვისა და განათლების გავრცელებაში. ეკლესია-მონასტრებთან იყო სკოლები და აკადემიები (გელათში, იყალთოში), სადაც ეკლესიის მეცნიერი მსახურნი ეწეოდნენ მნიგნობრულ მოღვაწეობას. მათ შექმნეს ეროვნული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის, ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები.

ქართული ენა აძლიერებდა ეროვნული ერთიანობის შეგნებას. კულტურასთან, რელიგიასთან და ისტორიასთან ერთად ქართუ-

ლი ენა ეროვნულობის, ნაციონალური იდენტობის უმთავრესი ნიშანი იყო. იგი ყოველთვის ეროვნული მთლიანობისა და კონსოლიდაციის მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა და ქართველთა კულტურულ და ეთნიკურ ერთობას უზრუნველყოფდა. სამეფოებად და სამთავროებად საქართველოს დაშლისა და დაქუცმაცების დროსაც კი, ქართული ენა სრულიად საქართველოს მნიგნობრობისა და ეკლესიის ენად რჩებოდა. სწორედ ამიტომ ამბობდა გიორგი მერჩულე (X ს.), რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების.“²

ქართულმა ენამ და დამწერლობამ მრავალ ისტორიულ ქარტეხილს გაუძლო და მიუხედავად ქართული სახელმწიფოს არა თუ დაშლისა და დანაწევრების, არამედ მისი სრული გაუქმების დროსაც კი, განაგრძობდა არსებობასა და განვითარებას. ქართველი ერის ისტორიის ამ მონაკვეთში, ქართული ენა სახელმწიფოებრიობანართმეულ ქართველთა ეროვნული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების, ქართველთა გადაგვარებისაგან გადარჩენის უმთავრეს ძალას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის დამდეგს, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას შედეგად მოჰყვა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. ქართულ ენას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ფუნქცია დაეკარგა, რადგან აღარ არსებობდა ქართული სახელმწიფო – საქართველო.

მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, ცარისტული რუსეთი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ქართული ეროვნული ერთობის მოშლას, რათა ქართველ ხალხს აღარასოდეს გასჩენოდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი. ამ მიზნის მისაღწევად მთელი ძალით ამოქმედდა ანტიქართული, გამარუსებელი პოლიტიკა, რომლის მთავარი სამიზნე სწორედ ქართველთა ეროვნული ერთობის ერთ-ერთი საფუძველი – ქართული ენა გახდა. საჯარო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში რუსული ენის დამკვიდრებასთან ერთად დაიწყო სკოლებიდან და ეკლესიიდან ქართული ენის გამოდევნა, რომლის ადგილს რუსული ენა იკავებდა. ამასთანავე, სამეგრელოს, სვანეთისა და აჭარის სკოლებში ქართული ენის ნაცვლად სწავლება შემოიღეს მეგრულად, სვანურად და თურქულად. იერიში ქართულ დამწერლობაზეც მიიტანეს. 1889 წელს რუსული ანბანის მიხედვით შექმნეს „მეგრული ანბანი“. დაიწყო საღვთო წიგნების მეგრულად თარგმნა. უფრო ადრე კი, 1864 წელს რუსული გრაფიკის საფუძველზე შეიქმნა სვანური საანბანო წიგნი ("IuSnu anban"). დამოუკიდებელ, არაქართველ ხალხებად ცხადდებოდნენ მეგრელები, სვანები, აჭარლები, ხევსურები და სხვა.³ როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, „ეს იყო აშკარად გამიზნული პოლიტიკური ნაბიჯი, რომლის მიზანსაც ქართული ენის, როგორც ერის შემაკავშირებელი და გამაერთიანებელი ფაქტორის, ძირის გამოთხრა, საქართველოს სხვადასხვა ეთნოკულტურების დაპირისპირება და საერთო ქართული ცნობიერების მოსპობა წარმოადგენდა.“⁴

საფრთხე მართლაც რეალური იყო. სახელმწიფო მხარდაჭერას მოკლებული, უფუნქციოდ დარჩენილი ქართული ენა ე.წ. მკვდარი ენების ხვედრისათვის იყო გამზადებული. სწორედ ამ დროს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა (ილ. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, აკ. წერეთელი და სხვა) ნათლად გააცნობიერეს, რომ ენის სიკვდილი თვით ერის სიკვდილს მოასწავებდა და სათავეში ჩაუდგნენ ეროვნულ-კულტურულ მოძრაობას ქართული ენის გადასარჩენად, რომელიც იმავდროულად ქართველი ერის გადარჩენისათვის ბრძოლას ნიშნავდა მეფის რუსეთის ანტიქართული გამარუსებელი პოლიტიკის პირობებში.

მათი მონდომებითა და ძალისხმევით განახლდა და განვითარდა ქართული კულტურა, განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა, პრესა, წიგნი, ხელოვნება. განხორციელდა თავად ქართული ანბანისა და სალიტერატურო ენის რეფორმა სამწერლობო ენის სასაუბრო ენასთან დაახლოების გზით, რათა ქართული სალიტერატურო ენა მთელი ერისათვის გასაგები გამხდარიყო. აღადგინეს ქართული თეატრი, დააარსეს საჯარო ბიბლიოთეკა, გამოსცეს ქართული ჟურნალ-გაზეთები („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „ივერია“) და სხვა.⁵ უაღრესად შთამბეჭდავია განათლების სფეროში მათი მოღვაწეობა. ქართული ენის გადარჩენა სკოლის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა მოითხოვდნენ, რომ დაწყებით სკოლებში სწავლება მხოლოდ მშობლიურ ენაზე წარმართულიყო. ამის შემდეგ კი, შესაძლებელი იქნებოდა რუსული ენის „ვითარცა სახელმწიფო ენის“ შესწავლა. დედაენისა და რუსული ენის ერთდროულად შესწავლას დაწყებით სკოლებში ისინი ყოვლად მიუღებლად მიიჩნევდნენ. „ცხადია, რომ საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა დედაენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა...“ – წერდა ილია ჭავჭავაძე.⁶ ამასთანავე, მონინავე ქართველი მოღვაწეები მხოლოდ მსჯელობებითა და სურვილებით როდი კმაყოფილდებიან და საგანმანათლებლო საკითხების გადასაწყვეტად პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამენ. 1879 წელს მათ დაარსეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის უაღრესად ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში უმთავრეს მიმართულებას ქართული სახალხო სკოლების დაარსება, ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა წარმოადგენდა. საზოგადოებამ შეისწავლა სკოლების მდგომარეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აღრიცხა სასკოლო ასაკის ბავშვების რაოდენობა და შეუდგა სახალხო სკოლების დაარსებას საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც, სადაც ქართველები კომპაქტურად სახლობდნენ (მაგალითად, ვლადიკავკაზში, ალაგირში, მოზდოკში, ნალჩიკში, ბაქოში და სხვ.). დიდი შრომა გასწია საზოგადოებამ ბათუმის სკოლის დაარსებისათვის, რადგან იგი უნდა ყოფილიყო ქართული ენის საყრდენი და გამავრცელებელი ახალშემოერთებული აჭარის გამაჰმადიანებულ ქართველ მოსახლეობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების გახსნას ბორჩალოში, საინგილოში, მესხეთ-ჯავახეთში. საზოგადოების თაოსნობით იბეჭდებოდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, აგრეთვე სხვა ავტორების მიერ შექმნილი გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, არითმეტიკის, საქართველოს ისტორიის და სხვა სახელმძღვანელოები.⁷ და მაინც, ქართული ენის გადარჩენის საქმეში სრულიად გამორჩეული როლი ეკუთვნის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“, რომელზედაც აღიზარდნენ ქართველთა მთელი თაობები.⁸ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, როგორც მოსწრებულად ითქვა ლიტერატურაში, „რუსეთის მიერ დაპყრობილ უუფლებო საქართველოში ფაქტობრივად, განათლების სამინისტროს ფუნქცია შეასრულა.“⁹

ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის ბრძოლას ქართული ენის გადარჩენისა და ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის უშედეგოდ არ ჩაუვლია. „ამ ბრძოლამ დიდად შეუწყობ ხელი ერის დაცემული ვინაობის აღდგენას. ქართული ენა თანდათან იქცა მეცნიერების, ლიტერატურის, სკოლის, ერთიანი ქართული სახელმწიფოს სახელმწიფო ენად.“¹⁰

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, რუსეთის იმპერიის დაპყრობილ ერებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების გამო, რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა, გარკვეულად შეეზღუდა რუსული ენის მონოპოლიური მდგომარეობა და ნაციონალური ენებისათვის მეტი ასპარეზი მიეცა.

1917 წლის 10 სექტემბერს, რუსეთის დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაამტკიცა დებულება კავკასიის სასკოლო ოლქში სასწავლო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის (გაეროვნების) შესახებ. მასში ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლებში სწავლება უნდა წარმართულიყო მშობლიურ ენაზე ეროვნული სასკოლო კომიტეტების მიერ შედგენილი და დამტკიცებული პროგრამების მიხედვით. ეროვნულ საგნებად მიჩნეული იყო დედაენა, ეროვნული ლიტერატურა, ერის ისტორია და გეოგრაფია¹¹.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, საქართველო რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზას დაადგა. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 20 ნოემბერს შექმნა სკოლებისა და უნივერსიტეტის სექცია, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი. ამ სექციას უნდა შეემუშავებინა და ეროვნული საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოში არსებული სკოლების გაქართულებისა და ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების პროექტი,¹² რაც შემდგომში წარმართებით განხორციელდა.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებების პარალელურად გაეროვნების (რუსული ენიდან ქართულ ენაზე გადასვლის) პროცესი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებშიც დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინებას იუსტიციის სამინისტრო იჩენდა (მინისტრი შალვა ალექსი-მესხიშვილი). ამ უწყებაში აიკრძალა რუსულ ენაზე დაწერილი განცხადებების მიღება. სამინისტრომ მიიღო დადგენილება, მოსამართლეებად ქართული ენის მცოდნენი გაემწესებინათ, მართლმსაჯულება ქართულ ენაზე ეწარმოებინათ. ამასთანავე, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, სამინისტროებსა და უწყებებში შექმნილიყო ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსები ქართული ენის არმცოდნე მოხელეთათვის, რათა ქართული ენის არცოდნა არ გამხდარიყო მათი სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი.¹³

საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ 1918 წლის 1 ოქტომბერს მიიღო კანონი „საქართველოს სახელმწიფო ენისა“,¹⁴ რომლითაც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭა. კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნულ საბჭოში¹⁵ ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა გამართულიყო ქართულ ენაზე. ამასთანავე, კანონში მითითებული იყო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სხვადასხვა დაწესებულებაში ცალკე კანონით განისაზღვრებოდა. იმავე წლის 15 ოქტომბერს მიღებული კანონით „ნესი ენის ხმარებისა“¹⁶ დამატება შევიდა პარლამენტის რეგლამენტში და სახელმწიფო ენასთან ერთად განისაზღვრა ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების პირობები და პროცედურები. კანონმა დაადგინა ზოგადი წესი, რომ პარლამენტის წევრებს სიტყვა უნდა წარმოეთქვათ ქართულ ენაზე. ამასთანავე, ქართულიდან სხვა ენაზე სიტყვა არ გადაითარგმნებოდა. რაც შეეხება პარლამენტარ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ, კანონის თანახმად, მათ შეეძლოთ სიტყვის წარმოთქმა, გარდა თავისი დედაენისა, უმცირესობის ენაზე, რომელიც პარლამენტის პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცოდა. ამავე დროს, უმცირესობის ენაზე წარმოთქმული სიტყვის დედაზარი გადმოცემული უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, თუ ამას არანაკლებ 15 დეპუტატი მაინც მოითხოვდა. წერილობითი წინადადებების, შესწორებისა და სხვათა შეტანა კი, შეიძლებოდა მხოლოდ ქართულ ენაზე. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლის მიერ წარმოთქმული სიტყვა სხვა უმცირესობის ენაზე არ გადაითარგმნებოდა.

კანონის ამ ნორმებში აშკარად მოჩანს გარდამავალი ეპოქის კვალი. ახალფეხადგმული ქართული სახელმწიფო ცდილობდა, ერთი მხრივ, იმპერიული რუსული ენის ნაცვლად ქართული ენის როგორც სახელმწიფო ენის დამკვიდრებას სახელისუფლებო ორგანოებში, ხოლო მეორე მხრივ, ენობრივ ბარიერს ნაკლებად შეეშალა ხელი საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ქვეყნის მართვაში მონაწილეობისათვის.

ეროვნულმა ხელისუფლებამ ასევე, საგანგებო ყურადღება დაუთმო ენების გამოყენების საკითხს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამ მიზნით, 1919 წლის 14 იანვარს მიღებული კანონით „ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა“¹⁷ დადგინდა, რომ „მსჯელობა, საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა ქალაქის და ერობის თვითმმართველობაში სწარმოებს სახელმწიფო ენით“. ამავე დროს კანონმა გაითვალისწინა საგამონაკლისო წესებიც, სახელდობრ, „უკეთუ რომელიმე თვითმმართველობის ფარგლებში მცხოვრებ რესპუბლიკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტისათვის სალაპარაკო ენა არის მხოლოდ ერთი რომელიმე არა ქართული ადგილობრივი ენა, თვითმმართველობის ორგანოების დადგენილებით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო ენასთან ერთად შეიძლება შემოღებულ იქნეს ამ უმრავლესობის ენაზეც.“

ამ და სხვა საკანონმდებლო აქტებმა სამართლებრივი საფუძვლები შეუქმნეს ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს, ამასთანავე, განსაზღვრეს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების პირობები და ფარგლები, რაც შემდეგ სათანადოდ აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში.¹⁸ საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ საქართველოს სახელმწიფო ენად ქართული ენა დაადგინა (მე-3 მუხლი). საქართველოს ისტორიაში პირველად ქართულმა ენამ, როგორც სახელმწიფო ენამ, კონსტიტუციური სტატუსი მოიპოვა. საქართველოს ძირითად კანონში ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეროვნულ უმცირესობათა ენების საკითხს. კონსტიტუციის მე-14 თავი, რომელიც მთლიანად ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს ეძღვნება, იმ ეპოქისათვის უაღრესად პროგრესულ ნორმებს ადგენდა.

კონსტიტუციით იკრძალებოდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უმცირესობის მისი დედაენით სწავლა-აღზრდის შეზღუდვა (129-ე მუხლი). ამასთანავე, ადგილობრივი მმართველობა ვალდებული იყო სწავლა-განათლებისათვის გამიზნული თანხებით დაეარსებინა სკოლების საკმაო რაოდენობა მოქალაქეთა ეროვნული შემადგენლობის პროპორციულად (134-ე მუხლი). ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობის რაოდენობა აღემატებოდა ყველა მოქალაქის 20 პროცენტს, ამ უმცირესობის მოთხოვნით, მსჯელობა და საქმისწარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დანესებულებაში, სახელმწიფო ენასთან ერთად, შემოღებული უნდა ყოფილიყო მის მშობლიურ ენაზეც (136-ე მუხლი). არაქართველ დეპუტატს, რომელმაც საკმარისად არ იცოდა სახელმწიფო ენა, შეეძლო პარლამენტში სიტყვა წარმოეთქვა მშობლიურ ენაზე, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენდა პარლამენტის პრეზიდიუმს (137-ე მუხლი).

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ ნორმებში ასახული ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოცემულ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარეს ადამიანის საერთაშორისო უფლებებად.¹⁹

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების გზა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღებისთანავე შეწყდა. საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის

თებერვალში, საქართველოს მიმართ განხორციელებულ ინტერვენციას, ოკუპაციასა და ანექსიას შედეგად მოჰყვა საქართველოში სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით, რომელიც საბჭოთა კავშირში იძულებით იქნა გაერთიანებული.

საბჭოთა კავშირი, რომელიც მოდერნიზებულ რუსულ იმპერიას წარმოადგენდა, ენობრივ პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულებით ატარებდა. ერთი მხრივ, ოფიციალურად აღიარებდა მოკავშირე რესპუბლიკებში მათ ეროვნულ ენებს სახელმწიფო ენად, რასაც გარკვეულ ეტაპზე პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა საქმის ისე წარმოსაჩენად, თითქოს საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ერები ინარჩუნებდნენ თავიანთ თვითმყოფადობას და უზრუნველყოფილი იყო სრული ენობრივი თანასწორობა, ხოლო მეორე მხრივ, საკავშირო ხელისუფლების ორგანოების სამუშაო ენას ფაქტობრივად რუსული ენა წარმოადგენდა. ამასთანავე, რუსული ენა განიხილებოდა, როგორც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთა შორის ურთიერთობის ენა. ჩაკეტილ საბჭოურ სივრცეში იგი ამ ფუნქციას მართლაც ასრულებდა. რუსული ენა ფაქტობრივად დომინანტი ენა გახდა მთელ საბჭოეთში, რასაც უზრუნველყოფდა მთელი საბჭოთა პოლიტიკური, პარტიული და იდეოლოგიური ინსტიტუტების მიზანმიმართული საქმიანობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რუსული ენის დასამკვიდრებლად.

საბჭოთა სახელმწიფოს ამგვარი ენობრივი პოლიტიკის გავლენით ჩამოყალიბდა იმდროინდელი საკანონმდებლო აქტებიც, კერძოდ, რუსული ენა საბჭოთა კავშირის არც ერთი კონსტიტუციით (1924, 1936, 1977 წ.წ.) სახელმწიფო ენად არ იყო აღიარებული, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგალითად, საქართველოში ქართული ენა საბჭოთა საქართველოს ოთხივე კონსტიტუციით (1922, 1927, 1937, 1978 წ.წ.) აღიარებული იყო, როგორც სახელმწიფო ენა.

გასული საუკუნის 70-ანი წლების ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში აშენებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის დაახლოების, ყველა ერის იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობისა და მათი ძმური თანამშრომლობის საფუძველზე, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის (ОБЩНОСТЬ) – საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება. აზრი მარტივი იყო: საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერები იმდენად დაახლოვდნენ, რომ მათი ეთნიკური განსხვავებები თითქმის წაიშალა და შედეგად მივიღეთ საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ხალხს კი, ერთ ენაზე უნდა ელაპარაკა. ეს ენა, რა თქმა უნდა, რუსული ენა უნდა ყოფილიყო. ახალი „ისტორიული სინამდვილე“ სათანადოდ უნდა ასახულიყო საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში, რომელთა მიღება დაგეგმილი იყო 1977-1978 წლებში. იმისათვის, რომ რუსული ენა იურიდიულად სსრ კავშირის სახელმწიფო ენად გამოცხადებულიყო და მის ოფიციალურ გამოყენებას მოკავშირე რესპუბლიკებში სამართლებრივი საფუძველი შეჰქმნოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ სსრ კავშირის 1977 წლის ახალ კონსტიტუციაში თავი აარიდა სახელმწიფო ენის განსაზღვრის საკითხს, სამაგიეროდ მოკავშირე რესპუბლიკებს მოსთხოვა, მათ ახალ კონსტიტუციებში ადგილობრივი ნაციონალური ენების სახელმწიფოებრივი სტატუსი აღარ გაეთვალისწინებინათ. თუ ეს ჩანაფიქრი წარმატებით შესრულდებოდა, მაშინ ამის შემდეგ სსრ კავშირის კონსტიტუციაში შეიტანდნენ დამატებას რუსული ენის სსრ კავშირის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ და მთელ საბჭოეთში ეს ენა უკვე იურიდიულად ერთადერთი სახელმწიფო ენა იქნებოდა.

ამ გეგმის განხორციელებას 1978 წელს შეუდგნენ. მაგალითად, საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციისაგან²⁰ განსხვავებით, სადაც გარკვევით იყო ნათქვამი, რომ „საქართველოს სსრ-ს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ (156-ე მუხლი), 1978 წლის 23 მარტს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებულ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში ქართული ენა საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო მოხსენიებული. პროექტის 75-ე მუხლი ასეთი შინაარსის იყო: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში რუსული, აგრეთვე სხვა ენების თავისუფალი ხმარება, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.“²¹

პროექტის ამ ნორმაში საგულისხმო იყო ორი პრინციპული ხასიათის სიახლე. ჯერ ერთი, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი გაუქმებული იყო, საქართველოს სახელმწიფო ენას კონსტიტუცია აღარ ადგენდა და მეორე, პირველად საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის თანაბარი სტატუსი ენიჭებოდა რუსულ ენას.

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას, რომელიც ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს აუქმებდა, 1978 წლის 14 აპრილს, თბილისში მოქალაქეთა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია მოჰყვა მშობლიური ენის დასაცავად. ხელისუფლებამ უკან დაიხია და ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა. საქართველოს სს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის 75-ე მუხლში ჩაინერა, რომ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.“²² ამასთანავე, კონსტიტუციის პროექტში არსებული ჩანაწერი რუსული ენის თავისუფალი ხმარებისა სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, კონსტიტუციაში უცვლელად გადავიდა. უფრო მეტიც, ახალი კონსტიტუციით საქართველოს სს რესპუბლიკის კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების გამოქვეყნება ქართულთან ერთად რუსულადაც სავალდებულო გახდა (110-ე მუხლი).

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ამ ეტაპზე დასახულ მიზანს სრულად ვერ მიაღწია, რუსული ენა სსრ კავშირის სახელმწიფო ენად არ იქნა აღიარებული, ხოლო საქართველოში ქართულმა ენამ კვლავ შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი. ამ მოვლენებმა ქართულ საზოგადოებაში კიდევ უფრო გააღვივა მშობლიური ენის პატივისცემისა და დაცვის ინტერესი.²³ მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლებას დასახული მიზნის მიღწევაზე ხელი არ აუღია. რუსული ენის სახელმწიფო ენად იურიდიულად გაფორმების მისწრაფება იმდენად ძლიერი იყო, რომ ზემოაღნიშნული მოვლენებიდან ზუსტად მე-12 წლისათვის, 1990 წლის 24 აპრილს აგონიაში მყოფმა საბჭოთა კავშირმა გამოსცა კანონი „სსრ კავშირის ხალხთა ენების შესახებ“,²⁴ რომლის თანახმად, სსრ კავშირში რუსული ენა ოფიციალურ (ანუ სახელმწიფო) ენად გამოცხადდა. კანონის მე-4 მუხლში ნათქვამი იყო: „ისტორიულად დამკვიდრებული პირობების გათვალისწინებით და საერთო საკავშირო ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით რუსული ენა სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიჩნეულია სსრ კავშირის ოფიციალურ ენად და გამოიყენება როგორც ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საშუალება.“

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონმა რუსული ენის, როგორც ოფიციალური ენის, გამოყენების იმდენად ფართო არეალი დაადგინა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენები ფაქ-

ტობრივად ოფიციალური (რუსული) ენის დანამატად გადააქცია, რომლებიც დროთა განმავლობაში უსათუოდ დაკარგავდნენ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ყოფითი ურთიერთობების ენად შემორჩებოდა.

მართალია, საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ზემოაღნიშნული კანონის მიღებით დიდი ხნის ჩანაფიქრი საბოლოოდ მაინც აისრულა, მაგრამ კანონის სამოქმედოდ შემოღებიდან წელიწადნახევარში სსრ კავშირმა, როგორც სახელმწიფომ და მასთან ერთად ამ კანონმაც შეწყვიტა არსებობა, სამაგიეროდ, საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა.

ეროვნულმა ხელისუფლებამ საქართველოში გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა და ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე შეუდგა საქართველოს იმუამად მოქმედი (1978 წლის) კონსტიტუციის მოდერნიზებას. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ცვლილებები შეეხო საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლსაც, რომელიც, როგორც ეს ზემოთ ითქვა, საქართველოში ენების სამართლებრივ სტატუსს ადგენდა. ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციის ამ ნორმიდან ამოღებული იქნა „რუსული ენა“, რომელიც გამორჩეულად იყო მოხსენიებული საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა სხვა ენებთან შედარებით.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ნათლად გამოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ათეული წლების განმავლობაში გატარებული რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოში ქვეყნის ძირითადი კანონით სახელმწიფოებრივი სტატუსი მხოლოდ ქართულ ენას ჰქონდა, მისი გამოყენების არეალი საქართველოს ტერიტორიაზე მაინც მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა²⁵ დიდმა ნაწილმა (განსაკუთრებით მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში) საერთოდ არ იცოდა ქართული ენა. ისინი ფლობდნენ მხოლოდ მათ მშობლიურ და რუსულ ენებს, რაც მათთვის სავსებით საკმარისი იყო ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შრომით და ეკონომიკურ ურთიერთობებში ინტეგრირებისათვის.

ასეთი იყო რეალური ენობრივი სიტუაცია საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის. ამ რეალობების გათვალისწინებით, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტს მიღებულმა საქართველოს რესპუბლიკის კანონმა²⁶ საქართველოს მოქალაქეებად ჩათვალა საქართველოში მცხოვრები პირები მხოლოდ მათი ბინადრობის ცენზის მიხედვით (რასაკვირველია, თუ ისინი უარს არ განაცხადებდნენ საქართველოს მოქალაქეობაზე). რაც შეეხება ქართული ენის ცოდნას, ამ კანონით იგი ერთ-ერთ პირობად იქნა გათვალისწინებული ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მიღებისას. ამრიგად, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის ამოქმედების შემდეგ, საქართველოში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები საქართველოს მოქალაქეები გახდნენ, მათი შთამომავლები კი, ქართული ენის დაუფლების გარეშეც ხდებიან დაბადებით საქართველოს მოქალაქეები.

ამ არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორება, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღებით უნდა დაწყებულიყო, ხოლო შემდეგ, აუცილებელი იყო ამ კანონის აღსრულებისათვის ისეთი პროგრამის შემუშავება და განხორციელება, რომელიც შექმნიდა პირობებს სახელმწიფოებრივ და მოსახლეობის ყოველდღიურ საქმიანობაში სახელმწიფო ენის გამოყენებისათვის. თუმცა საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღების საკითხმა გან-

საკუთრებული აქტუალურობა მხოლოდ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ შეიძინა. ქვეყნის ძირითადმა კანონმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული ენა დაადგინა, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური. აღსანიშნავია, რომ პირველად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზურ ენას მიენიჭა სახელმწიფო ენის სტატუსი. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე, აფხაზური ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი განმტკიცებული იყო მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციით სახელმწიფო ენის სტატუსი აფხაზურთან ერთად მიკუთვნებული ჰქონდა ქართულ და რუსულ ენებსაც.²⁷

სახელმწიფო ენის კანონპროექტზე მუშაობა 1997 წელს დაიწყო ენის სახელმწიფო პალატის ინიციატივით და რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. საბოლოოდ, 2001 წლის 19 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტმა „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს წარუდგინა.

ამავე პერიოდში, კანონპროექტის განხილვაში აქტიურად ჩაება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი როლფ ეკეუსი „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტის პარლამენტში პირველი მოსმენით განხილვამდე ერთი თვით ადრე, 2002 წლის 8 აპრილს, პარლამენტის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღება საქართველოს არა მხოლოდ სუვერენული უფლებაა, არამედ ეს არის აუცილებელი ნაბიჯი, რათა შეიქმნას ძლიერი და ერთიანი ქართული სახელმწიფო... სწორედ ამიტომ სახელმწიფო ენის კანონის მიღება პრიორიტეტული საკითხია. მიმაჩნია, რომ საჭიროა საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსი განმტკიცდეს, გაძლიერდეს და შეიქმნას პირობები ქვეყნის ტერიტორიაზე მის გამოსაყენებლად... ამასთანავე, აუცილებელია საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყონ შემუშავება ფართო პროგრამისა, რომელიც უზრუნველყოფს ენის შესწავლას და მთელ ქვეყანაში მის გამოყენებას, გააჩაღებს სახელმწიფო ენის შესწავლის მასშტაბურ პროცესს სახალხო განათლებისა და საჯარო სამსახურის სფეროში (ეს განსაკუთრებით ეხება ქვეყნის ზოგ რეგიონს), ...მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ამ მნიშვნელოვან პროცესში საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას დახმარება გაუწიოთ თვით ფინანსური მხარდაჭერის ჩათვლით.“²⁸

2002 წლისათვის თითქოს ყველა წინა პირობა იყო შექმნილი „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის მისაღებად, მაგრამ სამწუხაროდ, პარლამენტის წევრებს საამისოდ არ აღმოაჩნდათ პოლიტიკური ნება და კანონპროექტის განხილვა გაურკვეველი ვადით გადაიდო. 2004 წლის 23 აგვისტოს კი, ეს კანონპროექტი უკან გამოითხოვა მისმა ინიციატორმა. ამგვარად, ქვეყანა დარჩა სახელმწიფო ენის კანონის, ხოლო სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა – საკანონმდებლო უზრუნველყოფის გარეშე.

სამაგიეროდ, 2005 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტს სათანადო პოლიტიკური ნება აღმოაჩნდა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროსაბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებისათვის.²⁹ ეს კონვენცია ხელშემკვრელი მხარეებისათვის ეროვნულ უმცირესობათა ენების სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოყენების უზრუნველყოფისა და მათი დაცვის მრავალ ვალდებულებას ითვალისწინებს.

ამასთანავე, ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტს უპირობოდ არ მოუხდენია ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება და თავისი დადგენილებით მნიშვნელოვანი

დათქმები დაურთო სარატიფიკაციო დოკუმენტს.³⁰ აღსანიშნავია, რომ დათქმების ძირითადი ნაწილი შეეხება ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების საკითხს.

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირების თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებული პირები³¹ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და სამართალწარმოების პროცესში უზრუნველყოს თარჯიმნის დახმარებით. ამასთანავე, საქართველომ აიღო ვალდებულება, და ეს მეტად მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად შეუქმნას პირობები ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ პირებს სახელმწიფო ენის შესასწავლად (მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). პარლამენტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ პირთა სახელებისა და გვარების ჩანერა ქართულ ენაზე ისე, რომ იმავდროულად, შეძლებისდაგვარად, დაცული იყოს მათ ენაზე გამოთქმის წესი, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით (მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). საქართველოს კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს აგრეთვე ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ის დებულებები, რომლებიც შეეხება ეროვნული უმცირესობებით ტრადიციულად დასახლებულ რეგიონებში ქუჩებისა და სხვა ტოპოგრაფიული დასახელების ქართულ და ეროვნულ უმცირესობათა ენაზე გამოყენებას. ამასთანავე, პარლამენტის დადგენილებაში მითითებულია, რომ საქართველო არ განიხილავს ეროვნულ უმცირესობათა ამ უფლებას როგორც სახელმწიფოს ვალდებულებას, შეცვალოს ტერიტორიული ერთეულების არსებული დასახელებები (მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი).

რაც შეეხება მეორე საერთაშორისო სამართლებრივ აქტს, კერძოდ, ევროსაბჭოს 1992 წლის 2 ოქტომბრის „ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“,³² საქართველოს პარლამენტს ჯერჯერობით მისი რატიფიცირება არ მოუხდენია, თუმცა ამის ვალდებულება საქართველოს ნაკისრი აქვს და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ ვალდებულების შესრულებას უსათუოდ მოითხოვენ.

ჩვენი აზრით, რაც არ უნდა დამაჯერებლად ყლერდეს ევროპული ქარტიის დებულებები, რომ „რეგიონული ან უმცირესობათა ენების დაცვამ და ნახალისებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ოფიციალურ ენებსა და მათი შესწავლის აუცილებლობას“, ან კიდევ „ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპებს“, იმ ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია ამჟამად შექმნილი, ზემოაღნიშნული ევროპული ქარტიის რატიფიცირება და ამოქმედება არა გვგონია მიზანშეწონილი იყოს. ამის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ევროპული ქარტიის მიხედვით, მხარეები იღებენ ვალდებულებას იმ ტერიტორიებზე, სადაც რეგიონული ან უმცირესობათა ენები გამოიყენება, ხელმისაწვდომი გახადონ ამ ენებზე არათუ სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო, ტექნიკური და პროფესიული, არამედ საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება; სასამართლოებში ნებისმიერი სამართალწარმოება (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული) ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით უნდა განხორციელდეს რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე; ხელისუფლების ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ რეგიონული ან უმცირესობათა ენები დოკუმენტების შედგენისა და საქმისწარმოების ჩათვლით, უზრუნველყონ თუნდაც ერთი რადიოსადგურისა და სატელევიზიო არხის შექმნა რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე, დაფარონ იმ მასმედიის დამატებითი ხარჯები, რომლებიც იყენებენ ამ ენებს; კომერციულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, საფინანსო და საბანკო სფეროში ნებადართული უნდა იყოს რეგიონული ან უმცირესობების ენების გამოყენება,

გადახდის ორდერების (ჩეკები, თამასუქები) ან სხვა ფინანსური დოკუმენტების შედგენა და სხვა.

ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ თუ საქართველოს პარლამენტი მოახდენს ამ საერთაშორისო სამართლებრივი აქტის რატიფიცირებას და იგი სრულად ამოქმედდება, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს რეგიონებიდან, სადაც ქართული ენის გამოყენების არეალი ისედაც შეზღუდულია, საქართველოს სახელმწიფო ენა საბოლოოდ იქნება გამოდევნილი და ამ რეგიონების მოსახლეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მონყვეტილი აღმოჩნდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულიადაც არა ვართ იმის წინააღმდეგი, რომ ეროვნულ უმცირესობათა ენები სათანადოდ იყოს დაცული, ნახალისებული და მხარდაჭერილი სახელმწიფოსაგან, მაგრამ არა ისე, რომ ამას შედეგად მოჰყვეს სახელმწიფო ენის დაკნინება და ქართველი ხალხის დეზინტეგრაცია, დაშლა და დაცალკევა, საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფების ერთმანეთისაგან გაუცხოება, რაც საბოლოოდ, ქვეყნის მთლიანობას რეალურ საფრთხეს შეუქმნის.

იმისათვის, რომ კარგად გავაცნობიეროთ, თუ რასთან გვაქვს საქმე, მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ ბელგია, ევროპის ერთ-ერთი განვითარებული და დანინაურებული ქვეყანა, სადაც კონსტიტუციით³³ შექმნილია ოთხი ენობრივი რეგიონი: ფრანგულენოვანი რეგიონი, ნიდერლანდურენოვანი რეგიონი, დედაქალაქ ბრიუსელის ორენოვანი რეგიონი და გერმანულენოვანი რეგიონი, რომელთა საზღვრების შეცვლა ან დაზუსტება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თითოეულ პალატაში არსებული ყოველი ენობრივი ჯგუფის ხმათა თანაბრობის დაცვით მიღებული კანონით (მე-4 მუხლი). შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ ენიჭება ენობრივ პრინციპებს ისეთი მნიშვნელობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ფორმირებასა და სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ მონყობაში, როგორც ეს ბელგიაშია. ენების გამოყენებისა და მათ წარმომადგენელთა პროპორციულობის გათვალისწინებით ყალბდება ბელგიის პარლამენტი, მთავრობა, ერთიანი მართლმსაჯულების საბჭო და სხვა ორგანოები, რომ აღარაფერი ვთქვათ განათლების სისტემაზე. ამასთან, ბელგიამ გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დეცენტრალიზაციისაკენ. ფლამანდურმა, ფრანგულმა და გერმანულმა გაერთიანებებმა ოფიციალური ავტონომიის სტატუსი მიიღეს და ქვეყანა თანდათანობით უნიტარიზმიდან ფედერალურ მონყობაზე გადავიდა.³⁴ მიუხედავად ყოველივე ამისა, ბელგიის სამეფომ ენობრივი რეგიონების დაპირისპირებისა და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების პრობლემები მაინც ვერ დაძლია. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, ერთ-ერთი პარტიის ლიდერის, ჟიულ დესტრეს მიმართვას ბელგიის მეფე ალბერტ I-სადმი 1912 წელს, რომ „ბელგიაში არიან ვალონები და ფლამანდელები, მაგრამ არა ბელგიელები“, დღემდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა.³⁵

სამწუხაროდ, საქართველოში რეგიონული ენების დაკანონების თუ ენობრივი რეგიონების შექმნის იდეას დღესაც გამოუჩნდნენ მომხრეები. მიმდინარე წელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ სამეგრელოში არასამათავრობო ორგანიზაციამ – განათლების ცენტრმა „კოლხიდამ“ მეგრულ ენაზე გამოსცა გაზეთი „შურობუმუ“ (უთქმელი). საგაზეთო ინტერვიუში მისი დამფუძნებელი დაბეჯითებით მოითხოვს მეგრული და სვანური ენებისათვის რეგიონული ენების სტატუსის მინიჭებას. მისი აზრით, „მეგრელები არიან კოლხები და არა გურჯები“. საქართველო კი, უნდა გადაკეთდეს ფედერაციად, სადაც ყველა რეგიონი თანასწორუფლებიანი იქნება. ამ გაზეთში მეგრულ ენაზე გამოქვეყნებულია ფრაგმენტები იოანეს

სახარებიდან („სახარება იოანეში“) და ვეფხისტყაოსნიდან („ყილოშტყევაში“).³⁶ XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის ანტიქართული პოლიტიკის გამოძახილი, როგორც ვხედავთ, XXI საუკუნეშიც გაისმის. ამასთან დაკავშირებით, სწორად შენიშნავს პროფესორი სოსო სიგუა: „ეს იმთავითვე ქართული ცნობიერების დაშლისკენ მიმართული მოვლენა იყო. რუსეთს ხელს აძლევდა სვანური, მეგრული და ქართული ენების დაცალკეება, რათა ადვილად გაენადგურებინა ქართული სახელმწიფოებრიობა.“³⁷

თანამედროვე პერიოდში ამ საფრთხეზე საგანგებოდ მიუთითებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 2010 წლის საშობაო ეპისტოლეში. კათოლიკოს-პატრიარქი ქართულ ენას ქართველი ერის რწმენის, ერთობის და მთლიანობის საძირკველსა და მტკიცე ფუძეს უწოდებს და აღნიშნავს: „დღესაც, როდესაც ჩვენს წინაშეა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, თანდათან იზრდება მეორე, არანაკლები საფრთხე ენობრივი დაშლისა; არიან ისეთი ძალები, რომელნიც ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებს უბიძგებენ, რომ ითარგმნოს ბიბლია ან სხვა წიგნები მეგრულად, სვანურად, ლაზურად და მოამზადონ ნიადაგი იმისათვის, რომ ახლო მომავალში ქართული ენის ეს განშტოებანი უკვე ცალკე ენებად გამოაცხადონ.“

მსოფლიოში ვრცელდება რუკები და კვალიფიკაციები, თითქოს საქართველო აჭარლებს, ლაზებს, სვანებს, მეგრელებს, თუშებს და სხვათა ხელოვნური გაერთიანებაა, თითქოს ყველას ჩვენი-ჩვენი ენა და კულტურა გვაქვს. ამით უნდათ ჩვენი ერის სხვადასხვა ეროვნულ გაერთიანებად წარმოჩენა. აქედან კი, სახელმწიფოს დაშლამდე ერთი ნაბიჯია.“³⁸

ცხადია, თუ საქართველო ამ გზას დაადგება და რეგიონულ ენებს ოფიციალურად აღიარებს, მაშინ რეგიონული ენებიდან ენობრივ რეგიონებამდე ერთი ნაბიჯია, ენობრივი რეგიონებიდან პოლიტიკურ ავტონომიებამდე მეორე, მესამე კი, უეჭველად ქვეყნის დაშლა იქნება.

ეს საფრთხე რომ თავიდან ავიცილოთ, ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს სწორი ენობრივი პოლიტიკა ჰქონდეს. ჩვენი აზრით, ქართული სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა სამი ძირითადი მიმართულებით უნდა წარიმართოს:

პირველი, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის (აფხაზეთში აგრეთვე აფხაზური ენის), სრულყოფილი საკანონმდებლო საფუძვლების, მისი დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციური გარანტიების შექმნა;

მეორე, საქართველოს მოქალაქეების, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები სხვა პირებისათვის ქართული ენის შესასწავლად სათანადო პირობების შექმნა;

მესამე, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების ფარგლების დადგენა და მათი დაცვის უზრუნველყოფა.

თუ ენობრივი პოლიტიკის მეორე და მესამე მიმართულებით საქართველოში გარკვეული პრაქტიკა არსებობს, რომელიც, რასაკვირველია, საჭიროებს შემდგომ სრულყოფას, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, საკანონმდებლო საფუძვლები ჯერ კიდევ, შესაქმნელია. საქართველოს, როგორც ეს უკვე ითქვა, არა აქვს სახელმწიფო ენის კანონი. სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის ნორმები ამჟამად სხვადასხვა დარგობრივ საკანონმდებლო აქტებშია გაფანტული. მხედველობაში გვაქვს საქართველოს მოქალაქეობის, რეკლამის, მაუწყებლობის, განათლების, საჯარო სამსახურის შესახებ კანონები, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სხვ. რა თქმა უნდა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ამა თუ იმ სფეროში სამართლებრივი რეგულირების

საგნის თავისებურებებითაა განპირობებული. მაგრამ, ამასთანავე, აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფო ენის შესახებ ჩარჩო კანონის მიღება, რადგანაც სწორედ ამ კანონში ჩამოყალიბებული ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სფეროებში სახელმწიფო ენის გამოყენების კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაციები. ამისათვის კი, საჭიროა სახელმწიფო ენის შესახებ საკანონმდებლო აქტი ორგანული კანონის რანგში იყოს აყვანილი, რათა მისი იურიდიული ძალა აღემატებოდეს სხვა ჩვეულებრივი, დარგობრივი კანონების იურიდიულ ძალას. ეს თავიდან აგვაცილებს სახელმწიფო ენის შესახებ ორგანული კანონით დადგენილი ნორმებისა და პრინციპების საწინააღმდეგო წესების დადგენას მიმდინარე საკანონმდებლო აქტებით და უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას.

სახელმწიფო ენის ორგანულმა კანონმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ის სფეროები, სადაც ქართული ენის გამოყენება სავალდებულო იქნება. ჩვენი აზრით, ქართული ენის გამოყენება სავალდებულო უნდა იყოს: სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა საჯარო დაწესებულებების საქმიანობაში, მათ მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ოფიციალური გამოქვეყნებისას; სამხედრო ძალებში; საკონსტიტუციო, სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში; სასაგარო მოქმედებაში; რეფერენდუმისა და არჩევნების ჩატარებისას; ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებისას; ინფორმატიკაში; კავშირგაბმულობაში; სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურებაში; ტელერადიო მაუწყებლობასა და ბეჭდვით მედიაში; რეკლამებში; გეოგრაფიული ობიექტების, აგრეთვე, საგზაო ნიშნების აღნიშვნისას. საქართველოს სახელმწიფო და სხვა საჯარო დაწესებულებების მიერ ჩატარებული ოფიციალური შეხვედრებისას; საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ განხორციელებულ სარეგისტრაციო საქმიანობაში; საქართველოს იურიდიული პირების მიერ დოკუმენტების წარმოებისას; საქართველოს ტერიტორიაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გარიგებების დადებისას.

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ არის ქართული ენის სავალდებულო გამოყენების სფეროების ამომწურავი ჩამონათვალი. ორგანული კანონით კიდევ უფრო დაზუსტდება როგორც ქართული ენის სავალდებულო გამოყენების სფეროები, ისე მისი გამოყენების კონკრეტული შემთხვევები და წესები. ამასთანავე, ამ კანონით ქართული ენის სავალდებულო გამოყენების ზოგიერთ სფეროში (მაგალითად, განათლების მიღებისას) გათვალისწინებული იქნება საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენების და უცხო ენების გამოყენების შესაძლებლობები და პირობები.

სახელმწიფო ენის ორგანულმა კანონმა უნდა დაადგინოს ასევე, იურიდიული პასუხისმგებლობა სახელმწიფო ენის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის. ამ სამართალდარღვევათა კონკრეტული სახეობების და მათი შესაბამისი იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები გათვალისწინებული უნდა იყოს სამართლის სხვადასხვა დარგის (სისხლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო) საკანონმდებლო აქტებით.

სახელმწიფო ენის ორგანულმა კანონმა უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის განხორციელების, აგრეთვე, სახელმწიფო ენის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა აღსრულებისა და სახელმწიფო ენის დაცვის უზრუნველყოფის ინსტიტუციური გარანტიები. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ამჟამად არსებული მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია.

ჩვენი აზრით, არ იყო მართებული 2004 წელს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის გაუქმება, რომელიც 1997 წელს შეიქმნა, დამოუკიდებლობით სარგებლობდა, ანგარიშვალდებული იყო მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე და ამასთანავე, რეალური მაკონტროლებელი ფუნქციებით იყო აღჭურვილი სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის, სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელებისა და მოქალაქეთა ენობრივი უფლებების დაცვის სფეროში. სადღეისოდ სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება, სახელმწიფო ენის სწავლებისა და განვითარების ხელის შეწყობა, აგრეთვე თვალყურის დევნება მის სწორ გამოყენებაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს მიკუთვნებული. სამინისტროს სტრუქტურაში ამ ამოცანების შესრულება, სხვა საკითხებთან ერთად, დავალებული აქვს ორ ქვედანაყოფს: სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტსა და ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს.³⁹

ვფიქრობთ, მხოლოდ თვალყურის დევნება სახელმწიფო ენის სწორ გამოყენებაზე საქმეს ვერ უშველის. თვალყურის დევნებას თუ არ ახლავს დანახულსა და გაგონილზე მკაცრი რეაგირება, სახელმწიფო ენის უპატივცემულობისა და არასწორი გამოყენების შემთხვევები კვლავაც მრავლად იქნება. ამ საქმის შესრულება მიზანშეწონილია დაეკისროს სათანადო დამოუკიდებლობისა და უფლებამოსილების მქონე სპეციალურ ორგანოს, რომელიც კანონით იქნება აღჭურვილი ამ სფეროში კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციებით. ჩვენი აზრით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი ასეთი დანესებულების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვა გულისხმობს არა მხოლოდ მის უფლებრივ დაცვას, არამედ, რაც ასე აუცილებელია თანამედროვე პერიოდში, მისი სინმინდის დაცვასაც. ამ მიზნით, სახელმწიფო ენის ორგანულმა კანონმა უნდა განსაზღვროს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სამთავრობო ორგანო (კომისია), მისი სამართლებრივი სტატუსი და ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის სავალდებულობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გასაგებია, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართულ ენას ქართული სახელმწიფოებრიობისათვის და რომ მისი დაცვა, მოფრთხილება და მასზე ზრუნვა უაღრესად საშური საქმეა, მით უმეტეს დღეს, როდესაც კაცობრიობას ე.წ. გლობალიზაციის ეპოქა დაუდგა. თუ ადრე, იმპერიების შემადგენლობაში საქართველოს ყოფნისას ქართულ ენას საფრთხეს უქმნიდა იმპერიული ენის, როგორც ოფიციალური ენის და იმპერიაში შემავალი ერების საურთიერთობო საშუალების პრივილეგირებული მდგომარეობა, ახლა, გლობალიზაციის ეპოქაში, იგივე საფრთხე არსებობს უცხო ენებით ქართული ენის ჩანაცვლების ზღვარდაუდებული და უკონტროლო პრაქტიკის გამო. თუ ეს პრაქტიკა სასწრაფოდ არ აილაგმა, უახლოეს მომავალში ქართული ენის ადგილს აუცილებლად დაიკავებს უცხო ენა. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. საფრთხე რეალურია, რადგანაც საქართველოს სახელმწიფო ენის კანონი არ გააჩნია და ამდენად, ამ პროცესის წინააღმდეგობის გამწევი კანონისმიერი საშუალებებიც არ არსებობს.

ქართული ენის პატრონი მხოლოდ ქართული სახელმწიფოა. ქართულ ენას არა აქვს ქვეყნის გარეთ ხალხთა შორის საკომუნიკაციო მნიშვნელობა. ამიტომ, თუ ქართული ენა თავად ქართული სახელმწიფოს მზრუნველობის გარეშე დარჩა, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მასზე სხვა არავინ იზრუნებს.

ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის მხოლოდ კონსტიტუციით დეკლარირება არ არის საკმარისი. საჭიროა სახელმწიფო ენის შესახებ სპეციალური კანონის მიღება და ეფექტიანი სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის გატარება ამ კანონის მოთხოვნათა აღსრულებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო შესაძლებელია ირლანდიის მდგომარეობაში აღმოჩნდეს, სადაც ირლანდიურ ენაზე, რომელიც კონსტიტუციით აღიარებულია ეროვნულ ენად და პირველ ოფიციალურ ენად, ლაპარაკობს მოსახლეობის მესამედზე ნაკლები, ხოლო ინგლისურ ენაზე, რომელიც კონსტიტუციით მეორე ოფიციალური ენაა, ლაპარაკობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი.⁴⁰

როგორც ვხედავთ, ქართული ენა, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას საჭიროებს. სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, როდესაც ქართული ენა სრულად იქნება დამკვიდრებული სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

შენიშვნები:

- ¹ ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. როინ მეტრეველი, „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბილისი, 2008, გვ. 46.
- ² გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, წიგნი I, თბილისი, 1982, გვ. 279-280.
- ³ იხ.: ქართული ენა, ენციკლოპედია, „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2008, გვ. 180.
- ⁴ იხ.: ომარ გოგიაშვილი, ილია დღეს, იდეოლოგია, პოლიტიკა, თბილისი, 2008, გვ. 408.
- ⁵ იხ.: მიხეილ გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე, „მეცნიერება“, თბილისი, 2004, გვ. 499-507; მამია ფალავა, ილია ჭავჭავაძე და ქართული სალიტერატურო ენის პრობლემები, კრებული: „ილია ჭავჭავაძე 170“, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2007, გვ. 26-54.
- ⁶ ილია ჭავჭავაძე, ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო, რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად, თბილისი, 1987, ტომი მე-4, გვ. 197.
- ⁷ ქართული ენა, ენციკლოპედია, გვ. 495.
- ⁸ საგულისხმოა, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ I ნაწილი 45-ჯერ გამოიცა მილიონსამასათასიანი ტირაჟით, ხოლო მე-2 ნაწილი 36-ჯერ, 670 ათასი ცალის ოდენობით (იხ.: ქართული ენა, ენციკლოპედია, გვ. 139; მამია ჩორგოლაშვილი, მთანწინდა, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1991, გვ. 80).
- ⁹ ვაჟა შუბითიძე, ყველა დროის ასი უდიდესი ქართველი, თბილისი, 2008, გვ. 313.
- ¹⁰ მამია ფალავა, მით. ნაშრომი, გვ. 54.
- ¹¹ იხ.: ალექსანდრე ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.), თბილისი, 2001, გვ. 257.
- ¹² ალექსანდრე ბენდიანიშვილი, მით. ნაშრომი, გვ. 258.
- ¹³ იქვე, გვ. 258-259.
- ¹⁴ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, „ივერთა მხარე“, თბილისი, 1990, გვ. 80-81.
- ¹⁵ 1918 წლის 8 ოქტომბრიდან ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.
- ¹⁶ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 83.
- ¹⁷ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 206.
- ¹⁸ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 458-484.
- ¹⁹ იხ.: რონა კ. მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, მთარგმნელი მ. კობიაშვილი, „სეზანი“, თბილისი, 2005, გვ. 446-463.
- ²⁰ საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), შემდგენელი პროფ. გრ. ერემოვი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 131-160.
- ²¹ საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 192.
- ²² საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 268.
- ²³ 1983 წელს უპრეცედენტო რამ მოხდა, თბილისში აღიმართა დედაენის, ანუ ქართული ენის ძეგლი.
- ²⁴ იხ.: გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წლის 8 მაისი.

- ²⁵ 1990 წლისათვის ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა (იხ.: საქართველოს მოსახლეობა, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2003, გვ. 68).
- ²⁶ საქართველოს პარლამენტის უწყებები, №5 (622), 1993, მარტი, მუხ. 66.
- ²⁷ იხ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1985, ტ. 9, გვ. 245.
- ²⁸ იხ.: საქართველოს პარლამენტში 2002 წლის 7-10 მაისს „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტის განხილვის მასალები.
- ²⁹ ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, სტრასბურგი, 1995, I თებერვალი, იხ.: ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, მეორე ნაწილი, თბილისი, 2008, გვ. 207-220.
- ³⁰ იხ.: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი მესამე, 2005, 27 ოქტომბერი, №125, მუხ. 1401.
- ³¹ საქართველოს პარლამენტის ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია, პირთა რომელი ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ უმცირესობად. დადგენილების მიხედვით, პირთა ჯგუფი ეროვნული უმცირესობის სტატუსით შეიძლება სარგებლობდეს, თუ: მისი წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები; ისინი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისაგან განსხვავდებიან საკუთარი ენობრივი, კულტურული და ეთნიკური იდენტურობით; ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და კომპაქტურად არიან დასახლებულები (მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).
- ³² იხ.: ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008, გვ. 221-244.
- ³³ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, რედ. ვ. გონაშვილი, ნაწილი IV, თბილისი, 2007, გვ. 106-161.
- ³⁴ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, რედ. ვ. გონაშვილი, ნაწილი IV, გვ. 90.
- ³⁵ Конституции государств Европейского Союза, Под ред. Л. А. Окунькова, "Норма-Инфра", М., 1997, с. 103.
- ³⁶ „კვირის პალიტრა“, ყოველკვირეული გაზეთი, №44 (848), 1-7 ნოემბერი 2010, გვ. 5.
- ³⁷ იქვე.
- ³⁸ „ყველა სიახლე“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი (№193), 7-13 იანვარი, 2010, გვ. 11.
- ³⁹ იხ.: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004, №54, ნაწილი III, მუხლი 460.
- ⁴⁰ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, რედ. ვ. გონაშვილი, ნაწილი V, გვ. 254.

STATE LANGUAGE OF GEORGIA

JOHN KHETSURIANI

Judge of the Constitutional Court of Georgia,

Doctor of Law, Professor, Member of the National Science Academy of Georgia

Georgia language is an ancient language having its own, unique alphabet. The historians believe that the King Parnavaz (III c. BC) was the one to popularize the Georgian language and literacy in Georgia. Since IV century AD, when the Christianity was declared as the state religion of Georgia, the Georgian language has become the service language of the Georgian Orthodox Church.

Notwithstanding of the Russification politics of the Russian Empire and the Soviet Authorities, the Georgian people managed to preserve and develop the national language. During the times of the first republic of Georgia (1918-1921) the Georgian language was legally assigned the status of State Language for the first time with the means of the special law (in 1918), as well as the Constitution of Georgia (in 1921). Throughout the Soviet times, the Georgian Language was recognized as the state language by all four constitutions of Georgia. According to the acting Constitution of Georgia (since 1995) “The state language of Georgia shall be Georgian, and in Abkhazia – also Abkhazian” (Article 8).

To our opinion, declaring the status of the Georgian as the State language only by the Constitution of Georgia is not enough. The globalization process poses the Georgian language increased threat to be replaced with some foreign languages. This threat is real, since the State does not have the law on language and therefore legal means of fighting against this threat is unavailable. Therefore, organic law on the state language shall be developed and adopted. The law would define the rules for mandatory usage of State language in various fields of state and social life, determine the legal liability for violating the law on state language, provide for the institutional guarantees for the protection of state language and ensure the implementation of the state language policy in general.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი სამოქალაქო სამართალწარმოებაში

ირმა პერანიძე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არის კოდიფიცირებული ნორმატიული აქტი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სამართალწარმოების ზოგად პრინციპებს, სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობას და განსჯადობას, პროცესის მონაწილე მხარეებს, მათ უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას, საქმეთა წარმოებას ყველა ინსტანციის სასამართლოში, სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებას და ა.შ.

სასამართლოში სამოქალაქო დავის განხილვაში მონაწილე თითოეულ პირს თავისი საპროცესო სტატუსი და შესაბამისი უფლება-მოვალეობები აქვს. ძირითად მხარეებს მოსარჩელე და მოპასუხე წარმოადგენენ, თუმცა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სუბიექტია მესამე პირი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განასხვავებს მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნითა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის დეფინიცია.

მითითებული ნორმის თანახმად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი არის საპროცესო სუბიექტი, რომელიც, მართალია, უშუალოდ არ არის სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე, არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, მაგრამ მიმდინარე სასამართლო დავის სამართლებრივი შედეგები სამომავლოდ შეიძლება უშუალოდ შეეხოს მის კანონიერ უფლება-მოვალეობებსა და ინტერესებს. იგი შესაძლოა მომდევნო დავაში იყოს მოპასუხე.

განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა:

1. სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც იპოთეკის საგნის მესაკუთრე და პირადი მოვალე ერთი და იგივე პირი არ არის, იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის დაბრუნების თაობაზე მიმდინარე დავაში შესაძლებელია დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმული იქნეს იპოთეკის საგნის მესაკუთრე, ვინაიდან, თუკი დაკმაყოფილდება კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნა და თანხის გადახდა დაეკისრება მოვალეს, სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სამომავლო დავაში სავარაუდო მოპასუხე იქნება იპოთეკის საგნის მესაკუთრე.

2. სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა დაუთმოს მესამე პირს... ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი.

თუკი სასამართლო წარმოებაში იქნება ახალი კრედიტორის (ვისაც დაუთმეს მოთხოვნა) დავა მოვალის მიმართ, საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად შეიძლება ჩაბმული იქნეს თავდაპირველი კრედიტორი, რომელმაც სკ ის 199-ე მუხლის შესაბამისად, გადასცა მოთხოვნის უფლება ახალ კრედიტორს, ვინაიდან, საქმეში მონაწილეობით შესაძლოა იგი დაეხმაროს მოსარჩელეს, დაიცვას მისი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ.

გარდა ამისა, მოცემული დავის დასრულების შემდეგ, შესაძლოა ახალ კრედიტორს გაუჩნდეს რეგრესის წესით მოთხოვნის უფლება ძველი კრედიტორის მიმართ.

3. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მომეტებული საფრთხის წყაროდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების სარჩელებში მატერიალური სამართალურთიერთობა არსებობს მოსარჩელეს (დაზარალებული) და მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს შორის და არა მოსარჩელესა და ზიანის უშუალო მიმყენებელს შორის. უშუალოდ ზიანის მიმყენებელი შეიძლება საქმეში მონაწილეობდეს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირად.

ამდენად, განხილულ მაგალითებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საფუძვლიანი სამართლებრივი ინტერესი მიმდინარე სამართალწარმოების მიმართ. პროცესში მათი მონაწილეობა განპირობებულია მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობიდან. საქმეში ჩართული დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირი ცდილობს დაეხმაროს იმ პირს, რომლის მხარესაც იგი მონაწილეობს პროცესში, რათა დაიცვას თავისი პირადი ინტერესები. იგი ებმება თავდაპირველ მხარეთა შორის უკვე დაწყებულ და მიმდინარე პროცესში. მისი მიზანი პროცესში მონაწილეობისას არის პირადი ინტერესების დაცვა, რადგან ძირითად დავაზე სასამართლო

გადაწყვეტილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

თუ შევადარებთ თანამონაწილისა და მოპასუხის მხარეზე ჩაბმულ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირს, მათი ინტერესები ერთმანეთისაგან განსხვავდება: თანამოპასუხე ყოველთვის არის მოსარჩელის მოწინააღმდეგე მხარე და მის წინაშე გააჩნია, მთლიანად ან ნაწილობრივ, უშუალო, პირდაპირი პასუხისმგებლობა, ხოლო მოპასუხის მხარეზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირი იმყოფება მატერიალურსამართლებრივ დამოკიდებულებაში მხოლოდ მოპასუხესთან და პირდაპირი პასუხისმგებლობა მოსარჩელის მიმართ არ გააჩნია. ასეთ მესამე პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მოპასუხის მიერ რეგრესული წესით წარდგენილ დამოუკიდებელ პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრეს შემთხვევაში, ტიპური საფუძველი უკვე დაწყებულ საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის ჩართვისა არის ძირითად დავაზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ერთ-ერთი მოდავე მხარის რეგრესული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა მესამე პირის მიმართ.

მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, შესაძლებელია თუ არა ერთად იქნეს განხილული ძირითადი და რეგრესული სარჩელები.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით დგინდება, რომ უფრო ხშირად ისინი განხილვება დამოუკიდებლად, თუმცა, საპროცესო კანონმდებლობა არ გამორიცხავს მათი ერთად განხილვის შესაძლებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს წარმობაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმობად, ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის სწრაფად და სწორად განხილვა.

მითითებული ნორმის თანახმად, დასაშვებია ერთად იქნეს განხილული დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მონაწილეობით ძირითადი და რეგრესული სარჩელები, რაც გამოიწვევს სასამართლო დროისა და რესურსის ეკონომიას.

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის საქმეში დაშვების საკითხი რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-90-ე მუხლებით.

სსსკ-ის 89-ე მუხლის შესაბამისად, „ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, წყვეტს სასამართლო“.

სსსკ-ის 90-ე მუხლის შესაბამისად, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შეიძლება საქმეში ჩაბმული იქნეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით. ასეთი განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეიძლება გაკეთდეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით.

ზეპირი ფორმის განცხადება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას მესამე პირის საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმის ან ასეთ ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ.

მითითებულ ნორმათა მიხედვით, მესამე პირი, მოსარჩელისა და მოპასუხისაგან განსხვავებით, ერთეულ უკვე დაწყებულ სასამართლო პროცესში და იურიდიული ინტერესი აქვს განსახილველი დავის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის ჩაბმის სამართლებრივ საფუძველს მხოლოდ იურიდიული ინტერესი არ წარმოადგენს. იგი აუცილებელია, მაგრამ არსებობს მაშინ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მესამე პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.¹

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, საქმეში შეიძლება დაშვებულ იქნას როგორც თავად დაინტერესებული მხარის, ასევე, მოსარჩელის ან მოპასუხის შუამდგომლობით (განცხადებით).

პრაქტიკული დასკვნები ამ გადაწყვეტილებისა მდგომარეობს შემდეგში: თუ მოპასუხე ყოველთვის მხოლოდ პასიური მხარეა საქმეში იმდენად, რამდენადაც მას ინვესტს მოსარჩელე, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმა შეიძლება იყოს თავად ამ პირის პირადი ინიციატივა, ანუ ადრეული მისწრაფება, გამორიცხოს შესაძლებლობა მოპასუხის რეგულური სარჩელით მისთვის განსაზღვრული ვალდებულების დაკისრებისა.

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის პროცესში ჩაბმისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მხარის შუამდგომლობა (განცხადება). განცხადება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის საქმეში ჩართვის თაობაზე მოტივირებული უნდა იყოს. იგი შეიძლება არ დააკმაყოფილოს სასამართლომ. აღნიშნულის თაობაზე პირდაპირ არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, თუმცა, მითითებულია, რომ საქმის მომზადების ეტაპზე სასამართლო წყვეტს საკითხს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის საქმეში მონაწილეობასთან დაკავშირებით (სსკ-ის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ.ბ“ ქვეპუნქტი).

როგორც წერილობითი, ასევე, ზეპირი შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლო ვალდებულია მოისმინოს მხარეთა მოსაზრებები და მოტივირებული განჩინებით საქმეში ჩართოს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირი ან უარი თქვას მის ჩართვაზე. სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ ვის მხარეზე ხდება მესამე პირის ჩართვა და კონკრეტულად რაში გამოიხატება მისი იურიდიული ინტერესი, აგრეთვე, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილებამ მესამე პირის უფლებებსა ან/და ვალდებულებებზე პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიმართ.²

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სწორად ე.ი. კანონის შესაბამისად, გადაწყვიტოს მესამე პირად დაშვების საკითხი, სასამართლომ ზუსტად და ნათლად უნდა გაარკვიოს, რა გავლენას მოახდენს ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება იმ პირის ერთ-ერთი მხარის მიმართ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც მესამე პირად საქმეში ჩართვას მოითხოვს.³

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც საქმეში მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმულნი არიან პირები, რომლებსაც მოცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით არ შეიძლება წარმოეშვათ რაიმე უფლებები და მოვალეობები საქმეში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელებზე მესამე პირად ჩაბმულ ნოტარიუსს სარჩელის დაკმაყო-

ფილების, ან მასზედ უარის თქმის შემთხვევაში, არანაირი უფლებები და მოვალეობები მხარეთა მიმართ არ წარმოეშობა.

შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამოსავალ წერტილს საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმის საკითხის გადაწყვეტისას გასარკვევია, წარმოეშობა თუ არა დაინტერესებულ პირს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გარკვეული უფლებები და მოვალეობები რომელიმე მხარის მიმართ.⁴

დღეისათვის, საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკით, ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა და ჩააბას საქმეში მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, თუ დაადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია, შემდგომში, გავლენა მოახდინოს პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. ასეთი მესამე პირი დავაში, როგორც წესი, ერთვება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო სააპელაციო სასამართლოში მისი ჩართვა დასაშვებია, თუ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპატიო მიზეზები ასეთი შუამდგომლობის პირველი ინსტანციის სასამართლოში წარუდგენლობისა.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირს, როგორც საპროცესო სუბიექტს და მისი დავაში ჩაბმის წესებს ასევე, ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა.

მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლისა და რუსეთის არბიტრაჟის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირები შეიძლება საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმული იქნენ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმეში მონაწილე პირთა შუამდგომლობით ან სასამართლოს (არბიტრაჟის) ინიციატივით.

რუსეთისა და საქართველოს საპროცესო კანონმდებლობებით დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირების საქმეში ჩართვის წესებს შორის ის არსებითი განსხვავებაა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს ინიციატივით ასეთი მესამე პირის საქმეში ჩაბმის პროცესუალურ შესაძლებლობას. თუმცა, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ.ბ“ ქვეპუნქტი უფლებას აძლევს სასამართლოს წინადადება მისცეს მხარეებს დროულად განაცხადონ, თუ ვინ შეიძლება ჩაებას საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე.⁵

გარდა ამისა, რუსეთის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა არ გამორიცხავს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირების დავაში ჩაბმის შესაძლებლობას.

დავის განხილვაში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს პროცესუალური ამოცანების მთელი კომპლექსის შესრულებას: უპირველესად, ეს არის დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის სახით მონაწილე სუბიექტის მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესის დაცვა; მეორე მხრივ, საქმეში მოსარჩელედ ან მოპასუხედ მონაწილე პირთა სუბიექტური უფლებების დაცვაში დახმარება; მესამე – საქმეზე ყველა გარემოების მრავალმხრივი, სრული გამოკვლევა და სწორად დადგენა; მეოთხე – სასამართლო დროისა და რესურსის ეკონომია.⁶

როგორც ირკვევა, მესამე პირები, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, დავაში მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენენ. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად,

ისინი არ სარგებლობენ მხარის ყველა უფლებით, კერძოდ, მათ არ გააჩნიათ უფლება: გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი; ცნონ სარჩელი; უარი თქვან სარჩელზე; მორიგდნენ; აღძრან შეგებებული სარჩელი; სააპელაციო ან საკასაციო წესით გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები; მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება⁷ (სსკ-ის 91-ე, 364-ე მუხლები). თუმცა, აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირების საპროცესო უფლებები, ამ ნორმისგან განსხვავებით, უფრო განვრცობილად არის განმარტებული სასამართლო პრაქტიკით, რაზედაც შემდგომში იქნება საუბარი.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის ერთ-ერთი უმთავრესი საპროცესო უფლებაა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, წარადგინოს კერძო საჩივარი ისეთ განჩინებებზე, რომლებიც შეეხება მის ინტერესებს და რომელთა გასაჩივრება დამოუკიდებლად არის შესაძლებელი.

გარდა 414-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლებისა, საქმის განხილვაში მონაწილეობისას დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირები იძლევიან განმარტებებს საქმესთან დაკავშირებით, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მოწმეთა დაკითხვაში, წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, ექსპერტთა დაკითხვაში, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო კამათში და ა.შ.⁸

მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირს არა აქვს უფლება სააპელაციო თუ საკასაციო წესით გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ დღეისათვის არსებული სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ასეთი გასაჩივრება შესაძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 28 მაისის განჩინებით სამოქალაქო საქმეზე №ას-323-676-07 განხილული იქნა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

საქმის მასალების თანახმად, მოდავე მხარეებს (მოსარჩელე, მოპასუხე) წარმოადგენდნენ პირველი რიგის მემკვიდრეები, ხოლო დავის საგანს წარმოადგენდა სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა და მემკვიდრედ ცნობა. აღნიშნულ დავაში ჩაბმული იქნა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირი, რომელსაც ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, გადაეცა სადავო სამკვიდრო უძრავი ქონება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და, იმავდროულად, გაუქმდა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის სახელზე შედგენილი ჩუქების სანოტარო ხელშეკრულება. პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირმა. მისი სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, რაც კერძო საჩივრის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი, განსაზღვრავს რა, სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირთა წრეს, აღნიშნულ შესაძლებლობას აძლევს იმ პირებს, რომელთა კანონიერ ინტერესებსაც უშუალოდ ეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამასთან, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხო

ისეთი პირის უფლებებს, რომელიც საქმეში არ იყო ჩაბმული მოსარჩელედ, მოპასუხედ ან თანამონაწილედ, არც მესამე პირად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და არც უფლებამონაცვლედ, ასეთ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რადგან დარღვეულია მხარის კანონით გარანტირებული უფლება – მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.⁹

საკასაციო სასამართლომ მითითებულ დავაზე აღნიშნა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა რა, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის სახელზე სანოტარო აქტის საფუძველზე შედგენილი უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, იგი უფლებამოსილი იყო სააპელაციო წესით გაესაჩივრებინა მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს განჩინებაში ასახულია ის კონკრეტული შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით გადაწყდა საკითხი, რომელიც უშუალოდ შეეხო დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის უფლებას.

ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირს ყველა შემთხვევაში არა აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. მას შეუძლია გადაწყვეტილება გაასაჩივროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება პირდაპირ და უშუალოდ შეეხება კანონით დაცულ მის უფლებებს.

მნიშვნელოვანია იმ შემთხვევის განხილვა, თუ რა გავლენას ახდენს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის უფლებებზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს, არ შეუძლიათ... სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

ამავე კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

მითითებულ ნორმათა მიხედვით, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა მონაწილეობით გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები, როგორც პრეიუდიციული მნიშვნელობისა, ვრცელდება მესამე პირთა მიმართაც და რეგრესული სარჩელების პროცესში არ შეიძლება სადავო გახდეს.

მაგალითად, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრება ზიანის ანაზღაურება, ასეთ დავაში მონაწილე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის მიმართ უკუმოთხოვნის წაყენებისას, ანუ რეგრესული სარჩელის განხილვისას დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირს აღარ ექნება უფლება ამტკიცოს, რომ უკუმოთხოვნის წამყენებელს უსაფუძვლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება. მას მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ამტკიცოს, რომ უკუმოთხოვნის აღმძვრელ მოსარჩელეს უსაფუძვლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება, თუ იგი არ იყო ჩაბმული პროცესში (არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული პროცესის შესახებ). ეს ნიშნავს, რომ ფაქტების დადგენის ნაწილში გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მესამე პირზე, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თუ იგი ჩაბმული იყო საქმის განხილვაში.¹⁰

როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს დასაბუთებული შუამდგომლობა და ჩააბას საქმეში მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, თუ დაადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია, შემდგომში, გავლენა მოახდინოს ასეთი პირის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. თუმცა, ასეთმა მოქმედებამ შესაძლოა მესამე პირს სამომავლო დავაში შეუზღუდოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები, რაც გამომდინარეობს თანასწორობის, შეჯიბრებითობისა და დიპოზიციურობის პრინციპებიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, „სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.“

ამდენად, დავის წარმოებისას, მოპასუხეს უფლება აქვს გამოთქვას მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, აგრეთვე, წარუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებათა სიყალბეს, არასარწმუნოობას და ა.შ.

თუ სარჩელი წარდგენილი იქნება იმ მოპასუხის მიმართ, რომელიც თავდაპირველ დავაში მონაწილეობდა, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირი, ასეთი მოპასუხე არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდება მოსარჩელის მიმართ, რადგანაც დადასტურებულად ჩაითვლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შედავებისა და გასაჩივრების შესაძლებლობა მხარეს, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირს არ გააჩნდა.

დღეისათვის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მხარის, მათ შორის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის, საქმიდან ამორიცხვის შესაძლებლობას და, როდესაც იგი საქმეში ჩაბმულია მოსარჩელის, ან მოპასუხის ინიციატივით, აღნიშნული ინვეს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, უფლებებში შეზღუდული პირის დავაში იძულებით მონაწილეობას და ზრდის სამომავლო დავაში მისი, როგორც მოპასუხის, უფლებების შეზღუდვის რისკს.

შესაბამისად, მისი დავაში ჩაბმის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო მხოლოდ საპროცესო ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით არ უნდა შემოიფარგლოს, სამომავლოდ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს რამდენად იქნება დაცული დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის უფლებები, ხომ არ იქნება დარღვეული სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითადი პრინციპები და ისე გადაწყვიტოს მოსარჩელის ან მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის საქმეში დაშვების საკითხი.

მოსარჩელის ან მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, მესამე პირის დაშვების საკითხის გადაწყვეტამდე მიზანშეწონილია, სასამართლომ მოისმინოს ასეთი პირის მოსაზრება და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში, ჩააბას იგი დავაში. ასეთი მოქმედებით დაცული იქნება ძირითად მხარეთაგან განსხვავებით უფლებაშეზღუდული მესამე პირი, რათა აიცილოს სამომავლო დავაში სსსკ-ის 106-ე მუხლით განსაზღვრული საპროცესო შედეგები.

შენიშვნები:

1. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2005, გვ. 135;
2. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2005, გვ. 136;
3. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2005, გვ. 131;
4. თ. ლილუაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2003, გვ. 267-272;
5. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ. 173;
6. Гражданский процесс, Юридическая литература, Москва, 1968, стр. 86-93;
7. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2005, გვ. 137;
8. Гражданский процесс, Юридическая литература, Москва, 1968, стр. 90;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2005 წელი, №12, გვ. 50-52; ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: თ. ლილუაშვილი, აპელაცია სამოქალაქო პროცესში, თბ., 2005, გვ. 31-33;
10. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2005, გვ. 382-384.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 2011;
2. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007;
3. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2005;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2005 წელი, №12;
5. Гражданский процесс, Юридическая литература, Москва, 1968;
6. თ. ლილუაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2003;
7. თ. ლილუაშვილი, აპელაცია სამოქალაქო პროცესში, თბ., 2005;
8. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.

THE THIRD PARTY IN CIVIL PROCEEDINGS WITHOUT SEPARATE CLAIM

IRMA PERANIDZE

Judge of the Kutaisi Appellate Court

The new Civil Procedure Code of Georgia, which is substantially different from the Civil Procedure code of Georgia dated back to 1964, entered into force in 1997, though some set of norms that comply with current social and economic requirements are retained in a new code as well.

Substantial law is basically dispositional and enables the participants of legal relations to freely define the contents, rights and responsibilities of these relations.

Whereas the norms of procedure law are normally of imperative nature and the participants of these legal relations are not authorized to change or transform them.

In other words, participants of formal relationships are equipped only with those rights and responsibilities prescribed by legislation or law practice.

Therefore, the quality of democracy and freedom of the legal system of state is determined on the bases of procedure legislation.

Despite of the amount of rights a person has, they will be deemed if the person fails to realize and protect these rights through coercion mechanisms of the state.

Therefore, the European Court of Human Rights when dealing with the cases involving the violation of Article 6 of the European Convention on Human Rights, always examines whether the formal, procedure rights of the applicant were observed and whether these rights recognized by national legislation comply with prescribed human rights standards.

The Civil Procedure Code defines the separate issues of law proceedings in details, but after adoption of this law, it is necessary to find out whether the procedure norm is effective, and whether some amendments and additions are needed.

Chapter XI of the Civil Procedure Code refers to third parties. The code differentiates between the third parties with separate claim and the third parties without separate claim.

This article aims to analyze the acting norms related with the rights-responsibilities of the third party without separate claim, envisaged under the Civil Procedure Code and to provide suggestions on the protection of rights of these persons.

მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებებში

სიმონ ჩხაიძე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

ვახტანგ აბაშმაძე წიგნში „ქართული ინტელექტუალური ფენომენი“ განიხილავს კოლხეთის მეფის, გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესს და აღნიშნავს „ანონიმ კოლხ სწავლულ იურისტთა“ განაფულობას, არა მარტო ქართულ, არამედ ძველ რომაულ სამართალშიც¹. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საქართველოსათვის ოდითგანვე არ იყო უცხო რომაული სამართალი და ის, რასაც ამ სამართლის რეცეფცია დაერქვა, ჩვენში, დასავლეთ ევროპასთან შედარებით ადრე უნდა მომხდარიყო. მაგრამ, როგორც იტყვიან, ისტორიულმა ბედუკულმართობამ სხვაგვარად წარმართა ქვეყნის ბედი. ამიტომ, მე-20 საუკუნის ბოლოს, რომანულ-გერმანული სამართლის პრინციპებზე აგებული სამოქალაქო კოდექსის მიღება ჩვენთვის ტრადიციებისაკენ მიბრუნებაა და არა ახლის შექმნა.

რომაელები სამოქალაქო სამართლის შემოქმედნი არიან. სამართლის ამ დარგის უმნიშვნელოვანესი საკითხები პირველად, სწორედ მათ დაარეგულირეს. მათ შორის იყო ე.წ. სოლიდარული ურთიერთობებიც.

სოლიდარულ ურთიერთობათა არსი რომში რამდენადმე განსხვავდებოდა თანამედროვესაგან. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოვალეთა და კრედიტორთა ყოველი სიმრავლე სოლიდარულობად არ ითვლებოდა. ვალდებულებებს *in solidum* (სრულად) ჰქონდა თავისი მოქმედების სფერო და იყოფოდა არა მარტო აქტიურ და პასიურ, არამედ უფრო ვიწრო კუთხით: უშუალო და კორეალურ სოლიდარულობად (თუმცა, მოგვიანებით, ამ მეორე დატვირთვამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა). ამასთან, თუკი პირველ დაყოფას გააჩნდა ჰქონდა მატერიალურსამართლებრივი შინაარსი, მეორე უფრო პროცესთან იყო დაკავშირებული და, როგორც ჩანს, თავდაპირველად სპეციფიკურ მნიშვნელობას ატარებდა.

რომში სოლიდარულობა შეეძლო გაეთვალისწინებინა კანონს ან ხელშეკრულებას. იმ შემთხვევაში, როცა ეს ასე არ ხდებოდა, დგებოდა პირთა წილობრივი ვალდებულება, ამასთან, ჩვეულებრივ, თუ სხვა რამ არ იყო დათქმული, იგულისხმებოდა თანაბარი წილი. თუმცა, სავალდებულო არ იყო პირდაპირ მითითებულიყო *in solidum*, ამისათვის საკმარისი იქნებოდა მოვალეთა ურთიერთთავდებობა. ასეთივე თავისებურებით ხასიათდებოდა დელიქტური პასუხისმგებლობაც. ზოგიერთი მათგანის დადგომა იწვევდა პირთა მოვალეობას გადაეხადათ ჯარიმა სრული მოცულობით და ეს არ გაათავისუფლებდა სხვა მოვალეებს იმავე ვალდებულების შესრულები-საგან. ასე, რომ კრედიტორს შეეძლო მიეღო ანაზღაურება იმდენჯერ, რამდენი მოვალეც ჰყავდა.² ამათ გარდა, არსებობდა ვალდებულებები *in solidum*, რომელშიც იგულისხმებოდა:

ა) კრედიტორთა სიმრავლე (აქტიური სოლიდარულობა), როდესაც მოვალეს შეეძლო ვალდებულება შეესრულებინა ნებისმიერი კრედიტორის წინაშე და პირიქით: ნებისმიერ კრედიტორს უფლება ჰქონდა მოეთხოვა ვალდებულების შესრულება სრული მოცულობით და ეს გაათავისუფლებდა მოვალეს ვალდებულებისაგან სხვა კრედიტორების მიმართ, მაგრამ არ ხსნიდა უფლებას თავად კრედიტორებს მოეთხოვათ ვალდებულების შესრულება, ოღონდ ამჯერად ყოფილი თანაკრედიტორის მიერ, რასაკვირველია, მისი წილის გამოკლებით.

ბ) მოვალეთა სიმრავლე (პასიური სოლიდარულობა), როდესაც კრედიტორს შეეძლო მთელი ვალდებულების შესრულება მიეღო ნებისმიერი მოვალისაგან (ე.ი. ერთ ვალდებულებაზე არსებობდა რამდენიმე მოვალე) და ვალდებულების შესრულება, ამ შემთხვევაში, ნყვეტდა ვალდებულების მოქმედებას ყველა სხვა მოვალის მიმართ. აქაც ვალდებულება ამსრულებელ მოვალეზე გადავიდოდა ე.ი. მას წარმოეშობოდა პასიური სოლიდარულობა ყოფილ თანამოვალეთა მიმართ.

რალა თქმა უნდა, შეიძლება არსებულიყო ერთდროულად პასიური და აქტიური სოლიდარულობა, ეს იმ შემთხვევაში, თუ ერთ ვალდებულებაზე ერთდროულად რამდენიმე მოვალე და კრედიტორი გამოვიდოდა.

როგორც აღვნიშნეთ, კლასიკური პერიოდის სამართალი სოლიდარულობას სხვა კუთხითაც განასხვავებდა: მათ შორის, საკუთრივ სოლიდარულობა, წარმოიშობოდა იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება პირებს ეკისრებოდათ მათი ნებისაგან დამოუკიდებლად, ანუ კანონის ძალით, რაც გულისხმობდა, რომ ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი მოვალის მიერ ათავისუფლებდა სხვა მოვალეებს ამ ვალდებულებისაგან, ხოლო მეორე – კორეალური, იმ შემთხვევაში, თუ სოლიდარულობა წარმოიშობოდა ვალდებულების მონაწილე მხარეთა ნებით, იგივე შედეგი დადგებოდა, როცა კრედიტორი მიიყვანდა სარჩელს ერთ-ერთი მოვალის მიმართ ლიტისკონტესტაციამდე, თუნდაც სარჩელი არ დაკმაყოფილებულიყო. მოგვიანებით, იუსტინიანეს კოდიფიკაციისას, ამ ორ სახეს შორის განსხვავება უკვე აღარ არსებობდა და ლიტისკონტესტაცია აღარ ითვლებოდა ვალდებულების მოქმედების შემწყვეტ პირობად.³

არსებობდა თუ არა ქართულ სამართალში ვალდებულებები ინ სოლიდუმ, რთული სათქმელია. როგორც ივანე ჯავახიშვილი არაერთხელ აღნიშნავს, წყაროთა სიმცირე აძნელებს ქართული სამართლის კვლევას.⁴ განსაკუთრებით ეს შეიძლება ქართული სამოქალაქო სამართლის შესახებ ითქვას, მაგრამ მსგავსი ურთიერთობების არსებობა (და, რომ არსებობდა ხელშეკრულება დავუშვათ სესხისა, სადაც რამდენიმე პირი მონაწილეობდა, უდავოდ დადასტურებულია ფაქტებითა და დოკუმენტებით), აგრეთვე ქართული და რომაული (შემდგომში – ბიზანტიური) სამართლის მჭიდრო კავშირი გვაფიქრებინებს, რომ სოლიდარულ ვალდებულებათა სისტემა ჩვენშიაც

მონესრიგებული უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი პირობა სოლიდარულობისა, თავდებობა ვალდებულებებში, ნამდვილად არსებობდა, რაც შესანიშნავად აქვს გამოკვლეული ივანე ჯავახიშვილს და, აგრეთვე, მას ეხება (მართალია, სხვა კუთხით) ილია ჭავჭავაძეც აღნიშნავს თავის ცნობილ ნარკვევთა ციკლში „ცხოვრება და კანონი“, სადაც იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ ვალდებულებებზე თავდებობას ქართველი გლეხები სოლიდარული ვალდებულების წარმომშობად თვლიდნენ (რასაკვირველია, ამ ტერმინს იგი არ ხმარობს, მაგრამ შინაარსობრივად ზუსტად ეს იგულისხმება) და გაურბოდნენ.⁵ ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა ამ საგნის უფრო საგულდაგულო კვლევა და, საერთოდ, მთელი ქართული სამართლის, რაც ჩვენი თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობის სრულყოფას უდავოდ შეუწყობს ხელს.

ვიდრე, საქართველოში მოქმედ სოლიდარულ ურთიერთობებზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით უნდა მიმოვიხილოთ დასავლეთის ქვეყნებში არსებული სოლიდარულ ურთიერთობათა სისტემა. ამ მხრივ, ყველაზე სამაგალითოდ შეიძლება ფრანგული სისტემა მივიჩნიოთ, რადგან თუ რომაელებმა საერთოდ სამოქალაქო სამართალი შექმნეს, ფრანგები არიან თანამედროვე სამოქალაქო სამართლის შემოქმედნი.

სოლიდარულ ურთიერთობათა ფრანგული კონცეფცია, ძირითადად, ემყარება იმავე პრინციპებს, რასაც ძველი რომაული. აქაც განასხვავებენ ერთმანეთისაგან აქტიურსა და პასიურ სოლიდარულობას და აგრეთვე, საკუთრივ სოლიდარულობასა და ვალდებულებებს *in solidum*, თუმცა, ამ უკანასკნელს განსხვავებული დატვირთვა აქვს. აქტიური სოლიდარულობა წარმოიშობა ვალდებულებებში კრედიტორთა სიმრავლის დროს. კრედიტორთა სიმრავლე გამოიხატება იმაში, რომ ნებისმიერი კრედიტორთაგან არის მთელი ვალდებულების კრედიტორი და აქვს ვალდებულების მთლიანად შესრულების მოთხოვნის უფლება, ხოლო თუ მოვალე სრულად შეუსრულებს ვალდებულებას კრედიტორთაგან ერთ-ერთს, იგი მთლიანად თავისუფლდება მოვალეობისაგან.⁶ აქტიური სოლიდარულობის პრინციპებია:

1. ყველა კრედიტორს ცალკ-ცალკე აქვს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება;
2. ერთ-ერთი კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის აღნიშვნა ან მოქმედება, რომელიც წყვეტს სასარჩელო ხანდაზმულობას ერიცხება ყველა კრედიტორს;
3. მოვალე უფლებამოსილია, შეუსრულოს სრული ვალდებულება ნებისმიერ კრედიტორს და ამით გათავისუფლდეს. ამას იგი აკეთებს საკუთარი არჩევანით, თუ რა თქმა უნდა, რომელიმეს მიერ არ არის აღძრული სარჩელი;
4. კრედიტორთაგან ის, რომელიც მიიღებს მთელი ვალდებულების შესრულებას, მოვალეა, თუ ვალდებულება გაყოფადია, დანარჩენებს მისცეს ის წილი, რაც მათ ეკუთვნით.

პასიური სოლიდარულობა დგება მაშინ, როცა ერთ ვალდებულებაზე რამდენიმე მოვალეა (აქაც რომაული სამართლის პრინციპი მოქმედებს). ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება საერთო კრედიტორს აქვს ნებისმიერი მოვალისაგან. ეს უფლებამოსილება წყდება მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მოვალე გარდაიცვლება. შთამომავლობაზე გადადის მხოლოდ წილი და არა სოლიდარული პასუხისმგებლობა სხვა მოვალეთა მსგავსად (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დათქმული). პასიური სოლიდარულობა არის გარანტია კრედიტორთათვის ერთ-ერთი მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში.⁷ ჩვეულებრივ, ამ ხელშეკრულებას დებენ თავდებთანაც (მაგალითად, როდესაც პირი თავდებობს სესხში).

ფრანგული სამართლის მიხედვით, „სოლიდარულობა არ იგულისხმება“;⁸ რადგან იგი არის გამონაკლისი საერთო წესიდან, რაც თავის შედეგებს იწვევს:

1. ვინც მიუთითებს სოლიდარულობაზე, უნდა ამტკიცოს, რომ ამის შესახებ იყო გამოთქმული მხარეთა ნება;
2. სასამართლოს არა აქვს უფლება დაადასტუროს სოლიდარულობის არსებობა მოვალეთა შორის, მისი წარმოშობის საფუძვლების მითითების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადანყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას საკასაციო ინსტანციაში.
ის, რომ სოლიდარულობა უნდა იყოს დადასტურებული არ გულისხმობს, რომ გარიგებაში აუცილებლად უნდა არსებობდეს წერილობითი დათქმა სოლიდარულობის არსებობის შესახებ, საკმარისია, მხარეთა ნება გამომხატული იყოს აშკარად და პირდაპირ.
სავაჭრო სამართალი გამონაკლისია წესიდან – აქ სოლიდარულობა იგულისხმება.
რომაული ტრადიციის თანახმად, სოლიდარულობის საფუძველი გარდა მხარეთა ნებისა, არის კანონი. ეს ხდება სამ შემთხვევაში:
 1. მხარეთა ნების განმარტებით:
 - ა) როდესაც რამდენიმე პირი აიღებს სესხს ერთობლივად, ისინი კრედიტორის წინაშე სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი;
 - ბ) როდესაც მინდობილ პირს რწმუნება მიეცემა რამდენიმე მარწმუნებლის მიერ ერთობლივად, რწმუნებული მარწმუნებელთა წინაშე სოლიდარულად აგებს პასუხს;
 - გ) სრული ამხანაგობის (სპს) პარტნიორები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი საწარმოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე, თუნდაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განეხორციელებინა არა ყველა პარტნიორს ერთობლივად, არამედ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს;
 - დ) ინდოსანტები თამასუქზე, თამასუქის გამცემთან ერთად სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი თამასუქის მფლობელის წინაშე.
 2. კანონი, გარანტიის სახით, სოლიდარულობას ანესებს იმ კრედიტორების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებენ, მაგალითად, მეურვე დაქორწინების შემდეგ მეუღლესთან ერთად სოლიდარულად არის პასუხისმგებელი სამეურვეო პირის ქონების მართვაზე.
 3. სოლიდარული პასუხისმგებლობა არის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საშუალება კანონით განსაზღვრულ ზოგიერთ შემთხვევაში:
 - ა) თუ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდგომ ცოცხალი მეუღლე, რომელიც გახდება თავისი არასრულწლოვანი შვილის მეურვე (ფრანგული სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, მშობლების სამართალურიერთობა შვილებთან განისაზღვრება, როგორც კანონისმიერი – ოფიციალური მეურვისა სამეურვეო პირთან) არ ჩაატარებს მეუღლეთა საერთო ქონების აღწერას, მას ეკისრება სოლიდარული პასუხისმგებლობა მეურვის მოადგილესთან ერთად ყველა იმ მოთხოვნაზე, რომლის დაკმაყოფილების უფლებაც აქვს მეურვეობის ქვეშ მყოფ პირს;
 - ბ) საანდერძო დანაკისრის ამსრულებელნი არიან სოლიდარულად პასუხისმგებელნი;
 - გ) ყველა პირი, რომელიც დასჯილი იქნება ერთობლივი დანაშაულისათვის ან გადაცდომისათვის, სოლიდარულად არის პასუხისმგებელი ჯარიმის გადახდაზე და ქონების დაბრუნებაზე;
 - დ) პირები, რომლებიც ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედებით ზიანს მიაყენებენ პირს სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი მის წინაშე. ეს პრინციპი ამოღებულია რომის სამართლისა და რევოლუციამდელი ფრანგული სამართლის პრაქტიკიდან, თუმცა, გარკვეულწილად წინააღმდეგობაშია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლთან, რომ სოლიდარულობა

არ იგულისხმება. მაგრამ ფრანგი იურისტები ზემოხსენებულ მუხლს ავრცელებენ მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.⁹ ამით ისინი ყველა ამ პრინციპს იცავენ და სავსებით სამართლიანადაც.

სოლიდარული მოვალეობის დროს კრედიტორის უფლებები ეფუძნება ერთიანი ვალის ცნებას, ვალდებულების ერთი საგნითა და რამდენიმე მოვალით, რომელთაგან ყოველი პირადად და სხვებისაგან დამოუკიდებლად აგებს პასუხს ამ ვალის მთლიანად, სრული მოცულობით დაფარვაზე. ამასვე ეფუძნება მოვალის დაცვითი საშუალებები. შესაბამისად, პასიური სოლიდარულობის დროს მოქმედებს ორი პრინციპი: ა) ვალის ერთიანობა; ბ) მოვალეობათა სიმრავლე. ამ ორ პრინციპს ემყარება, როგორც კრედიტორთა, ასევე მოვალეთა უფლებები.

კრედიტორის უფლებებია:

ერთიანი ვალის პრინციპის შედეგად:

მოთხოვოს ნებისმიერ მოვალეს ვალის მთლიანად დაფარვა და შესაბამისად, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს სარჩელი ამის თაობაზე, ნებისმიერი სოლიდარული მოვალის მიმართ. მოვალეს, თავის მხრივ, უფლება აქვს დააყენოს შუამდგომლობა საქმეში თანამოვალეთა ჩართვის მოთხოვნით.

მოვალეობათა სიმრავლის პრინციპის შედეგად:

ეს პრინციპი გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი თანამოვალეთაგან მოვალეობას დამოუკიდებლად ატარებს, ამის გამო:

- ა) ერთ-ერთი მოვალის მიმართ სარჩელის შეტანა კრედიტორს ხელს არ უშლის სარჩელი შეიტანოს სხვა თანამოვალეთა მიმართაც;
- ბ) ერთ-ერთი თანამოვალის გარდაცვალების შემთხვევაში, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან არა სოლიდარულად, არამედ წილობრივად, შესაბამისად, მათი წილისა სამკვიდროში. ეს საფრთხეს უქმნის კრედიტორს და ამიტომ, ჩვეულებრივ, ხელშეკრულებაში უთითებენ არა მარტო ვალდებულების სოლიდარულობას, არამედ მის განუყოფლობასაც.¹⁰

სოლიდარულ მოვალეთა დაცვითი საშუალებებია:

ერთიანი ვალის პრინციპის შედეგად:

- ა) ყოველ თანამოვალეს უფლება აქვს მიუთითოს იმ საფუძვლებზე, რომელიც ვალდებულების მთლიანად გაუქმებას გამოიწვევს. მაგალითად, გადახდა, ხანდაზმულობის ვადის გასვლა და ა.შ.
- ბ) ყოველ მოვალეს უფლება აქვს კრედიტორის სარჩელის წინააღმდეგ წამოაყენოს ის შესაგებელი, რომელიც ეხება ვალდებულების არსს. მაგალითად, ვალდებულების ბათილობა მისი კანონსაწინააღმდეგობისა ან სათანადო ფორმის დაუცველობის გამო. ამას ეწოდება ყოველი მოვალისათვის საერთო შესაგებელი.

მოვალეობათა სიმრავლის პრინციპის შედეგად:

- ა) ერთ-ერთი მოვალის ვალდებულებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს თანამოვალეთა ვალდებულებებს. მაგალითად, კრედიტორის მიერ ერთ-ერთი თანამოვალის გათავისუფლება ვალდებულებისაგან, მოვალის მიერ საერთო კრედიტორის კრედიტორად ან ერთადერთ მემკვიდრედ გახდომა და ა.შ. მსგავსი ურთიერთდამთხვევები ფარავს მხოლოდ აღნიშნული მოვალის ვალდებულებას. ფრანგული დოქტრინის თანახმად, ამას მოვლეთა პირადი შესაგებელი ეწოდება.

პირადი შესაგებელი შესაძლებელია იყოს:

ა) წმინდად პირადი. მაგალითად, როდესაც ვალდებულების ჩათვლის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ თანამოვალეს პირადად;

ბ) უბრალოდ პირადი, როდესაც ვალდებულების ჩათვლის მოთხოვნის უფლება აქვთ სხვა თანამოვალეებსაც, რასაკვირველია, ჩასათვლელი ვალდებულების წილის ოდენობით.

ფრანგული კონცეფციის მიხედვით, სოლიდარული ვალდებულება, გარდა ძირითადისა იწვევს, აგრეთვე, ე.წ. მეორეხარისხოვან შედეგებსაც. განასხვავებენ სამ მეორეხარისხოვან შედეგს:¹¹

1) ერთ-ერთი თანამოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების დადგენა ითვლება იმავეს დადგენად ყველა თანამოვალის მიმართ და იწვევს შესაბამის შედეგებს (პროცენტებისა და პირგასამტეხლოს დარიცხვა და ა.შ.);

2) კრედიტორის მიერ ერთ-ერთი თანამოვალის მიმართ სარჩელის შეტანა წყეტს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მოქმედებას სხვა თანამოვალეთა მიმართაც;

3) თუ ნივთი, რომელიც იყო ვალდებულების საგანი განადგურდება ერთ-ერთი თანამოვალის ბრალით, ზიანის ანაზღაურებაზე მოვალეები სოლიდარულად აგებენ პასუხს, მაგრამ მხოლოდ ნივთის დაღუპვაში ბრალეულ მოვალეს შეიძლება დაეკისროს დამატებითი პასუხისმგებლობა.

ერთ-ერთი თანამოვალის მიერ ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ დგება რეგრესული ანაზღაურების პრობლემა. ფრანგული სამოქალაქო კოდექსი აღიარებს მოვალის უკუ-მოთხოვნის უფლებას. ამ შემთხვევაში, დარჩენილ თანამოვალეებს ანაზღაურება ეკისრებათ ვალდებულებაში მათი წილის პროპორციულად. როცა ამის დადგენა შეუძლებელია, ანაზღაურების საკითხს წყვეტს სასამართლო. რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ცხადია არ დგება თავდებობისას, როდესაც ვალდებულებას შეასრულეს მოვალე და არა თავდები.

საფრანგეთში რეგრესული მოთხოვნა ხორციელდება შემდეგი სარჩელების მეშვეობით:

1) მინდობილობის ხელშეკრულების სარჩელი;

2) სხვისი საქმეების მინდობილობის გარეშე წარმოების სარჩელი.

ორივე შემთხვევაში, ფულადი ვალდებულებისას, დასაშვებია, რომ გადახდის დღის დადგომიდან მთლიანად გადასახდელ თანხას დაერიცხოს პროცენტები.

შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შემდეგ მოვალე ხდება ყოფილ თანამოვალეთა კრედიტორი, ოღონდ დარჩენილი მოვალეები მის წინაშე ვალდებულნი არიან არა სოლიდარულად, არამედ ვალდებულებაში თავიანთი წილის შესაბამისად, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მოვალე აღმოჩნდება ვალაუვალი, მისი წილი ვალდებულებაში ნაწილდება ყველა სხვა გადახდისუნარიან მოვალეზე, გაკრედიტორებული მოვალის ჩათვლით.

სოლიდარულ ვალდებულებებთან დაკავშირებით ფრანგული დოქტრინა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვალდებულების განუყოფლობის ცნებასაც.

განუყოფელია ვალდებულება, რომლის შესრულება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სრულად, უფრო ზუსტად: „ვალდებულება გაყოფადია ან განუყოფელია იმის მიხედვით, შეიძლება თუ არა გაიყოს ის ნივთი ან მოქმედება, რომელიც შეადგენს მის საგანს.“¹² თუ ვალდებულებაში არის ერთი კრედიტორი და ერთი მოვალე, ვალდებულება ყოველთვის სრულად უნდა შესრულდეს (რასაკვირველია, თუ არ არსებობს კანონისა ან ხელშეკრულების სპეციალური დათქმა). კრედიტორი უფლებამოსილია ეს მოვალისაგან მოითხოვოს, ხოლო მოვალეს, თუნდაც ვალდებულება იყოფოდეს, არა აქვს უფლება აიძულოს მევალე ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღებაზე. მაგრამ, როდესაც მოვალეთა ანღა კრედიტორთა სიმრავლეა, ვალდებულებათა

გაყოფა-განუყოფლობა სერიოზული მსჯელობის საგანია, რადგან, როდესაც ვალდებულების ერთ-ერთი სუბიექტი გარდაიცვლება და დატოვებს რამდენიმე მემკვიდრეს: ა) ვალდებულება, რომელიც იყოფა, გაიყოფა მემკვიდრეებზე, სამკვიდროში მათი წილის პროპორციულად; ბ) განუყოფადი ვალდებულება წარმოშობს აქტიურ ან პასიურ სოლდარულობას. ე.ი. განსხვავება ვალდებულებათა განუყოფლობას და სოლიდარულ ვალდებულებებს შორის ის არის, რომ განუყოფელი ვალდებულება მემკვიდრეებზე გადადის სრულად, ხოლო გაყოფადი – წილის შესაბამისად. განუყოფელი ვალდებულება, ამასთანავე, არ იწვევს ე.წ. მეორეხარისხოვან შედეგებს, გარდა ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებული შედეგებისა.

გარდა სოლიდარული ვალდებულებებისა, როგორც აღვნიშნეთ, ფრანგული სამართალი იცნობს ვალდებულებებს იმ სოლიდუმ. არსებითად, ეს არის იგივე სოლიდარული ვალდებულებები, ოღონდ ყოველგვარი მეორეხარისხოვანი შედეგის გარეშე და ძირითადად, ეხება სამოქალაქო სამართლებრივ დელიქტებს, კერძოდ: ბრალეული ქმედება; ერთობლივად მიყენებული ზიანი; აგრეთვე, თამასუქიდან წარმოშობილი ვალდებულებანი და მსგ.

ამით შეგვიძლია დავასრულოთ ფრანგულ სამოქალაქო სამართალში სოლიდარულ ურთიერთობათა სისტემის მიმოხილვა და გადავიდეთ უშულოდ ქართულ სისტემაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სოლიდარულ ურთიერთობებს ეხება მესამე წიგნის მეშვიდე კარი; აგრეთვე, მუხლები 895–896 – სოლიდარულობა თავდებობისას; მუხლი. 998 – დელიქტური სოლიდარულობა და მსგ. სამენარმეო სფეროში სოლიდარულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ (მუხლები დაკავშირებული სპს-სთან; კს-სთან; აგრეთვე, ზოგადი ნაწილის ზოგიერთი მუხლი) და ა.შ. სოლიდარულ პასუხისმგებლობას აწესებს, ასევე, ზოგიერთი სხვა კანონიც (მაგ., საქართველოს კანონი „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“, სადაც სოლიდარული პასუხისმგებლობა, რატომღაც საჯარო სამართალთანაა კავშირში¹³) და ა.შ. ქართული კონცეფცია იცნობს სოლიდარულობის ორ სახეს: აქტიურსა და პასიურს. ვალდებულებები იმ სოლიდუმ ჩვენი სამართლის სისტემას არ გააჩნია.

აქტიური სოლიდარულობა დგება იმ შემთხვევაში, როცა რამდენიმე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულს შეუძლია მთლიანი შესრულების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს. ამ შემთხვევაში, ზემოხსენებულ პირებს ეწოდებათ სოლიდარულად უფლებამოსილი პირები, ანუ სოლიდარული კრედიტორები.¹⁴ როგორც განსაზღვრებიდან ჩანს, აქტიური სოლიდარულობის დასადგომად საჭიროა რამდენიმე პირობა:

1. უნდა არსებობდეს ვალდებულების მონაწილე რამდენიმე პირი (კრედიტორი);
2. თითოეულ კრედიტორს უნდა ჰქონდეს ვალდებულების მთლიანად შესრულების მოთხოვნის უფლება;
3. მოვალეს უნდა ევალდებოდეს ვალდებულების ერთჯერადად შესრულება.

აქედან გამომდინარეობს, რომ მოვალეს კრედიტორების მიმართ აქვს საერთო ვალდებულება, ასევე სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლის მიხედვით: კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში, მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება ნაწილ-ნაწილ შეასრულოს. დეფინიციის მეორე პუნქტიდან გამომდინარე, ასეთი თანხმობა შეიძლება გასცეს მხოლოდ ყველა კრედიტორმა ერთხმად. დაბოლოს, ჩვენი სამოქალაქო კანონმდებლობით დაუშვებელია ძველი რომაული წესის გამოყენება დელიქტური სოლიდარულობის შემთხვევაში. კოდექსი არ აზუსტებს, იგულისხმება თუ არა სოლიდარულობა, თუმცა, ზოგადი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება რიგ შემთხვევაში, ამ კითხვას დადებითი პასუხი გავცეთ.

სოლიდარულობის სამი საფუძველი არსებობს:

1. კანონი;
2. ხელშეკრულება;
3. ვალდებულების საგნის განუყოფლობა.

სხვა დანარჩენ შემთხვევაში, ნილობრივი ვალდებულება პირთა სიმრავლით წარმოიშობა.¹⁵

კანონის მიხედვით, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა: თავდებობის შემთხვევაში, დელიქტური ვალდებულების შემთხვევაში, აგრეთვე სამენარმეო ურთიერთობებში. ამათგან, აქტიური სოლიდარულობა შეიძლება წარმოიშვას ბოლო ორ შემთხვევაში.

დელიქტური ვალდებულება წარმოიშობს აქტიურ სოლიდარულობას მაშინ, როდესაც ერთი პირი ან პირთა ჯგუფი მიაყენებს რამდენიმე პირს საერთო ზიანს. აქტიური სოლიდარულობა აქვთ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებსა და კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარებს სანარმოს მოვალეთა მიმართ. ხელშეკრულებამ შეიძლება გაითვალისწინოს სოლიდარულობა ნებისმიერ შემთხვევაში და ასეთ დათქმას ექნება სავალდებულო ძალა. თუ რა იგულისხმება განუყოფელ ვალდებულებებში, განმარტებული არაა, მაგრამ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს არის ისეთი ვალდებულებები, რომელთა ცალ-ცალკე შესრულება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 461-ე მუხლი, რომლიც თანახმად, თუ სოლიდარულ კრედიტორს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მათზე გადადის მხოლოდ ის წილი ვალზე უფლებისა, რაც მათ სამკვიდრო წილს შეესაბამება, მოითხოვს დაზუსტებას, რამეთუ:

- ა) ვალდებულების საგნის განუყოფლობის შემთხვევაში, რთულდება ამ საგანში მემკვიდრეთა წილის განსაზღვრა, თუმცა, აქ შესაძლებელია ანალოგიით ამოქმედდეს მუხლი 1459, რომელიც გულისხმობს, რომ განუყოფელი ქონება (დავუმატოთ – მოთხოვნა) არ ექვემდებარება გაყოფას და ხდება მემკვიდრეთა საერთო საკუთრება (საერთო უფლება);¹⁶
- ბ) გაურკვეველია, სოლიდარული კრედიტორის გარდაცვალების შემთხვევაში, როგორ ურთიერთობაში იქნებიან მისი მემკვიდრეები თანაკრედიტორებთან, ანუ მათ შორის იმოქმედებს ისევე აქტიური სოლიდარულობა, თუ იქნება ნილობრივი. აქაც, თუ ანალოგიით გამოვიყენებთ „მენარმეთა შესახებ“ კანონის 33-ე მუხლს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: ა) მსგავსი შეთანხმება შეიძლება გაითვალისწინოს ხელშეკრულებამ; ბ) შეიძლება ასეთი გადაწყვეტილება მიიღონ თანაკრედიტორებმა მემკვიდრის განცხადების საფუძველზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პირი იქნება ერთადერთი მემკვიდრე სამკვიდროს დამტოვებლისა. ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მოვალეებს. ასეთი გადაწყვეტილება დიდ მნიშვნელობას იძენს აქტიური სოლიდარულობის სპეციფიკიდან გამომდინარე. სახელდობრ, მოვალის უფლებამოსილებიდან შეასრულოს ვალდებულება ნებისმიერი თანაკრედიტორის წინაშე (თუკი რომელიმე მათგანს არა აქვს მის მიმართ წაყენებული შესაგებელი) და, ამასთან, გათავისუფლდეს ვალდებულებისაგან ასეთი შესრულების შემდეგ.

გარდა ამას, ბევრი სხვა საკითხიც ბუნდოვანი რჩება. კერძოდ: წყვეტს თუ არა ერთ-ერთი კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულებაზე სარჩელის აღძვრა სასარჩელო ხანდაზმულობის მოქმედებას ყველა დანარჩენი კრედიტორის მიმართ; რა სახის ვალდებულებები ეკისრებათ მოვალის მემკვიდრეებს; როგორ დარეგულირდება ვალდებულებისა და მოთხოვნის თანხვედრა ერთ პიროვნებაში (სავარაუდოა, რომ ასეთ შემთხვევაში, მოვალეს უნდა გამოაკლდეს ამ კრედიტორის წილი, მაგრამ მაშინ იქნება პრობლემა ვალდებულების საგნის განუყოფლობასთან დაკავშირებით, რადგან, ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ვალდებულება უნდა შესრულდეს სრულ-

ლა) და, უკანასკნელიც, თუ მოვალე გახდება თანაკრედიტორის კრედიტორი მოხდება თუ არა ვალდებულების ჩათვლა სხვა კრედიტორების მიმართაც.

ამ კითხვებს, ერთგვარად, ნათელს ჰფენს სამოქალაქო კოდექსის 459-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „თუ ერთ-ერთი კრედიტორი უარს იტყვის მოვალის წინაშე მოთხოვნაზე, მაშინ მოვალე თავისუფლდება მხოლოდ იმ ნაწილის გადახდისაგან, რომელიც მოცემულ კრედიტორს ერგებოდა“. თუმცა, იგი მაინც ზოგ კითხვას სრულად და ზოგსაც – საერთოდ არ პასუხობს.

კოდექსი არეგულირებს აქტიური სოლიდარულობის ზოგიერთ პროცესუალურ მხარესაც (იგულისხმება არა ფორმალურ-სამართლებრივი, არამედ პროცესთან დაკავშირებული). კერძოდ, მოვალეს არ შეუძლია ერთ-ერთი კრედიტორის მიმართ გამოიყენოს ის ფაქტები, რომლებიც სხვა კრედიტორთანაა დაკავშირებული (ეს მუხლიც ერთგვარად პასუხობს დასმულ კითხვებს, მაგრამ მისი კომენტარი მრავალგვარად შეიძლება, რადგან ერთობ ზოგადია), აქ საუბარი ეხება ვალდებულების ჩათვლას, ჩამოწერას და მსგ. ამ მუხლის ანალოგიით, არც სოლიდარულ კრედიტორს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, წამოაყენოს მოვალის მიმართ ისეთი მოთხოვნა, რომელიც ექნებოდა მის თანაკრედიტორს საერთო ვალდებულების მიმართ. ყველა ამ პრობლემის გადაჭრა, ალბათ, მხოლოდ შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების პრეცედენტების საფუძველზე მოხერხდება.

დაბოლოს, მოვალე უფლებამოსილია ვალდებულება შეასრულოს ნებისმიერი სოლიდარული კრედიტორის წინაშე. რასაკვირველია, ასეთი შესრულების შემდეგ, ამ კრედიტორს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები თანაკრედიტორთა მიმართ. ასეთი შესრულება არ წარმოშობს ახალ აქტიურ სოლიდარულობას, არამედ მხოლოდ კრედიტორის მოვალეობას გადაუხადოს დანარჩენ კრედიტორებს კუთვნილი წილი. ამ წილის ოდენობას განსაზღვრავენ თავად კრედიტორები, ხოლო თუ არ არსებობს ასეთი განსაზღვრა, იგულისხმება, რომ თითოეულ მათგანს თანაბარი წილი აქვს.¹⁷ საკორპორაციო სამართალში ასეთ წილს განსაზღვრავენ „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი მუხლები.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კანონი გარდა აქტიურისა, იცნობს პასიურ სოლიდარულობასაც.

კანონის მიხედვით, სოლიდარული ვალდებულება დგება იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს ექნება შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება. ე.ი. სოლიდარული ვალდებულება (პასიური სოლიდარულობა) დგება, როცა:

1. არის ერთიანი ვალდებულება;
2. არის ამ ვალდებულებაზე ერთობლივად პასუხისმგებელი რამდენიმე მოვალე;
3. არის კრედიტორი;
4. ვალდებულება უნდა შესრულდეს ერთხელ.

პასიური სოლიდარულობა, ისევე, როგორც აქტიური დგება ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. კანონით პასიური სოლიდარულობა შეიძლება გამოიწვიოს თავდებობამაც. ამ შემთხვევაში, სოლიდარული ვალდებულება დგება, თუ:

1. თავდები იკისრებს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით;
2. ერთსა და იმავე ვალდებულებაზე იქნება რამდენიმე თავდები, თუნდაც ამათ თავდებობა ერთად არ ეკისრათ;
3. თავდები კრედიტორის წინაშე ივალდებულებს წინამორბედ თავდებთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ამ სამი დათქმიდან, პირველში, თავდებს სოლიდარული ვალდებულება წარმოეშობა ძირითად მოვალესთან ერთად, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში – სხვა თავდებებთან ერთად. თუმცა, რასაკვირველია, თავდები, ნებისმიერ შემთხვევაში, არის დამატებითი მოვალე და მასზე ვალდებულების შესრულების მოქცევა დაიშვება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრედიტორი უშედეგოდ ეცდება იგივე განახორციელოს ძირითად მოვალესთან. თუმცა თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ.

დელიქტურ ვალდებულებებზე პასიური სოლიდარულობა დგება, როცა რამდენიმე პირი ერთობლივად მიაყენებს ზიანს დაზარალებულს. ამ შემთხვევაში, სოლიდარულობა გავრცელდება იმ პირებზეც, ვინც:

1. დაიყოლია ზიანის მიმყენებელი ასეთ მოქმედებაზე;
2. ხელი შეუწყო მას;
3. შეგნებულად ისარგებლა მიყენებული ზიანით.

ნათელია, რომ „ხელშემწყობში“ იგულისხმება, არა მარტო, დამხმარე, არამედ ზიანის მიყენების ორგანიზატორიც.

საკორპორაციო სამართალში პასიური სოლიდარულობა, ისევე, როგორც აქტიური წარმოიშობა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, კომანდიტურ საზოგადოებებში, აგრეთვე, ზოგიერთ სხვა შემთხვევაში. მაგალითად: სანარმოს ჩამოყალიბებამდე ნაკისრ ვალდებულებებზე;¹⁸ საზოგადოების ხელმძღვანელთა ვალდებულებებზე მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულებისათვის¹⁹ და მსგ.

ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებები განუყოფელი ვალდებულებებია და აქაც პასიური სოლიდარულობა უპირობოდ მოქმედებს.

როგორც დეფინიციიდან გამომდინარეობს, კრედიტორს აქვს მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, თუმცა, ეს მოთხოვნა მან საკუთარი არჩევანით შეიძლება ნებისმიერი მოვალის წინაშე განახორციელოს. კრედიტორმა შეიძლება მოითხოვოს მოვალისაგან ვალდებულების მთლიანად შესრულება, ან მისი შესრულება ნაწილობრივ. თუ ერთ-ერთი მოვალე ვალდებულებას მთლიანად შეასრულებს, მაშინ ეს შესრულება მოხსნის კრედიტორს უფლებას, ხოლო დანარჩენ მოვალეებს მოვალეობას – შეასრულონ ვალდებულება (საინტერესოა, რომ თუ ისინი შეუტყობინებლობის ან სხვა რამ მიზეზის გამო, მაინც შეასრულებენ მას, მათ თავად მოუწვეთ ასეთი შესრულების უსაფუძვლობის მტკიცება, რადგან სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, მოქმედებს ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია). ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც მოვალე აპირებდეს კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულებას, შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება (ე.ი. მათ შეიძლება მოეთხოვოთ შესრულება; აღიძრას საარჩელი და ა.შ.).

გარდა ვალდებულების შესრულებისა, ვალდებულების შინაარსზე მოქმედებს, აგრეთვე:

1. ერთ-ერთ მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება;
2. ერთ-ერთი მოვალის მიერ კრედიტორთან ვალდებულების გაქვითვა;
3. ერთ-ერთი მოვალის ვალის გაერთიანება კრედიტორის მოთხოვნასთან;
4. კრედიტორის მიერ ვალის პატიება მოვალისათვის.

როგორი დამოკიდებულება ექნება ნაწილობრივი შესრულების შემდეგ მოვალეს თანამოვალეებთან, განსაზღვრული არ არის, მაგრამ ლოგიკურია, რომ ამის შემდეგ დადგეს რამდენიმე შედეგი:

1. თუ შესრულებული ვალდებულება შეესაბამება მოვალის წილს საერთო ვალდებულებაში, იგი გათავისუფლდება, როგორც ვალდებულებისაგან, აგრეთვე რეგრესული მოთხოვნის უფლებამოსილებისაგან. ასევე, თანამოვალეების საერთო ვალდებულებას გამოაკლდება გათავისუფლებული მოვალის წილი;
2. თუ აღმატება ან ნაკლებია წილზე, ამ შემთხვევაში, შესაბამისად:
 - ა) გათავისუფლდეს ვალდებულებისაგან და დარჩეს რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ ვალდებულებაზე, რაც ზედმეტად შეასრულა;
 - ბ) გათავისუფლდეს ვალდებულებისაგან საერთო კრედიტორის მიმართ და დარჩეს შესასრულებელ ვალდებულებაზე მოვალეობა თანამოვალეთა მიმართ.
3. თუ სოლიდარულობა წარმოშობილია თავდებობის საფუძველზე, მოვალეობის ნაწილობრივი შესრულება ვერ გაათავისუფლებს ძირითად მოვალეს ვალდებულების მთლიანად შესრულებისაგან ან ყოველ შემთხვევაში, ეს არ წარმოშობს თავდების ვალდებულებას შეასრულოს მოვალეობა მთლიანად.

ვალდებულების გაქვითვა შეიძლება მოხდეს, თუ მოვალე გახდება კრედიტორის კრედიტორი, აგრეთვე, ზოგიერთ სხვა შემთხვევაში. გაქვითვა შეიძლება მოხდეს, როგორც მთლიანად ვალისა, ასევე მისი ნაწილისაც. გაქვითვა, ყოველთვის ვრცელდება საერთო ვალზე და ყველა მოვალეზე ე.ი. თუ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის მოხდება ვალის გაქვითვა მთელი თანხით, ეს გაათავისუფლებს შესრულების მოვალეობისაგან დანარჩენ თანამოვალეებსაც. თუმცა, აქაც საჭირო იქნება რამდენიმე განმარტება. კერძოდ: ა) ასეთი გაქვითვის შემდეგ იმ მოვალეს, რომელმაც მოახდინა გაქვითვა უნდა წარმოეშვას რეგრესული ანაზღაურების უფლება სხვა თანამოვალეთა წინაშე; ბ) სოლიდარულ მოვალეს თუ საერთოს გარდა პირადი აქვს ვალიც კრედიტორისა, გაქვითვა შეიძლება მოხდეს სწორედ ამ კერძო ვალის და არა საერთო ვალისა, ამასთან გადაწყვეტილების მიღების უფლება უნდა ჰქონდეს კრედიტორს. გარდა ამისა, კანონით მითითებულია შემთხვევები, როდესაც ვალის გაქვითვა დაუშვებელია, კერძოდ:

- ა) თუ ეს წინასწარ იყო გამორიცხული;
- ბ) დელიქტური ვალდებულების შემთხვევაში, როცა მიყენებულია ზიანი (მათ შორის, ერთობლივი) პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის და მსგ.

ერთ-ერთი მოვალისათვის ვალის პატიება ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, მაგრამ აქაც არსებობს დათქმა: არ უნდა იყოს მითითებული, რომ ვალი ეპატიება მხოლოდ და მხოლოდ ერთ მოვალეს. ასეთ შემთხვევაში, დანარჩენ თანამოვალეთა პასუხისმგებლობა რჩება, ოღონდ, რა თქმა უნდა, გათავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მოქმედებს ვალდებულების ბუნებაზე არის კრედიტორის მოთხოვნის გაერთიანება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან. ამასვე უნდა მივაკუთვნოთ ის შემთხვევები, როდესაც კრედიტორი და ერთ-ერთი მოვალე აღმოჩნდებიან ერთი და იგივე პირი. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მოვალე აღმოჩნდება კრედიტორის ერთადერთი მემკვიდრე ან პირიქით. მსგავსი სიტუაცია დარეგულირებულია სამოქალაქო კოდექსის 1493-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც: „თუ მამკვიდრებელმა თავისი ქონება კრედიტორს უანდერძა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კრედიტორის მოთხოვნის უფლების გაქვითვად.“ თუმცა, ეს სპეციალური დათქმაა. მოთხოვნისა და ვალის ფაქტობრივი გაერთიანება ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან, ხოლო საერთო ვალს დანარჩენი მოვალეებისათვის აკლდება გათავისუფლებული მოვალის წილი.

როგორც ცნობილია, ვალდებულებათა არსი გულისხმობს, არა მარტო, მოვალის შესრულების ვალდებულებას, არამედ კრედიტორის ვალდებულებასაც მიიღოს შესრულება. რასაკვირველია, შესრულების მიღება შეიძლება დაყოვნდეს კრედიტორის ან მოვალის მიზეზით. ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, თუ შესრულება დაყოვნებულია კრედიტორის მიზეზით, მისი შედეგები გავრცელდება ყველა სოლიდარულ მოვალეზე, ხოლო თუ ერთ-ერთი მოვალის მიზეზით – შედეგების გავრცელება ყველა მოვალეზე დაუშვებელია (შედეგი კი, შეიძლება იყოს პროცენტების დარიცხვა, პირგასამტეხლოს გადახდა და ა.შ.).

სოლიდარულ მოვალეთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა არის საფუძველი კრედიტორის მიერ სარჩელის შეტანისა. კრედიტორს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს, როგორც ერთი მოვალის, აგრეთვე, ყველა მოვალის მიმართაც. ამასთან, ერთი მოვალის მიმართ სარჩელის შეტანა სხვა მოვალეებზეც სასამართლო წესით, მოთხოვნის უფლებას არ ართმევს. ე.წ. მეორეხარისხოვანი შედეგები, რომელსაც ფრანგული სამართალი იცნობს, ჩვენი სისტემის მიერ არ არის აღიარებული. დავაზუსტებთ: ერთ მოვალეზე სარჩელის შეტანა არ წყვეტს ხანდაზმულობის მოქმედებას სხვა მოვალეებზე. ცხადია, ამ შემთხვევაში, უპრიანია კრედიტორმა შეიტანოს საერთო სარჩელი. აღსანიშნავია, რომ ეს წესები არ შეიძლება გავრცელდეს დელიქტურ ვალდებულებებზე და საკორპორაციო სამართლით დარეგულირებულ ურთიერთობებზე.

ზოგადად, როგორც ჩანს, სოლიდარულ ვალდებულებებში კანონმდებელი კრედიტორთა ინტერესთან ერთად, ცდილობდა მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო მოვალეთა ინტერესებიც. სასამართლო დავის შემთხვევაში, მოვალეს უფლება აქვს კრედიტორს წარუდგინოს ყველა ის შესაგებელი, რომელიც:

- ა) გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან;
- ბ) რომლის უფლებაც აქვს მარტო მას;
- გ) რომელიც საერთოა ყველა სოლიდარული მოვალისათვის.

კრედიტორს კი, თავის მხრივ, უფლება აქვს, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ გამოიყენოს მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც უშუალოდ მას ეხება. მაგრამ თუ კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ გამომდინარეობს, ზემოხსენებული პრინციპი აღარ იმოქმედებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოვალეთა სოლიდარულობა არის კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულების გარანტია. ეს პირდაპირაა მითითებული კანონში, რომლის მიხედვითაც, თუ ერთ-ერთი მოვალე აღმოჩნდება ვალაუფლი, მისი წილი ნაწილდება ყველა სხვა გადახდისუნარიან მოვალეზე. ამან უნდა უზრუნველყოს მოვალისათვის ვალდებულების უტყუარად შესრულება.

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მოვალე ვალდებულებას მთლიანად შეასრულებს კრედიტორის წინაშე, მას უჩნდება უკუმოთხოვნის უფლება ყოფილ თანამოვალეთა მიმართ.²⁰ ამ შემთხვევაში, შეიძლება ამოქმედდეს ორი წესი:

1. მოეთხოვოს თანამოვალეებს ანაზღაურება გადამხდელის წილის გამოკლებით;
2. მოეთხოვოს ანაზღაურება სრულად.

ეს მეორე შემთხვევა შეიძლება გაითვალისწინოს:

- ა) კანონმა. მაგალითად, თავდებობის შემთხვევაში, როდესაც თავდები დაფარავს ძირითადი მოვალის ვალს;
- ბ) მხარეთა შეთანხმებამ.

წილი განისაზღვრება:

- ა) მხარეთა შეთანხმებით;
- ბ) ლოგიკური ანალიზით.

როცა შეთანხმება არ არსებობს და სხვაგვარადაც შეუძლებელია პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, იგულისხმება თანაბარი წილი. ამას გარდა, მოქმედებს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი წესი: თუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე მიიღებს სარგებელს ამ სოლიდარული ვალდებულებიდან, მაშინ იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც სარგებელი არ მიუღია, შეუძლია მოთხოვოს მას დაკმაყოფილება თავისი ვალდებულების შესასრულებლად. სოლიდარული ვალდებულების არსებობა, გარდა ერთობლივი მოვალეობისა, გულისხმობს ერთობლივ მიზანს, ამასთანავე, მოვალეთა გარკვეული ხასიათის თანადგომას. სწორედ ამ პოსტულატებიდან გამომდინარეობს ზემოხსენებული მუხლი, სადაც აღსანიშნავია სამი მომენტი:

1. ერთ-ერთმა მოვალემ მიიღო მოგება სწორედ საერთო სოლიდარული ვალდებულებისაგან და არა სხვაგვარი მოვალეობითა და უფლებით;
2. თანამოვალეს სარგებელი არ მიუღია;
3. ამ უკანასკნელს უფლება აქვს მოთხოვოს პირველს დაკმაყოფილება მხოლოდ იმ ოდენობით, რაც საჭიროა კრედიტორის წინაშე სოლიდარული ვალდებულების დასაფარავად. სავარაუდოდ, ამ ვალდებულების შეცვლა შეუძლია მოვალეთა შეთანხმებას.

დაბოლოს, კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უნდა განვიხილოთ, არის მოვალის მემკვიდრეთა უფლებები. როგორც აქტიური სოლიდარულობის შემთხვევაში, პასიური სოლიდარულობისას მემკვიდრეზე გადადის მხოლოდ წილი ვალდებულებისა (შესაბამისად – უფლებისა), გამომდინარე სამკვიდრო ქონებიდან, მაგრამ ეს წესი არ იმოქმედებს ვალდებულების განუყოფლობის შემთხვევაში, ამიტომ ფრანგების მსგავსად, კრედიტორისათვის უმჯობესია ასეთი დათქმა გაუკეთდეს ხელშეკრულების ტექსტს. ამ შემთხვევაში, ამოქმედდება 1484-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც: თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარული მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეებიც სოლიდარულად აგებენ პასუხს. ეს შეიძლება მოხდეს სამკვიდრო ქონების გაყოფამდეც. სოლიდარული მოვალის მემკვიდრეთა შეთანხმებით შესაძლებელია ერთ-ერთი მემკვიდრისათვის ვალდებულების შესრულების მთლიანად დაკისრება, სამკვიდროდან ვალდებულების შესაბამისად გაზრდილი წილის მიცემის სანაცვლოდ.²¹ სავარაუდოდ, ასეთ შეთანხმებას, ვალდებულების საგნის განუყოფლობისას დასჭირდება კრედიტორის თანხმობა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული სოლიდარული ურთიერთობების სისტემა უაღრესად დახვეწილია და სავსებით შეესაბამება, როგორც თანამედროვე დასავლურ სისტემას, ასევე მთლიანად სამოქალაქო სამართლებრივ ტრადიციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახტანგ აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენი;
2. ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია;
3. ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
5. საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“;
6. საქართველოს კანონი „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“;
7. „მენარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა;
8. ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი;
9. შალვა ჩიკვაშვილი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი;
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I;
11. Леон Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции;
12. И. Б. Новицкий, И. С. Петерский, Римское частное право;
13. Гражданское, торговое и семейное право кап. стран, Сборник нормативных актов.

შენიშვნები:

- ¹ ვახტანგ აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენი, თბ., 1992.
- ² И. Б. Новицкий, И. С. Петерский, Римское частное право, Москва, 1994.
- ³ И. Б. Новицкий, И. С. Петерский, Римское частное право, Москва, 1994.
- ⁴ ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI.
- ⁵ ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, რჩეული ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987.
- ⁶ Гражданское, торговое и семейное право кап. стран, Code civil, статья. 1197, М., 1986.
- ⁷ Леон Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции, Т. I, Москва, 1960.
- ⁸ Гражданское, торговое и семейное право кап. стран, Code civil. статья. 1202, Москва, 1986.
- ⁹ Леон Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции, Т. I, Москва, 1960.
- ¹⁰ Леон Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции, Т. I, Москва, 1960.
- ¹¹ Гражданское, торговое и семейное право кап. стран, Code civil, Article. 1205-1207, Москва, 1986.
- ¹² Гражданское, торговое и семейное право кап. стран, Code civil, Article. 1217, Москва, 1986.
- ¹³ საქართველოს კანონი „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“, მუხლი 4.13.
- ¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 455, თბ., 1997.
- ¹⁵ ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999.
- ¹⁶ შალვა ჩიკვაშვილი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 1999. უნდა მოხდეს ნივთის (უფლების) ისეთი გაყოფა, „რომელიც ამ ნივთს არ დაუკარგავს სამეურნეო ან სხვა მიზნობრივ დანიშნულებას“.
- ¹⁷ ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999.
- ¹⁸ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 3.4.
- ¹⁹ იქვე, მუხლი 9.7.
- ²⁰ ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999.
- ²¹ შალვა ჩიკვაშვილი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 1999.

MULTITUDE OF DEBTORS AND CREDITORS IN LIABILITY

SIMON CHKHAIDZE

Judge of the Kutaisi Appellate Court

Pursuant to the Article 455 of the Civil Code of Georgia, if several persons are authorized to request the fulfillment of liability in a form, where each of them can request absolute fulfillment and where the debtor is obliged to fulfill it only once, they can be referred as solidery authorized persons – Solider creditors.

In accordance with the Article 463 of the same Code, if several persons are obliged to fulfill their liability in a form, where each of them should participate in the fulfillment of the common liability (solider liability), and the creditor is authorized to file as single request on fulfillment, then they represent solider debtors.

According to the law, these types of legal relations are referred as multitude of creditors and debtors in liability.

Similar types of legal relations are also covered by the Roman Civil Law and as a result of its processing, modern civil law of Continental Europe and the civil legislation of the Continental European states were developed. Our country joined these laws on November 25, 1997, immediately after the Civil Code of Georgia entered into force.

In order to better realize the contents of legal relations, it is necessary to study the grounds and sources that after processing and development served as the bases for the establishment of legal system in its current form.

The presented paper serves the same purpose.

სამოქალაქო სამართალწარმოებისა და აღსრულების საკითხები საბჭოთა საქართველოში

ზურაბ ჭყონია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დადგა საკითხი იმ სამოქალაქო, თუ სხვა დარგის მართლმსაჯულების მანკიერი და კორუფციული სისტემისაგან გათავისუფლებისა, რომელიც საქართველოს საბჭოთა ეპოქიდან მემკვიდრეობით ერგო. სწორედ ამიტომაც, დამოუკიდებლობის შემდეგ პირველი წლები საქართველოში გარდამავალ ეტაპად გამოცხადდა. 1995 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია. დაიწყო სასამართლო სისტემისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა, რომელიც დღემდე არ დასრულებულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საბჭოთა სამოქალაქო სამართალწარმოებისა და მისი ეფექტიანობის განმსაზღვრელი სააღსრულებო წარმოების, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეების მიმოხილვა და ანალიზი, რათა რეფორმისას გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული გამოცდილება.

საბჭოთა ხელისუფლება ანექსიისთანავე შეუდგა საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის უზურპაციას. ამ მიზნით რევეკომმა გააუქმა დამოუკიდებელი საქართველოს სასამართლო ხელისუფლება.¹ 1923 წელს მიღებულ იქნა დებულება სასამართლო წყობილების შესახებ, ხოლო 1924 წელს კი, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.²

საბჭოთა საქართველოში საერთო სასამართლოების სისტემაში არსებობდა ორი ინსტანციის სასამართლო. I ინსტანციის სასამართლო საქმეს წყვეტდა არსებითად, ხოლო მეორე ინსტან-

ცია (საკასაციო, ანუ სარევიზიო) კი, საქმეებს ამონებდა მხოლოდ იურიდიული კუთხით.³ შეიქმნა და მოქმედებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოები, ასევე უზენაესი სასამართლო. აფხაზეთში, აჭარაში და ოსეთში არსებობდა საკუთარი სასამართლოები.⁴ საკასაციო სასამართლო ახდენდა ასევე, კანონის განმარტებას გადაწყვეტილების გამოტანისას, რაც სავალდებულო იყო კონკრეტული განხილული საქმისათვის, ამასთან, სახელმძღვანელო ხასიათის გახლდათ ანალოგიური საქმის გადაწყვეტისას, ანუ პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, რეალურად სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ერთი საკასაციო ინსტანციის არსებობის შემთხვევაში.⁵

პირველი ინსტანციის წესით საქმეები განიხილებოდა სახალხო სასამართლოებში, ოლქის სასამართლოებში და ასევე უზენაეს სასამართლოშიც.⁶

სახალხო მოსამართლისათვის და სახალხო სასამართლოებისათვის საკასაციო ინსტანციას წარმოადგენდა ოლქის სასამართლო (სამოქალაქო საკასაციო თანაგანყოფილება), ოლქის სასამართლოებისათვის – უზენაესი სასამართლო (საკასაციო კოლეგია), ხოლო უზენაესი სასამართლოსათვის საკასაციო ინსტანცია არ არსებობდა.⁷

საქმეების განხილვა ძირითადად, საერთო სასამართლოებში მიმდინარეობდა კოლეგიურად – ყველა ინსტანციის სასამართლოებში, კერძოდ: სახალხო სასამართლოში ერთი მუდმივი მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით, ოლქის სასამართლოებში და უზენაეს სასამართლოში კი, სასამართლოს ერთი წევრისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.⁸ მხოლოდ შედარებით მარტივი საქმეების გადაწყვეტა იყო შესაძლებელი I ინსტანციის სახალხო მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად.⁹

მუდმივი მოსამართლე ინიშნებოდა 1 წლით, ხოლო სახალხო მსაჯული მიიწვეოდა სხდომაზე წელიწადში მხოლოდ 6 დღით. მოსამართლეობის კანდიდატს არ მოეთხოვებოდა არც იურიდიული და არც საერთო განათლება. მოსამართლედ შეიძლებოდა დანიშნულიყო 18 წელს მიღწეული პირი.¹⁰ მოსამართლის თანამდებობა გახლდათ არჩევითი და მისი არჩევა ხდებოდა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის იმ კანდიდატთა სიიდან, რომლებიც ნაჩვენები იქნებოდნენ ოლქის სასამართლოს ან იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ.¹¹

რაც შეეხება მოსამართლის დამოუკიდებლობას, უნდა ითქვას, რომ მოსამართლე არ გახლდათ დამოუკიდებელი და არც შეუცვლელი. იგი შეიძლება გამოწვეულიყო ვადამდეც, იმ ორგანოების მიერ, რომლებიც მას ირჩევდნენ. მაშინ მოქმედი კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლების რამდენიმე შტოდ დანაწილებას არ სცნობდა. ამის დასტურია ასევე, ცნობილი ლოზუნგი „მთელი ხელისუფლება საბჭოებს“. „მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ვერ იქნება ვერც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი, მაშასადამე ვერც მოსამართლე.“¹²

მაშინ მოქმედი სამოქალაქო პროცესი სცნობდა დისპოზიციურობის პრინციპს, თუმცა, ეს პრინციპი კანონმდებლობით გახლდათ მნიშვნელოვნად უგულებელყოფილი. მაგალითისათვის, მართალია საქმის განხილვას სასამართლო იწყებდა მხოლოდ დაინტერესებული მხარის გაცხადებით და მხარეს შეეძლო სასარჩელო მოთხოვნის გადიდება და შემცირება, თუმცა, სამოქალაქო საქმის აღძვრის უფლება ჰქონდა პროკურორსაც, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, როდესაც მისი აზრით, ამას მოითხოვდა სახელმწიფოს ან მშრომელთა ინტერესი. ამავე მიზნით პროკურორს უფლება ჰქონდა ჩარეულიყო სხვის მიერ დაწყებულ პროცესში.¹³ ამასთან, სასამართლოს შეეძლო მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს გასცდენოდა და

მხარისათვის იმაზე მეტი მიეკუთვნებინა, რასაც იგი მოითხოვდა. მხარეს შეეძლო უარი ეთქვა თავის უფლებაზე და ასევე, საქმე დაემთავრებინა მორიგებით, თუმცა უარიც და მორიგებაც ექვემდებარებოდა სასამართლოს კონტროლს. პროცესი ითვალისწინებდა გადაწყვეტილების გაუქმებას მხარის საჩივრის არსებობის მიუხედავად, თავად უზენაესი სასამართლოს ინიციატივით და ასევე, შესაბამისი დანესებულების და თანამდებობის პირთა ინიციატივითაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც გადაწყვეტილება ძალაში ყოფილიყო შესული.¹⁴

დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად მნიშვნელოვნად შეზღუდული გახლდათ შეჯიბრებითობის პრინციპიც, ვინაიდან სასამართლოს თავად ჰქონდა მინიჭებული ფართო ინიციატივა.¹⁵

მაშინ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით საქმეთა განხილვა მიმდინარეობდა საჯაროდ.

რაც შეეხება სააღსრულებო წარმოებას პროცესის თანახმად, ძირითადად, აღსრულებას ახდენდნენ სასამართლო აღმასრულებლები, თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილებით აღსრულების მოვალეობა შეიძლებოდა დაკისრებოდა მილიციას და რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს. ისინი აღსრულებისას ხელმძღვანელობდნენ სასამართლო აღმასრულებისათვის განსაზღვრული წესებით.¹⁶ ის პირი, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილი იყო გადაწყვეტილება იწოდებოდა „გადამხდევინებლად“, ხოლო ის ვის წინააღმდეგაც იყო გადაწყვეტილება მიღებული, იწოდებოდა „მოვალედ“. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება იწყებოდა გადამხდევინებლის მიერ სასამართლოს გაცემული აღსრულების ფურცლის წარდგენით იმ ადგილის სააღსრულებო ორგანოში, სადაც უნდა აღსრულებულიყო გადაწყვეტილება. აღსრულების პროცესში მონაწილეობდა ორივე მხარე.¹⁷ გადაწყვეტილების გადადების, შეჩერებისა და შეწყვეტის უფლება აღმასრულებელს ჰქონდა მხოლოდ გადამხდევინებლის განცხადების საფუძველზე მოსამართლის სპეციალური დადგენილებით.¹⁸ აღმასრულებელს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, თუ გადამხდევინებელი კონკრეტულად ვერ მიუთითებდა სასამართლო აღმასრულებელს მოვალის ქონებაზე, აღმასრულებელს უფლება ჰქონდა გაეჩხრიკა მოვალის ბინა მილიციის და სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის დასწრებით.¹⁹ ფულის იძულებით გადახდევინება ხდებოდა აღწერით და გაყიდვით. ამასთან, თუკი მოვალე იყო სახელწიფო დანესებულება, ცენტრალური, თუ ადგილობრივი, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი არ შეიძლებოდა მისი ქონების აღწერა და გაყიდვა. თუ გადაწყვეტილებას არ შეასრულებდა ნებაყოფლობით, გადამხდევინებელს შეეძლო ეჩივლა მოვალის ზემდგომ ორგანოსთან. თუ დანესებულება არ გადაიხდიდა ისეთი სააღსრულებო ფურცლით, რომელიც გაცემული იყო შრომის სასამართლოს მიერ, შრომის პროკურორის განკარგულებით, გადაწყვეტილება შეიძლება იძულებით ყოფილიყო აღსრულებული ან დამნაშავე თანამდებობის პირი შეიძლება პასუხისგებაში ყოფილიყო მიცემული.²⁰

აღსანიშნავია, რომ პროცესით განსაზღვრული იყო ის მინიმუმი, რომელზედაც არ შეიძლებოდა იძულებითი აღსრულება.²¹

აღმასრულებლის მოქმედება და გადაწყვეტილება მხარეებს შეეძლოთ გაესაჩივრებინათ სასამართლოში.²²

პროცესში არსებული ხარვეზის თაობაზე აღსრულებასთან დაკავშირებით, ცნობილი ქართველი პროცესუალისტი სერგი ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ „სამოქალაქო პროცესი სრულიად არას ამბობს იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა აღსრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც მოპასუხეს დავალებული აქვს ისეთი მოქმედების შესრულება, რაც სხვისი საშუალებით არ შესრულდება, ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება.“²³

1929 წელს, ფ. მ. ნახიმსონი განმარტავდა, რომ „სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება წარმოადგენს ჩვენს სამუშაოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას. დღემდე საქმის ამ უბანზე ჩვენ გვაქვს სრულიად არასახარბიელო მდგომარეობა. ცენტრში ამჟამად მუშავდება საკითხი სასამართლო აღსრულების აპარატის ძირფესვიანი რეორგანიზაციის და რაციონალიზაციის შესახებ“.²⁴

რაც შეეხება უცხო ქვეყნების სასამართლოების გადაწყვეტილების აღსრულებას, აღსრულებას ექვემდებარებოდა მხოლოდ იმ ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება.²⁵

1931 წელს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, საქმისწარმოება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე ან სათანადო ადგილის მოსახლეობის უმეტესობის ენაზე.²⁶ ამავე კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, საქმის გარჩევა მიმდინარეობდა საჯაროდ და სიტყვიერად. განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქმე უნდა განხილულიყო დახურულ სხდომაზე, თუმცა, მე-100 მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა გამოცხადებულიყო. 101-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო საქმეში მონაწილე პირების გაძევება ამ პირთა მხრიდან წესრიგის დარღვევისას, ამასთან, არ შეიძლებოდა პროკურატურის წარმომადგენლის და დამცველის გაძევება.

რაც შეეხება დისპოზიციურობას და შეჯიბრებითობას, პროცესი აღიარებდა აღნიშნულ პრინციპებს,²⁷ თუმცა, რეალურად სასამართლო გახლდათ ინკვიციზიური და მას მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება ხშირ შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისა. ცნობილი პროცესუალისტი ს. აბრამოვი განმარტავდა, რომ „გამომდინარე იქიდან, რომ **საბჭოთა მართლმსაჯულების ურყევ მიზანს წარმოადგენს მატერიალური ჭეშმარიტების დადგენა**, კანონი (სსსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი. 6) ავალდებულებს სასამართლოს, რომ მანვე ყოველი ღონე იხმაროს, რათა გამოარკვიოს მხარეთა ნამდვილი უფლებანი და ურთიერთობანი.“²⁸ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლით სასამართლოს უფლება ჰქონდა გასცდენოდა სარჩელის მოთხოვნას და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მხარისათვის მიეკუთვნებინა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის ნაწილდებოდა თანაბრად. 1931 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რაზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს.

1936 წელს მიღებულ იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია.²⁹ „პროცესის მთელი რიგი პრინციპები დამკვიდრებულ იქნა სტალინური კონსტიტუციით, ამიტომაც მათ სხვაგვარი თვისება შეიძინეს. ასეთ პრინციპებს მიეკუთვნება ა) მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 102-ე მუხლი); ბ) მართლმსაჯულების განხორციელება კოლექტიური სასამართლოს მიერ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 103-ე მუხლი); გ) მართლმსაჯულების განხორციელება სახალხო მსაჯულების მონაწილეობით (სსრ კავშირის კონსტიტუციის 103-ე მუხლი); დ) მართლმსაჯულების განხორციელება არჩეულ მოსამართლეთა მიერ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 105-109-ე მუხლები); მართლმსაჯულების განხორციელება დამოუკიდებელ და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილებულ მოსამართლეთა მიერ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 112-ე მუხლი); ვ) მართლმსაჯულების განხორციელება მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ნაციონა-

ლური ოკრუგის ან რაიონის ენაზე, მოქალაქეთათვის სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლების უზრუნველყოფით (სსრ კავშირის კონსტიტუციის 110-ე მუხლი); ზ) მართლმსაჯულების განხორციელება საჯარო პროცესის საფუძველზე (სსრ კავშირის კონსტიტუციის 111-ე მუხლი).“³⁰

1936 წლის „სსრ კავშირის კონსტიტუცია ითვალისწინებდა მთელ სსრ კავშირისათვის ერთიანი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოცემას.³¹

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული იყო საქმის წარმოება სასარჩელო წესით (ნაწილი I) და ასევე, საქმის წარმოება განსაკუთრებული წესით (ნაწილი II), ანუ უდავო წარმოების წესით.

სასამართლო გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლით საჩივრდებოდა საკასაციო წესით, ხოლო 290-ე მუხლით რესპუბლიკის პროკურორს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება ჰქონდათ გამოეთხოვათ რესპუბლიკის ყოველი სასამართლოდან ზედამხედველობის წესით გადათვალთვლებისათვის კანონიერ ძალაში შესული ყველა საქმე, გადაწყვეტილება და შეეჩერებინათ გადაწყვეტილების აღსრულება საქმის წარმოების ზედამხედველობის წესით დამთავრებამდე. თუ აღმოჩნდებოდა, რომ გადაწყვეტილებით არსებითად და თვალსაჩინოდ იყო დარღვეული მოქმედი კანონი, ან კანონის პიდაპირი მოთხოვნის მიუხედავად, აშკარად დარღვეული იყო მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს, თუ მშრომელი მასების ინტერესები, რესპუბლიკის პროკურორს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება ჰქონდათ გაეპროტესტებინათ ეს გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით უზენაეს სასამართლოში. პროტესტს განიხილავდა სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგიის პლენუმი, ხოლო უზენაესი სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე და უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე – უზენაესი სასამართლოს პლენუმი. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, 290-ე მუხლი გახლდათ დისპოზიციურობის პრინციპის უგულებელყოფის კლასიკური მაგალითი.

1933 წელს საბჭოთა კავშირის პროკურატურის ჩამოყალიბებით უზენაესი სასამართლო გათავისუფლდა კანონიერებაზე საერთო ზედამხედველობის ფუნქციიდან. ამასთან, გაიზარდა მისი სასამართლო-საზედამხედველო ფუნქციები.³² 1938 წელს მიღებულ იქნა კანონი სასამართლო წყობილების შესახებ, ხოლო 1958 წლის 25 დეკემბერს კი, კანონმდებლობის საფუძველები საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო მოწყობის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამართალწარმოების შესახებ.³³

სააღსრულებო წარმოება 1931 წელს მიღებული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დარეგულირებული გახლდათ კოდექსის V ნაწილით. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის მე-80 მუხლით, სასამართლო განაჩენების, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების აღსრულებასთან დაკავშირებით, სასამართლო აღმასრულებლის მიერ წარდგენილი მოთხოვნა სავალდებულო იყო ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის. სასამართლო აღმასრულებელს გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავდა აღმასრულებელი ფურცლით, რომელსაც როგორც წესი, გაცემდა სასამართლო, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ (აღმასრულებელი ფურცელი გაიცემოდა დაუყოვნებლივ აღმასრულებელ გადაწყვეტილებაზე).³⁴ სააღსრულებო მოქმედებას სასამართლოს აღმასრულებელი შეუდგება გადამხდევინების სიტყვიერი ან წერილობითი განცხადებით, აგრეთვე, სასამართლოს ან პროკურორის წინადადებით, სათანადოდ გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე.³⁵ აღსანიშნავია, რომ ალიმენტის გადახდევინების საქმეზე აღმასრულებელი

ფურცელი არა უგვიანეს მეორე დღისა, დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა, უნდა გადაგზავნილიყო მოვალის სამუშაო ადგილის შესაბამისად.³⁶

მაშინ მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლის შესაბამისად, „უკეთუ ნებაყოფლობით აღსრულებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაკუთრებული ვადა არ იქნება მიცემული, სასამართლო აღმასრულებელი, მოვალისათვის უწყების წარდგენისა და გაგზავნისთანავე დაუნიშნავს მას აღსასრულებელ ვადას არა უმეტეს 5 დღისა“. 303-ე მუხლით საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო აღმასრულებელს შეეძლო დაეთვალისწინებინა მოვალის სადგომი და საცავები სახლის ადმინისტრაციის ან სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის თანდასწრებით. სასამართლო აღმასრულებელს იძულებითი აღსრულება უნდა დაემთავრებინა 10 დღის ვადაში. იძულებითი აღსრულებისას სასამართლო აღმასრულებელს უფლება არ ჰქონდა მოსარჩელისა ან მოპასუხისათვის გადაეხდევინებინა რაიმე გამოსაღები გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.³⁷

სახელმწიფო, კოოპერაციულ-საკოლმეურნეო და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დავების გამო სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის დადგენილი იყო ერთნაირი ხანდაზმულობის ვადა. ყველა სხვა დავათა გამო კი, სამწლიანი ვადა.³⁸

გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება შესაძლებელი გახლდათ მხოლოდ დედანი აღმასრულებელი ფურცლის საფუძველზე. ამასთან, თუნდაც, ნოტარიულად დამონმებული ასლით, არ დაიშვებოდა აღსრულება. დაკარგვის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის თხოვნით გაცეა აღმასრულებელი ფურცლის დუბლიკატი. მოსამართლე სათანადო გამოკვლევის შემდეგ დადგენილების საფუძველზე გასცემდა დუბლიკატს, ანუ გამოიწერებოდა აღმასრულებელი ფურცელი, რომელზედაც კეთდებოდა წარწერა „დუბლიკატი“.³⁹

„სახალხო მოსამართლენი და სათანადო სასამართლოების თავმჯდომარენი პასუხს აგებენ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების დარგში მუშაობის მდგომარეობაზე და, რომ მათ ეკისრებათ მუდმივი კონტროლი გაუწიონ სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობას.“⁴⁰ სასამართლო აღმასრულებლის საქმიანობაზე მუდმივ კონტროლს უწევდა სასამართლო, როგორც ადმინისტრაციული ზედამხედველი მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამდებობის პირს.⁴¹ სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებაზე საჩივარი ორი სახის იყო, კერძოდ, საჩივარი, რომელიც განიხილებოდა სასამართლო წესით და საჩივარი, რომელიც განიხილებოდა ადმინისტრაციული წესით. საჩივარი სასამართლო წესით განიხილებოდა სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებაზე მის მიერ კანონის არასწორ გამოყენებაზე, ხოლო საჩივარი სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებაზე განიხილებოდა მის არასწორ სამსახურებრივ მოქმედებაზე.⁴² საჩივარი სასამართლო წესით განიხილებოდა ერთპიროვნულად, სახალხო მოსამართლის მიერ (1941 წლის 29 მარტის ცვლილებით კი, კოლევგიურად) სამსჯავრო სხდომაზე.⁴³

1964 წლის 26 დეკემბერს მიღებულ იქნა ახალი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულ იქნა 1965 წლის 1 ივლისიდან.⁴⁴ ამ კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, ასევე, განიხილებოდა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები. მე-4 მუხლით სასარჩელო წარმოების საქმეებზე შედიოდა სასარჩელო განცხადებები, ხოლო ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეებზე და განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე – საჩივრები და განცხადებები. მე-5 მუხლით მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორცი-

ელებდა მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე. მე-6 მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეებს სსრ ყველა სასამართლოში განიხილავდნენ მოსამართლენი და სახალხო მსაჯულები, რომლებიც არჩეული იყვნენ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლით სამოქალაქო საქმეები პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში განიხილებოდა ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით, რომლებიც სარგებლობდნენ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანასწორი უფლებებით ყველა საკითხის გადაჭრაში. სასამართლოები საქმეების განხილვას საკასაციო წესით ახორციელებდნენ სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით, ხოლო სასამართლო ზედამხედველობის წესით – სასამართლოს სულ ცოტა, სამი წევრის შემადგენლობით.

საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი გახლდათ საქმეთა განხილვისას საჯაროობა. იმავე კოდექსის მე-8 მუხლით აღიარებული იყო მოსამართლეთა და მსაჯულთა დამოუკიდებლობის პრინციპი. ამავე კოდექსის 52-ე მუხლით თითოეულ მხარეს უნდა დაემტკიცებინა ის გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნას და შესაგებელს.

სასამართლოს მოვალეობა იყო საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, „სასამართლო მოვალეა არ დასჯერდეს წარმოდგენილ მასალებსა და ახსნა-განმარტებებს და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი.“ აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ სასამართლო მკვეთრად ინკვიზიციური იყო, ანუ პროცესი არ ემყარებოდა შეჯიბრებითობის პრინციპს.

მართალია, საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი ფორმალურად შეიცავდა დისპოზიციურობის პრინციპს, მაგრამ არა ტრადიციული გაგებით. დისპოზიციურობის პრინციპი თავად 1977 წელს მიღებულ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 37-ე მუხლით იყო გარანტირებული, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მეორე აბზაცით, ეს პრინციპი ფაქტობრივად ფუნდამენტურად შეზღუდული გახლდათ, ვინაიდან მეორე აბზაცის თანახმად, „სასამართლო არ მიიღებს მოსარჩელის უარს სარჩელზე, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას და არ დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესს.“ ზემოაღნიშნული შეზღუდვა კი, უკავშირდებოდა იმავე საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე აბზაცით განსაზღვრულ დათქმას, რომლის თანახმადაც, „სამოქალაქო სამართალწარმოება ხელს უნდა უწყობდეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სამართალდარღვევის თავიდან აცილებას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელი შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებას.“ ამასთან, საქმის აღძვრა სასამართლოში შესაძლებელი იყო პროკურორის განცხადების საფუძველზეც. ასევე, საზედამხედველო წარმოების აღძვრა შეეძლოთ არა დაინტერესებულ პირებს, არამედ პროტესტის აღძვრის უფლებამოსილების მქონე პროკურატურის და სასამართლოს თანამდებობის პირებს.⁴⁵

მიგვაჩნია, რომ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 164-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია სხდომაზე საქმეში მონაწილე პირთა და მათ წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის შედეგები. ამ მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილი იყო ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში (თუკი საქმეში იყო ცნობა, რომ მას უწყება ჩაბარდა) მოსამართლეს შეეძლო განეხილა საქმე მის დაუსწრებლად, ანუ

პროცესი ითვალისწინებდა არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, არამედ, გადაწყვეტილების მხარის დაუსწრებლად მიღებას. ამასთან, იმავე მუხლის თანახმად, სასამართლოს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, თუ იგი საჭიროდ სცნობდა გამოუცხადებელი მხარის პირადი ახსნა-განმარტების მოსმენას, გადაედო საქმის განხილვა. საგულისხმოა, რომ იმავე მუხლით, სასამართლოს შეეძლო მოსარჩელის ან მოპასუხის პირადი ახსნა-განმარტებისათვის დაბარება, იმ შემთხვევაშიც, თუ საქმეში მათი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. 166-ე მუხლით აღიმენტის საქმეებზე სასამართლოს შეეძლო სავალდებულოდ ეცნო მოპასუხის გამოცხადება, ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაეჯარიმებინა 10 მანეთამდე და დაედგინა იძულების წესით მისი სასამართლოში მიყვანა. 167-ე მუხლით, თუ ორივე მხარე (მოპასუხე და მოსარჩელე) არ გამოცხადდებოდნენ საპატიო მიზეზის გარეშე, სასამართლო გადადებდა საქმის განხილვას იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი მხარისაგან არ შევიდოდა განცხადება საქმის მის დაუსწრებლად განხილვის შესახებ. განმეორებით დაბარებული მხარეების არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. იმავე კოდექსის 201-ე მუხლით სასამართლოს, მსგავსად 1931 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისა, საქმის გარემოებათა გამორკვევის მიხედვით შეეძლო გასცდენოდა მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებს.

რაც შეეხება საბჭოთა სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას, აღნიშნულზე პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი რენე დავიდი თავის მონოგრაფიაში წერდა, რომ „იმ ვითარებაში, როცა სამართალი ძალიან მჭიდროდა და კავშირებული სახელმწიფო პოლიტიკასთან და როცა ასე მონადინებული არიან ხალხის სუვერენიტეტი ქმედითი გახადონ, გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ სასამართლო სამართლის შემქმნელად გვევლინებოდეს და მას მხოლოდ სამართლის ზუსტი განმარტება ძალუძს“.⁴⁶ იმავე ნაშრომში იგი ასევე განმარტავს, რომ „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში სასამართლოების გამოცდილებას არ უგულებელყოფენ.“⁴⁷

საბჭოთა პერიოდში სასამართლოს დამოუკიდებლობა გახლდათ კონსტიტუციით აღიარებული პრინციპი, თუმცა, რეალურად ამ მხრივ, ქვეყანაში შექმნილი იყო სრულიად რადიკალური მიდგომარეობა, კერძოდ, „მოსამართლის არჩევა თანამდებობაზე ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ის იყო კომუნისტური პარტიის წევრი, რაც არჩევის მომენტიდანვე იძლეოდა საშუალებას მასზე განხორციელებულიყო უმკაცრესი პარტიული კონტროლი და მოეხდინათ მასზე გავლენა. ეს ე.წ. „სატელეფონო სამართლის“ პერიოდია, როდესაც მოსამართლეთა მიერ პარტიული ხელმძღვანელების დავალების სანინაღმდეგო ყოველი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ხდებოდა მათი „გამოგდება ხალიჩაზე“, დაწყებული რაიკომის ან ქალაქკომის პირველი მდივნიდან და ნებისმიერი განყოფილების ინსტრუქტორით დამთავრებული.“⁴⁸

საბჭოთა პერიოდში „თავად გაგება „სასამართლო ხელისუფლება“ პრაქტიკულად უცნობი გახლდათ, ვინაიდან სასამართლო ორგანოების სისტემა განიხილებოდა არა ხელისუფლების გაგების პრინციპით, არამედ სასამართლო საქმიანობის პოზიციიდან“.⁴⁹ „სასამართლო ხელისუფლების“ შესახებ უფრო სერიოზული მიდგომის დასაწყისს მიეკუთვნება 80-იანი წლების ბოლო და 90-იანი წლების პერიოდი. აღიარებულ იქნა, რა „სასამართლო ხელისუფლების“ გაგების უქონლობა და რომ საბჭოთა კავშირის ისტორიის მანძილზე სასამართლო ხელისუფლებას არასოდეს ეკავა სათანადო ადგილი და არ იყო დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და სხვა ხელისუფლების შტოებისაგან“.⁵⁰

„უნდა აღინიშნოს ასევე, რომ მოსამართლეთა მატერიალური მდგომარეობა გახლდათ იმდენად მძიმე (რიგითი მოსამართლის ხელფასი, რომელსაც ჰქონდა მცირე სტაჟი, შეადგენდა 180 მანეთს), რომ ბევრ მოსამართლეს უბიძგებდა ქრთამის აღებისაკენ.“⁵¹

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სამეურნეო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, გაჩნდა აუცილებლობა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის დავების გადაწყვეტის მიზნით სპეციალური ორგანოს შექმნისა. ამ მიზნით 1922 წელს შეიქმნა საარბიტრაჟო კომისიები. 1931 წელს, მმართველობის ორგანოების სისტემაში შეიქმნა სახელმწიფო არბიტრაჟი დაწესებულებათა, საწარმოთა და საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციათა შორის ქონებრივი დავების გადასაწყვეტად. ჩამოყალიბდა ორი სახის არბიტრაჟი – სახელმწიფო და საუნყებო. სახელმწიფო არბიტრაჟში წყდებოდა დავები სხვადასხვა უწყებათა დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, ხოლო საუნყებოში კი, ერთ უწყებას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის (სამინისტროს, კომიტეტის და სხვა დაქვემდებარების).⁵²

არბიტრაჟების საქმიანობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 1965 წლის სამეურნეო რეფორმის შემდეგ, როდესაც დაიწყო სახალხო მეურნეობის გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე.⁵³

სახელმწიფო არბიტრაჟის საბოლოო ეტაპი დაკავშირებულია 1977 წელს, სსრკ კონსტიტუციის მიღებისთან, სადაც არბიტრაჟი ცნობილ იქნა საკონსტიტუციო ორგანოდ. სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის ორგანიზაცია და წესი პირველად განისაზღვრა 1979 წლის 30 ნოემბერს მიღებული სსრკ-ის კანონით „სსრკ სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.“⁵⁴ ამ კანონის მიღებამდე საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობა რეგულირდებოდა 1974 წლის 14 მაისის სპეციალური დებულებით.⁵⁵ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 ივნისის დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესები.⁵⁶

პროფესორი რენე დავიდი საბჭოთა არბიტრაჟის შესახებ წერდა, რომ „დავის დასახელებული კატეგორია იმიტომაც არ შეიძლება სასამართლოებს გადაეცეს, რომ სასამართლოების დაკომპლექტების წესი ვერ უზრუნველყოფს ამგვარი დავის საკმაოდ კვალიფიციურ გადაწყვეტას. როცა მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების ინტერესებსა და გარემოებებზე საუბარი, არჩევით მოსამართლეს, ზოგადი კომპეტენციით, შეუძლია დავა გადაწყვიტოს და კანონი გამოიყენოს. სახელმწიფო და სამეურნეო საწარმოებს შორის წარმოშობილ დავას კი, სრულიად სხვა ხასიათი აქვს, მათი გადაწყვეტა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ნორმებს უფრო უკავშირდება, ვიდრე სამართლისა და მორალის გაგებას.“⁵⁷

რაც შეეხება სსრკ-ის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს, ის შედგებოდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟისაგან, ასევე, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო და საქალაქო (მოსკოვი, ლენინგრადი) საბჭოების აღმასკომებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟებისაგან (საქართველოს სსრ-ში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არბიტრაჟი არ არსებობდა). სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს სათავეში ედგნენ მთავარი არბიტრები და მათი მოადგილეები. არბიტრაჟში საქმე აღიძვრებოდა დაინტერესებული მხარის მიერ ან არბიტრაჟის მიერ. დავას განიხილავდნენ სახელმწიფო არბიტრი და მხარეთა წარმომადგენლები. არბიტრაჟის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედიოდა ძალაში. გადაწყვეტილების შესასრულებლად არბიტრაჟი გამოსცემს ბრძანებას. არბიტრაჟი სამინისტროს (უწყების) ორგანო იყო და იქმნებოდა მის აპარატში და მუშაობდა მისი ხელმძღვანელობით.⁵⁸

პროგრესულად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ როგორც საკავშირო, ისე საქართველოს სს რესპუბლიკის კანონმდებლობა ასევე, ითვალისწინებდა სამოქალაქო დავების სამედიატორო სასამართლოების მიერ გადაწყვეტის შესაძლებლობას. საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავდა დანართს №3 სახელწოდებით, „დებულება სამედიატორო სასამართლოების შესახებ“. ამ დებულების 1 მუხლის შესაბამისად, „მოქალაქეებს შეუძლიათ მათ შორის წარმოშობილი ყოველი დავა გადასცეს განსახილველად სამედიატორო სასამართლოს, გარდა დავისა, რომელიც გამომდინარეობს შრომითი და ოჯახური ურთიერთობიდან.“ დებულების მე-7 მუხლის შესაბამისად, „საქმის განხილვა სამედიატორო სასამართლოში უსასყიდლოდ წარმოებს“. დებულების მე-2 მუხლით, სასამართლო იქმნებოდა მხარეთა შეთანხმებით ერთი ან რამდენიმე მოსამართლისაგან, რომელთაც ირჩევდნენ მხარეები. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება თანახმად, საპროცესო კოდექსის 352-ე მუხლის მე-10 პუნქტისა ექვემდებარებოდა იძულებით აღსრულებას. ზემოაღნიშნული დებულების მე-17 მუხლით იძულებითი აღსრულება შესაძლებელი იყო სახალხო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით. გარდა დროებით კონკრეტული საქმეთა გადაწყვეტისათვის შექმნილი სამედიატორო სასამართლოებისა, მოქმედებდა მუდმივმოქმედი სამედიატორო სასამართლოები.⁵⁹

საბჭოთა საქართველოში ასევე, არსებობდა არჩევითი საზოგადოებრივი ორგანო ამხანაგური სასამართლო, რომელიც იქმნებოდა სანარმოებში, დანესებულებებში, ორგანიზაციებში, უმაღლეს და საშუალო სპეც. სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში, დაბებსა და სოფლებში, სახლმმართველობებსა და ქუჩის კომიტეტებთან. სასამართლოს წევრებს ნელინადმი ერთხელ ღია კენჭისყრით ირჩევდა მშრომელთა კოლექტივის საერთო კრება. ამხანაგური სასამართლოები განიხილავდნენ შრომის დისციპლინის დარღვევის და ადმინისტრაციული გადაცდომების შემთხვევებს, როცა საქმე გადაცემული იყო სათანადო ორგანოების მიერ, ასევე, ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი საქმე (საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობათა დაზიანება, მოქალაქეთა დავა დამხმარე სათავსოებით სარგებლობის თაობაზე და სხვა). საქმეები განიხილებოდა ღია სხდომაზე და გადაწყვეტილება ცხადდებოდა საჯაროდ. სამართალდამრღვევზე შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო გაფრთხილება, საზოგადოებრივი გაკიცხვა, ჯარიმა, საყვედური და სხვა. გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოო იყო, მაგრამ თუ იგი ეწინააღმდეგებოდა საქმის გარემოებებს ან მოქმედ კანონმდებლობას, პროფკავშირის შესაბამისი კომიტეტის ან ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის წინადადებით ამხანაგური სასამართლო საქმეს ხელახლა არჩევდა.⁶⁰

რაც შეეხება სააღსრულებო წარმოებას, ის დარეგულირებული გახლდათ 1964 წლის რედაქციის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის V კარით. ამავე კოდექსის 362-ე მუხლით, „სასამართლოებისა და სხვა ორგანოების დადგენილებათა აღსრულებას აწარმოებდნენ სასამართლო აღმასრულებლები, რომლებიც რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებთან ფუნქციონირებდნენ.“ 363-ე მუხლით, კვლავ, „გადაწყვეტილებათა დროულად და სწორად აღსრულებაზე კონტროლს ახორციელებს მოსამართლე.“ შემდგომში სასამართლო აღმასრულებლები აღმოჩნდნენ ორმაგ დაქვემდებარებაში, კერძოდ, მათ ნიშნავდა და ათავისუფლებდა იუსტიციის მინისტრი, თუმცა, ისინი სასამართლოებთან იყვნენ და მათ ხელმძღვანელობას სასამართლოს თავმჯდომარე ახორციელებდა. ასეთმა თავისებურმა ორმაგმა დაქვემდებარებამ რეალურად გამოიწვია სასამართლო აღმასრულებლების მოქმედებათა უკონტროლობა.⁶¹ გარდა აღნიშნულისა, სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების კანონიერებაზე კონტროლს ახორციელებდა პროკურატურა.⁶²

უნდა აღინიშნოს, რომ 1964 წლის რედაქციის საქართველოს სსრ-ის ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით არსებითი ცვლილებები სააღსრულებო წარმოებაში არ განხორციელებულა. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააღსრულებო წარმოება რეგულირდებოდა 1985 წლის 15 ნოემბერს სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“.⁶³

დასკვნა

საქართველში, საბჭოთა ანექსიის შემდეგ, ჩამოყალიბდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და მის პოლიტიკურ ნებაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული სასამართლო სისტემა. საბჭოთა კანონმდებლობა არ სცნობდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას რამდენიმე შტოდ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ორგანო საბჭოთა პერიოდში საერთოდ არ განიხილებოდა, როგორც „ხელისუფლება“. სასამართლოზე პროკურატურის ზედამხედველი ფუნქცია მნიშვნელოვნად ზღუდავდა მის დამოუკიდებლობას და შესაბამისად, გამორიცხავდა სამართლიანი სასამართლოს არსებობას. სამოქალაქო საქმის განხილვისას, სასამართლოს ინკვიციზიური ხასიათი, პროკურორის მონაწილეობა და მისი შეუზღუდავი როლი უგულვებელყოფდა ისეთ საპროცესო პრინციპებს, როგორცაა დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის და სხვა პრინციპი, რაც პროცესის მონაწილე მხარეების უფლებათა არსებითად შელახვაში ვლინდებოდა.

მართალია, კანონით აღიარებული იყო მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მოსამართლედ გამწესება ხდებოდა არჩევნების გზით, მაგრამ, აღნიშნული რეალურად ვერ უზრუნველყოფდა მათ დამოუკიდებლობას, ვინაიდან არჩევნები ატარებდა ფორმალურ ხასიათს და ამასთან, აუცილებელი იყო კანდიდატისათვის კომუნისტური პარტიის ნევრობა, რაც თავისთავად გამორიცხავდა მოსამართლის ობიექტურობას და დამოუკიდებლობას, ვინაიდან პარტიული ინტერესი ყველა სხვა ინტერესზე მაღლა იდგა. ასევე, საბჭოთა სასამართლოს ერთ-ერთი უარყოფითი მომენტი იყო მოსამართლეთა და მსაჯულთა არაკვალიფიციურობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე, უარყოფითად უნდა შეფასდეს საბჭოთა სასამართლო სისტემაში აპელაციის უქონლობა.

რაც შეეხება სააღსრულებო წარმოებას, უნდა ითქვას, რომ იგი მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, როგორც საქართველოში, ისე მთელს საბჭოთა კავშირში ნაკლებად ეფექტური იყო.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო სამართალწარმოება და აღსრულება არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ უარყოფითად, ვინაიდან აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, სხვა რომ არაფერი, დაგროვდა მდიდარი სასამართლო პრაქტიკა. ასევე, პოზიტიურად უნდა მივიჩნიოთ დავების გადაწყვეტის სასამართლოს ალტერნატიული საშუალებების – არბიტრაჟის, სამედიაციო და ამხანაგური სასამართლოების არსებობა. თუმცა, მსგავსად სასამართლო ხელისუფლებისა, აღნიშნული სისტემებიც გახლდნენ პოლიტიკურად, ვინაიდან საქმის პოლიტიკური და საპროცესო მნიშვნელობა ერთიმეორისაგან განუყოფლად იყო მიჩნეული.⁶⁴

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პერიოდში მიმდინარე სამოქალაქო სამართალწარმოების რე-ფორმის წარმატებისათვის უალტერნატივო გზაა არამართო სასამართლო სისტემის და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფა, არამედ ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომლის პირობებშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სამოქალაქო სამართალწარმოების სისტემაში მიჩენილი ექნება დავათა გადაწყვეტის საშუალებებს სასამართლოს ალტერნატიული გზებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. [Ghttp://ka.wikipedia.org/wiki/](http://ka.wikipedia.org/wiki/) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა;
2. სერგი ჯაფარიძე, სამოქალაქო პროცესი, იუსტიციის სახალხო კომისარი-ატის გამომცემლობა, ტფილისი, 1926, გვ. 10;
3. იქვე, გვ. 16;
4. იქვე, გვ. 17;
5. იქვე, გვ. 16;
6. იქვე, გვ. 32;
7. იქვე, გვ. 32;
8. იქვე, გვ. 32;
9. იქვე, გვ. 14;
10. იქვე, გვ. 23;
11. იქვე, გვ. 24;
12. Проф. Гурвич, Основы Советской конституции, изд. 4-ое, ст. 78-79;
13. სერგი ჯაფარიძე, სამოქალაქო პროცესი, იუსტიციის სახალხო კომისარი-ატის გამომცემლობა, ტფილისი, 1926, გვ. 66, 67;
14. იქვე, გვ. 67, 68;
15. იქვე, გვ. 68;
16. იქვე, გვ. 142;
17. იქვე, გვ. 143;
18. იქვე, გვ. 144;
19. იქვე, გვ. 144;
20. იქვე, გვ. 145;
21. იქვე, გვ. 145, 146;
22. იქვე, გვ. 152;
23. იქვე, გვ. 140;
24. Д. Я. Малеишин, исполнительное производство (функции суда), 2-е издание, переработанное и дополненное, оао Издательский дом “Городец”, Москва, 2005, с. 39;

25. იქვე, გვ. 141;
26. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, გამომცემლობა „სახელგამი“, 1956;
27. ს. აბრამოვი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, წიგნი 5, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1952, გვ. 58;
28. იქვე, გვ. 67;
29. Высший судебный орган СССР, “Юридическая литература”, Москва, 1984, с. 14;
30. ს. აბრამოვი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, წიგნი 5, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1952, გვ. 57, 58;
31. იქვე, გვ. 63;
32. Высший судебный орган СССР, “Юридическая литература”, Москва, 1984, с. 12;
33. იქვე, გვ. 15;
34. ბ. ა. ლისკოვეცი და გ. ვ. ჩუგუნოვი, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება, სახალხო მოსამართლის ბიბლიოთეკა, წიგნი 9, „სახელგამი“, 1954, გვ. 8, 9;
35. იქვე, გვ. 39;
36. იქვე, გვ. 14;
37. იქვე, გვ. 44;
38. ს. აბრამოვი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, წიგნი 5, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1952, გვ. 213;
39. იქვე, გვ. 214;
40. ბ. ა. ლისკოვეცი და გ. ვ. ჩუგუნოვი, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება, სახალხო მოსამართლის ბიბლიოთეკა, წიგნი 9, „სახელგამი“, 1954, გვ. 187;
41. ს. აბრამოვი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, წიგნი 5, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1952, გვ. 217;
42. ბ. ა. ლისკოვეცი და გ. ვ. ჩუგუნოვი, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება, სახალხო მოსამართლის ბიბლიოთეკა, წიგნი 9, „სახელგამი“, 1954, გვ. 170;
43. ს. აბრამოვი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1952, გვ. 218;
44. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1964, №36, მუხ. 662;
45. Авторский коллектив, Советский гражданский процесс, изд.-во “Юридическая литература”, Москва, 1985, с. 42;
46. რენე დავითი, თანამდროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1993, გვ. 187;
47. იქვე, გვ. 189;
48. Вашинский Е. В., журнал, “Арбитражный и гражданский процесс”, издательская группа “Юрист”, 2003, №2, с. 12;
49. А. С. Безнасюк, Х.У. Рустамов, “Судебная власть”, Учебник, изд.-во юнити-дана, Москва, 2002, с. 25;
50. там же. С. 28;
51. Вашинский Е. В., журнал “Арбитражный и гражданский процесс”, издательская группа “Юрист”, 2003, №2, с.12;

52. Д.Х. Саидумов, Научно-практический журнал “Современное право”, изд-во новый индекс, 2010, №10, с. 98;
53. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი I, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, თბილისი 1975 წ. გვ. 547;
54. Д.Х. саидумов, Научно-пратический журнал “Современное право”, изд-во новый индекс, 2010, №10, с. 98;
55. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი I, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, თბილისი 1975 წ. გვ. 547;
56. Авторский коллектив, Советский гражданский процесс, изд.-во “Юридическая литература”, Москва, 1985, с. 438, 439;
57. რენე დავითი, თანამდროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა განათლება, თბილისი 1993 წ. გვ. 181;
58. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი I, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, თბილისი 1975 წ. გვ. 547;
59. Авторский коллектив, Советский гражданский процесс, изд.-во “Юридическая литература”, Москва, 1985, с. 489, 490;
60. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი I, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, თბილისი 1975 წ. გვ. 417;
61. Д. Я. Малеишин, Исполнительное производство (функции суда), 2-е издание, переработанное и дополненное, ОАО Издательский дом “Горюдец”, Москва, 2005, с. 40,41;
62. В.А. Гуреев, В.В. Гушин, Исполнительное производство, изд.-во “Экс-мо”, Москва, 2009, с. 42;
63. იქვე, გვ. 43;
64. ს. აბრამოვი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, ნიგნი 5, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1952, გვ. 56.

ISSUES OF CIVIL PROCEEDINGS AND EXECUTION IN THE SOVIET GEORGIA

ZURAB CHKONIA


Doctoral Candidate, Technical University of Georgia

After the Soviet annexation of Georgia, the Judicial system of the state became significantly dependant upon the executive authorities and their political wills. The Soviet legislation did not recognize the separation of state authorities into several branches. Therefore, during the Soviet era, the judicial body was not considered as an “authority” at all. The supervisory function of the prosecutor’s office over the judiciary, limited its independence and accordingly possibility of having fair trial was completely excluded. While considering the civil cases, the inquisitive nature of the court, prosecutor’s participation and his/her unrestricted role would disregard proceeding principles of disposition, adversity and others, that were reflected in substantial violation of the rights of the Parties.

The law officially recognized the independence of judges and they were elected on the bases of elections, but in reality, it still failed to guarantee their independence. The elections were just a formality and at the same time, the potential candidates were required to be the members of the Communist party, which automatically excluded the possibility of having objective and independent judge, since the Party interest was the priority. Lack of qualified judges was one more negative side of the Soviet Judiciary.

Besides the above mentioned, the negative side of the soviet system was the lack of possibility for the appeal.

As for the execution proceedings, we should say that during the entire period of soviet time, in Georgia, as well as in entire Soviet Union, it was less effective.



Besides all above mentioned, the civil case proceedings during the soviet time and the execution may not be evaluated only as negative. Along with other things, during this period, we have collected a very reach court practice. Also, a very positive thing was possibility of alternative dispute resolution through arbitrage, mediation and friendship courts. Although, similar to the judiciary, the above-mentioned systems were also extremely politicized. As the procedural and political meaning of the case were not differentiated.

We believe that in modern times, in order to ensure the success of the civil case proceedings, the only successful way is not just reformation of the judiciary and procedural legislations, but also introducing the legislation that will allow and even prioritize the alternative dispute resolutions in civil case proceedings.

ვინდოკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალება

Ibi jus, ibi remedium – სადაც უფლებაა, იქვეა მისი დაცვის საშუალებაც

ლაურა მიძავა

*ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

საკუთრების უფლების დაცვა სამართლის არსებობისა და სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედაა. საკუთრების უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „საკუთრება არის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. საკუთრების უფლების დაცვა უცხოა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, ხოლო დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ერთი მხრივ, საკუთრების, როგორც ინსტიტუტის კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტირება, ხოლო მეორე მხრივ – მესაკუთრისათვის, როგორც სუბიექტისათვის უფლების სამართლებრივი დაცვის საკმარისი საშუალებების მინიჭება, მისი ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა. საკუთრების უფლების იგნორირება გამორიცხავს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას მთლიანად საზოგადოებისა და მის ცალკეულ წევრთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას და პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ სტაბილურობას. დე-

მოკრავი, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე სწორედ საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას ეყრდნობა.“¹

საკუთრების უფლება წარმოშობილია ადამიანის ბუნებიდან, ვინაიდან იგი ინდივიდუალური სურვილების განვითარების საშუალებაა. საკუთრება ფუნდამენტურ როლს ასრულებს ეკონომიკაში იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფს ქონების მიმოქცევას, მის მოხმარებასა და ექსპლუატაციას, სიმდიდრის წყაროს. საკუთრება არის კონკრეტული გამოყენება თავისუფლებისა რომელიც იცავს ადამიანების თანასწორობას საკუთრებაზე თავისუფლად ხელმისაწვდომობის მეშვეობით და ასევე, იცავს მათ ღირსებას, ქონების გამოყენებისას პასუხისმგებლობის გზით. საკუთრება საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ეკონომიკური საქმიანობის საფუძველია, მისი დაცვა თანაბარ შესაძლებლობას იძლევა, არაპირდაპირ უზრუნველყოფს მთელი რიგი ფუნდამენტური უფლებების დაცვას (მრეწველობის თავისუფლება, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების თავისუფლება, თანასწორობა, ღირსება, სამართალი).²

ბუნებრივია, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა პრაქტიკულად, შეუძლებელია საკუთრების უფლების დასაცავად მყარი სამართლებრივი გარანტიების შექმნისა და მათი რეალურად უზრუნველყოფის გარეშე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთრების უფლება წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. თუმცა, საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები, საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას, ვინაიდან საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია. ასევე აღინიშნა ისიც, რომ საკუთრების უფლება ადამიანის ძირითად უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება, ხოლო „ძირითადი უფლებების დაცვა შეუძლებელია, თუკი, არ არსებობს უფლებათა საერთო წესრიგი. ეს წესრიგი ადამიანის ორგანიზმითაა და რაც უფრო ჯანმრთელია იგი, მით უფრო გარანტირებულია აღნიშნული უფლებების დაცვა. საკუთრების უფლების გარანტიებს საკუთრებითი წესრიგი ქმნის. სამოქალაქო ბრუნვის წესრიგი საფუძველია სამოქალაქო უფლებების რეალიზაციისათვის. ნებისმიერი უფლების დაცვა სამართლებრივი წესრიგის სივრცეში უნდა ჯდებოდეს“.³ საქართველოში საკუთრების არსებობის და დაცვის ფუნდამენტურ გარანტიას ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“ საკუთრების უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმით, რომლის პირველი მუხლის თანახმად: „ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლება...“ 2001 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა 1950 წლის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოახდინა,⁴ რითაც თავისი იურისდიქციის ფარგლებში, საკუთარ თავზე აიღო საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება. სწორედ სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს საკუთრების უფლება, მოითხოვს შესაბამისი სამართლებრივი წესრიგის, მათ შორის, კერძო სამართლებრივი წესრიგის შექმნას. საკუთრების უფლების სრული და ეფექტიანი დაცვისათვის აუცილებელია ადეკვატური, სრულყოფილი და დეტალურად განერილი პროცედურების არსებობა, რათა მესაკუთრემ შეძლოს ქონების კუთვნილების მართლზომიერებაზე დავა და ამ გზით უზრუნველყოფილ იქნეს საკუთრების ინსტი-

ტუტის ხელშეუხებლობა. ყოველივე ეს კანონმდებელს ავალდებულებს, შექმნას მატერიალურ და პროცესუალურ ნორმათა ისეთი სისტემა, რომელიც ამ ინსტიტუტის არსებობას ეჭვქვეშ არ დააყენებს.

სამართლებრივ სახელმწიფოში ყველაზე მნიშვნელოვანია სამართლებრივი გარანტიები საკუთრების უფლებების დაცვის სფეროში. თავის მხრივ, საკუთრების უფლებების დაცვის გარანტიები გამოხატულებას პოულობს კანონის ცალკეულ ნორმებში, რომლებიც აკონტროლებენ საკუთრებასთან დაკავშირებულ უფლებებს, ადგენენ მისი განხორციელების წესებსა და დაცვის საშუალებებს. ეს ნორმები უნდა იცავდეს თითოეული პირის საკუთრების უფლებას, რაც ასევე, მოიცავს მესაკუთრის სამართლებრივ შესაძლებლობას, ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან მის საკუთრებაში უკანონო ჩარევის შემთხვევაში, საკუთრების უფლების დასაცავად სარჩელით წარსდგეს სასამართლოში. საინტერესოა, ევრო სასამართლოს განმარტება, სადაც საუბარია, რომ „ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ერევა საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლების გამოყენებაში, სამართლიან წონასწორობას უნდა ამყარებდეს საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნილებებსა და ინდივიდის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის.“⁴⁵ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში საკუთრების უფლების გარანტი კანონის უზენაესობაა, ხოლო კანონის უზენაესობის უმაღლესი დამცველი – სასამართლო. დავის შემთხვევაში, მხოლოდ სასამართლოს გზით საკუთრების დაცვას შეუძლია უზრუნველყოს ამ ფუნდამენტური უფლების რეალიზაცია.

სასამართლოს გზით საკუთრების უფლების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივ საშუალებებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უძველეს სამართლებრივ მექანიზმს ვინდიკაციური სარჩელი წარმოადგენს, რომლის ძალითაც მესაკუთრე უფლებამოსილია სხვისი უკანონო მფლობელობიდან გამოითხოვოს ნივთი (მოახდინოს ნივთის ვინდიცირება). ვინდიკაციური სარჩელი, როგორც საკუთრების უფლების დაცვის სანივთოსამართლებრივი საშუალება, უზრუნველყოფს კანონის ძალით საკუთრების უფლების დაცვას. ვინდიკაციურ სარჩელს მრავალი ქვეყნის სამართალი იცნობს, თავდაპირველად კი, იგი ძველი რომის ცივილურ სამართალში წარმოიშვა (*rei vindicatio* და *actio negatoria*). გაიუსის⁴⁶ აზრით – სანივთო სარჩელი (*actio in rem*), როცა ვაცხადებთ პრეტენზიას სხეულებრივი ნივთის კუთვნილებაზე. ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის რომის სამართლის მიხედვით საჭირო იყო ნივთის გადაცემა – "*traditio*". ადამიანებს შორის ნივთების თაობაზე წარმოქმნილი ურთიერთობები სანივთო სამართლით წესრიგდებოდა, რომლითაც ცალკეულ პირთა ან პირთა ჯგუფებისათვის ნივთების კუთვნილების ფორმა და მათი სრული განკარგვის დადგენა ხდებოდა. ძველი რომაული სამართლის მიხედვით ნივთზე საკუთრების უფლების (*dominium*)⁴⁷ საფუძველზე, ნივთის მიმართ ნივთის მესაკუთრეს აბსოლუტური სამართლებრივი პოზიცია ჰქონდა. ნივთზე საკუთრების უფლების თაობაზე გამართულ სასამართლო პროცესზე (*in rem*) მესაკუთრეს, ნებისმიერ მესამე პირზე, მათ შორის, იმავე ნივთზე რაიმე სხვა უფლების მქონეზე, გაცილებით მყარი სამართლებრივი მდგომარეობა ჰქონდა. ამიტომ საკუთრების უფლებით ყოველგვარი სამართლებრივი შეზღუდვის გარეშე, ნივთზე პირის აბსტრაქტული კუთვნილება (*proprietas*) სრული მოცულობით იგულისხმებოდა. მაშასადამე, მხოლოდ მესაკუთრეს შეეძლო ეთქვა, რომ ნივთი მხოლოდ მას ეკუთვნოდა (*meum esse aio*).

რომაული სამართლის მიხედვით, „ვინდიკაციურ სარჩელზე უფლება მესაკუთრეს ენიჭებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე თავისთან აკავებდა მესაკუთრის კუთვნილ ნივთს და არ უბრუნებდა მას. ამდენად, პირს საკუთრების უფლების სრულად დარღვევისას რეი ვინდიკაციო

ენიჭებოდა.⁸ „ვინდიკაციური სარჩელის მეშვეობით მფლობელ არამესაკუთრეს ედავებოდა მესაკუთრე არამფლობელი. თითოეული მოდავე მხარეთაგანი აცხადებდა მაგისტრატის წინაშე საკუთარი მესაკუთრული უფლებების შესახებ და თავისი ნათქვამის დასადასტურებლად ჯოხს – „ვინიკტას“ დაადებდა სადავო ნივთს. აქედან წარმოიშვა სახელწოდება — ვინდიკაციური პროცესი, სადაც მოსარჩელეს აწვა მტკიცების ტვირთი – „ონუს პროპადი“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა, რომ სადავო ნივთი მას ეკუთვნოდა საკუთრების უფლებით, ხოლო მოპასუხე არ იყო ვალდებული რაიმე ემტკიცებინა მისი უფლების შესახებ. „ითვლებოდა, რომ მოპასუხის სასარგებლოდ მეტყველებდა თვით ნივთის ფლობის ფაქტი. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ვერ შეძლებდა თავისი კანონიერი უფლების დამტკიცებას, რომ ნივთი მას ეკუთვნოდა საკუთრების უფლებით, მას სარჩელზე უარს ეტყოდნენ. რომის სამოქალაქო სამართალს ჩამოყალიბებული ჰქონდა წესი: სადაც მე ვიპოვენი ჩემს ნივთს, იქ ვავენდიცირებ – ვიბრუნებ (Ubi meam rem invenio, ibi eam vindicio). Rei indicatio-ს მეშვეობით ხდებოდა მესაკუთრის უფლების დაცვა, რომელსაც მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩამოართვეს ნივთის ფლობის უფლება. ცივილურ მესაკუთრეს შეეძლო ვინდიკაციური სარჩელის წარდგენა იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა მის საკუთრებაში არსებული ნივთის ფლობის ხელყოფა. მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას იმ მოპასუხეს უყენებდა, რომელიც უშუალოდ ფლობდა სადავო ნივთს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დავის შემთხვევაში, მოპასუხეს უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, ვინაიდან სწორედ მოსარჩელეს აწვა მტკიცების ტვირთი, რომ სადავო ნივთზე საკუთრების უფლება მხოლოდ მას ეკუთვნოდა, ამიტომ ხშირად ვინდიკაციურ პროცესს წინ უსწრებდა განხილვა, თუ რამდენად მართლზომიერად ფლობდა ნივთს მოპასუხე. რომაული სამართლის მიხედვით, ნივთზე მფლობელობის აღდგენა სამი ასპექტის გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო: 1. ნივთის ნაყოფისა და დამატებითი ნაწილების დაანგარიშება; 2. იმ ხარჯების დაცვა, რომლებიც ნივთის მფლობელმა ნივთის მიმართ გასწია; 3. ნივთისათვის მიყენებული ზიანის ან ზარალის შედეგები. სამივე ასპექტის შინაარსზე გავლენას ახდენდა მოსამართლის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, იყო თუ არა ნივთის ფაქტობრივი მფლობელი-მოპასუხე კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი (*possessio iusta, possessio iniusta (vitiosa)*) შემძენი.

რომის სამართლის მიხედვით, ნივთი მესაკუთრეს უბრუნდებოდა ნაყოფისა და ნამატის ჩათვლით. მფლობელის მიერ ნივთის მიმართ განეული ხარჯები სამი კრიტერიუმით ფასდებოდა: 1. აუცილებელი ხარჯები, რომელთა განევა გარდაუვალი იყო ნივთის შენახვის მიზნით; 2. სასარგებლო ხარჯები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ნივთის გადიდებას ან გაუმჯობესებას; 3. თვითნებური ან ფუჭი ხარჯები, რომელთა მიზანი არ იყო სამეურნეო ეფექტის მიღება და შესაბამისად, არ შეიძლებოდა მათი ხარჯების საფასურში ჩათვლა. კლასიკურ სამართალში, კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ განეული საჭირო და სასარგებლო ხარჯების ანაზღაურება ნივთის მესაკუთრეს ევალებოდა, თუ ასეთი ხარჯების განევა დავის საგნის (*litis contestatio*) დადგენამდე მოხდებოდა. კეთილსინდისიერი მფლობელი მხოლოდ იმ ზიანის გამო აგებდა პასუხს, რომელიც ნივთს მისი ბრალეული ქმედების შედეგად მიადგა, თუმცა, მხოლოდ დავის საგნის (*litis contestatio*) დადგენამდე და არავითარ შემთხვევაში, მის შემდგომ. არაკეთილსინდისიერი მფლობელი კი, პასუხისმგებელი იყო ნებისმიერ ვითარებაში. „ნივთი მესაკუთრეს უბრუნდებოდა მფლობელის კეთილსინდისიერების მიუხედავად, ვინაიდან რომის სამოქალაქო სამართალი იდგა შეუზღუდავი ვინდიკაციის პოზიციაზე.“⁹ ქართულ ფეოდალურ სამართალშიც საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი ვინდიკაციას. ამასთან დაკავშირებით ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნმა შემოგვინახა

ძველი ქართული წესი – „კაცი თავის საქონელს იცნობს, შუას წყალში ჩაეჭიდებისო“ (158-ე მუხლი).¹⁰

რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში საკუთრების უფლების დასაცავად ასევე, გამოიყენება ვინდიკაციური სარჩელი – სასარჩელო მოთხოვნის გზით მესაკუთრის მიერ სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვაზე. იმდენად, რამდენადაც ვინდიკაციურ სარჩელს აქვს მიზანი დაიცვას მესაკუთრის ინტერესი კონკრეტული ობიექტის მიმართ, რომელიც გამოვიდა მესაკუთრის ხელიდან და არა რაიმე კომპენსაციის მიცემა ნივთის დაკარგვის საფასურად, ის განკუთვნილია მესაკუთრის უფლების დასაცავად ინდივიდუალურად განსაზღვრულ საქონელზე ან იმ საგნებზე, რომლებიც შეიძლება იყვნენ ინდივიდუალიზებული. ეს არ ნიშნავს, რომ განსაზღვრულ სიტუაციაში ვინდიკაციური სარჩელის წარდგენა არ შეიძლება დამთავრდეს მოსარჩელის მიმართ სათანადო ანაზღაურების გადახდით. ასეთი ანაზღაურება გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო სამართალში, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში საქმის აღძვრის შემდეგ, საქონელი დაიღუპა მფლობელი-მოპასუხის ბრალით (პარ. 989 გსკ).¹¹

რომის სამართლის გავლენით, რეი ვინდიკაციო-ს ითვალისწინებს ფრანგული სამართალი. თუმცა, აღნიშნული სარჩელები, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, ენიჭებოდა, როგორც წესი, მხოლოდ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს.¹² საფრანგეთში წესები ვინდიკაციურ სარჩელზე არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ დამუშავებულია დოქტრინით და სასამართლო პრაქტიკით.¹³ ასეთი შეზღუდვა არ არსებობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, რომელშიც საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლებები, მათ შორის, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ მოთხოვნები შემუშავებულია მესამე წიგნის მეოთხე თავში (პარ. 985-1007 გსკ); იტალიის სამოქალაქო კოდექსში საკუთრების უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებს დათმობილი აქვს 948-949 მუხლები; ვეებეკის სამოქალაქო კოდექსში – 929-ე, 953-ე მუხლები; ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში კი, 5:1 მუხლის მე-2 პუნქტი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ვინდიკაციურია სარჩელი, როდესაც ქონების არამფლობელი მესაკუთრე სარჩელით ითხოვს მფლობელი არამესაკუთრის მიერ ამ ქონების დაბრუნებას (პარ. 985, 1004 გსკ). გერმანიის სამოქალაქო სამართალში არსებობს პრეზუმფცია, რომ მოძრავი ქონების მფლობელი ითვლება მის მესაკუთრედ (პარ. 1006 გსკ); საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (2279 ფსკ) „მოძრავი ქონების მფლობელობა ერთგვაროვანია მასზე უფლებამოსილების“ (ანალოგიურად არის მონესრიგებული ეს საკითხი შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსით – 930 შსკ). „მესაკუთრეს, რომელიც ახორციელებს ვინდიკაციას ნივთზე (საქონელზე) შეუძლია მიმართოს სხვადასხვა ხერხს, რათა გააქარწყლოს მითითებული პრეზუმფცია და მტკიცება იმისა, რომ მოპასუხე არის ამ ქონების მფლობელი. უწინარეს ყოვლისა, მესაკუთრეს აქვს საშუალება ამტკიცოს, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული მფლობელობა არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი მფლობელობის დაცვაზე, მოპასუხემ უნდა ამტკიცოს კანონიერი საფუძვლის არსებობა – მასზე გაცემული საკუთრების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ეწინააღმდეგება პრეზუმფციას – დაწესებულს მის სასარგებლოდ და თუ ის ვერ შეძლებს დაამტკიცოს აღნიშნულის არსებობა, ნივთი იქნება გამოთხოვილი, ანუ ჩამორთმეული მოსარჩელე-მესაკუთრის სასარგებლოდ; მესაკუთრის ინტერესების დასაცავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ხერხიც, კერძოდ, მას აქვს უფლება წარმო-

ადგინოს მოპასუხის მიერ მფლობელობის განხორციელების არაკეთილსინდისიერი ხასიათის მტკიცებულებები. ამ შემთხვევაში ზემოთ ნახსენები პრეზუმფცია არ ათავისუფლებს მოპასუხე-მფლობელს ნივთზე მისი მფლობელობის საფუძვლებზე მითითებისაგან, კერძოდ, მან უნდა წარადგინოს მტკიცებულება (აქტი), რის საფუძველზეც მას ერგო ეს ნივთი დაბოლოს, მოსარჩელე-მესაკუთრემ შეიძლება მიუთითოს მტკიცებულებაზე, რომ მოპასუხემ არაკეთილსინდისიერად ჩაიგდო ხელში ნივთი. მაგალითად: იცოდა, რომ ის იყო მოპარული, დაკარგული ან სხვაგვარად გასული მესაკუთრის მფლობელობიდან, ეს დებულება, როგორც გამონაკლისი საერთო პრეზუმფციისაგან (პარ. 1006) აღიარებულია აგრეთვე, ფრანგული სასამართლო პრაქტიკით. ვინდიკაციის პირობებში მესაკუთრე ვალდებულია დაამტკიცოს არა მარტო ქურდობის ფაქტი ან ნივთის დაკარგვა (გაქრობა) მისი ნების გარეშე, არამედ ნივთის შემძენი მოპასუხე-მფლობელის არაკეთილსინდისიერება. განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო სამართალი (პარ. 932 გსკ, 933 შსკ, 2-403 აშშ, ფრანგული სასამართლო პრაქტიკა), რომელიც უზრუნველყოფს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერსების დაცვას, ითვალისწინებს სერიოზულ ზღვარს მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვაზე. საერთო პრინციპის თანახმად, ნივთი შეიძლება იყოს გამოთხოვილი მესაკუთრის მიერ მხოლოდ არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან.¹⁴ ასეთ მფლობელად იგულისხმება პიროვნება, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ნივთს, ან იცოდა, რომ იქნეს ამ ნივთს არაუფლებამოსილი პირისაგან (მაგალითად, შემნახველისაგან, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა აღნიშნულ ნივთს – პარ. 932 გსკ). კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებები კანონით დაცულია ამ ნივთის არამფლობელი მესაკუთრისაგან. კეთილსინდისიერად ითვლება ის მფლობელი, რომელიც უხეში დაუდევრობის გარეშე მოქმედებს, არ იცის, რომ ნივთი (საქონელი) არ ეკუთვნის მის გამსხვისებელს (პარ. 932 გსკ). გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ შემთხვევა, როცა ხდება ისეთი ნივთის უკან დაბრუნება, რომელიც გამოსულია მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების გარეშე. ნივთის ვინდიკაციის შემთხვევაში, რომელიც შეძენილ იქნა საჯარო ბაზრობაზე (პარ. 932-935 გსკ).¹⁵ მოძრავი ნივთი, კეთილსინდისიერად შეძენილი ნებისმიერი პირისაგან, მათ შორის, მის გასხვისებაზე არაუფლებამოსილისაგანაც, არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მესაკუთრის მიერ, ის ხდება შეძენის საკუთრება. „პირი, რომელსაც აქვს საკამათო ტიტული, შეუძლია გადასცეს სრულფასოვანი ტიტული კეთილსინდისიერ შემძენს ანაზღაურებად სანყისებზე“ (2-403 აშშ). ასეთი პოზიცია განაპირობებს სახელმწიფოს მისწრაფებას გაამარტივოს სამოქალაქო ბრუნვა, გამორიცხოს შეძენის მიერ ყველა შემთხვევაში, შემონმება გამსხვისებლის უფლებამოსილებისა, რაც ხელს უშლის სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. მიწასთან დაკავშირებული საქმიანობა ექვემდებარება სპეციალურ გაფორმებას, სადაც უფრო ადვილია გამსხვისებლის უფლების დადგენა. საერთო წესიდან კეთილსინდისიერი შემძენის დასაცავად კეთდება გამონაკლისი იმასთან დაკავშირებით, თუ რა პირობებში დაკარგა მესაკუთრემ ქონება, პირველი გამონაკლისი არის ნივთის დაკარგვა მესაკუთრის ნების გარეშე. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქურდობის ან სხვა გზით ნივთის დაკარგვისას მესაკუთრეს აქვს უფლება მოსთხოვოს ნივთი კეთილსინდისიერ მფლობელს სამი წლის ვადაში დღიდან დაკარგვისა ან ქურდობისა (2279 ფსკ), გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მესაკუთრე უფლებამოსილია მოსთხოვოს კეთილსინდისიერ შემძენს პრაქტიკულად, ყველა საქონლის დაბრუნება, რომელიც მისი ნების გარეშეა გასული მისი მფლობელობიდან. მეორე გამონაკლისი ეხება საქონლის ვინდიკაციას, რომელიც შეძენილია საჯარო ვაჭრობის დროს (აუქციონზე). გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, არ არის დაშვე-

ბული ნივთის გამოთხოვა მესაკუთრის მიერ (პარ. 935 გსკ). ფრანგული სამართლით ვინდიკაცია შეიძლება ნივთის კეთილსინდისიერი შემძენისაგან, მაგრამ იმ პირობით რომ მას გადაეცემა ფულადი ანაზღაურება, რაც მან გადაიხადა ამ ნივთზე (2280 ფსკ). ამავდროულად მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს მისი საქონლის არა მარტო დაბრუნება, არამედ ნივთის ნაყოფი და შემოსავალიც. არაკეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებულია გადასცეს ყველა ნაყოფი და შემოსავალი, რომელიც მიღებული აქვს ქონების გამოყენების დროს, კეთილსინდისიერი მფლობელი კი, ვალდებულია გადასცეს ის ნაყოფი და შემოსავალი, რომელიც მიღებულია იმ დროიდან, როცა მან გაიგო არაკანონიერ მფლობელობაზე ან სარჩელის წარდგენის მერე. თუ ეს საქონელი მას აქვს შეძენილი ანაზღაურების გარეშე, მაშინ ის ვალდებულია ნაყოფი და შემოსავალი გადასცეს უსაფუძვლო გამდიდრების წესით (პარ. 987-988, 990 გსკ). გარდა ვალდებულებისა, დაუბრუნოს ნაყოფი და შემოსავალი, მფლობელი ვალდებულია აუნაზღაუროს მესაკუთრეს დაკარგული სარგებელი (პარ. 987 გსკ). თანახმად კვებულის სამოქალაქო კოდექსისა, ნაყოფსა და შემოსავალს უბრუნებს მხოლოდ კეთილსინდისიერი მფლობელი იმ დროიდან, როცა მისი მფლობელობა გახდა არაკეთილსინდისიერი. მფლობელს, ვისგანაც ვინდიცირებულია (გამოთხოვილია) ნივთი, აქვს უფლება აუნაზღაუროს აუცილებელი ხარჯები მის შენახვაზე. როგორც კეთილსინდისიერ, ისე არაკეთილსინდისიერ მფლობელს აქვს უფლება შესაბამისი ანაზღაურების: საფრანგეთში – მთელი მფლობელობის დროს (1381 ფსკ), გერმანიაში – სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე (პარ. 994 გსკ), შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსით, მხოლოდ კეთილსინდისიერ მფლობელს აქვს უფლება ხარჯების ანაზღაურებაზე და როგორც გერმანულ სამართალში – აქვს უფლება იქონიოს ნივთი იმ დრომდე, ვიდრე მეორე მხარე არ აანაზღაურებს ხარჯებს (939-940 შსკ, პარ. 1000 გსკ). მფლობელს ასევე, აქვს უფლება მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია საქონლის გაუმჯობესებაზე იმ დრომდე, როცა მისთვის ცნობილი გახდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მფლობელობის შესახებ. საფრანგეთში, შვეიცარიაში, გერმანიაში ასეთ ხარჯებს უწოდებენ სასარგებლო ხარჯებს (1381 ფსკ, 939 შსკ). თანახმად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსისა, ისინი განისაზღვრებიან, როგორც მფლობელის ხარჯები, რის გამოც გაიზარდა საქონლის ღირებულება (პარ. 996 გსკ).¹⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინდიკაციური სარჩელის პირობებში მესაკუთრისა და ნივთის მფლობელს შორის ურთიერთობები მოიცავს შემდეგი სახის ურთიერთმავალდებულებელ მოთხოვნებს: 'როცა მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს მფლობელს ნივთის გადაცემა; როცა მესაკუთრეს აქვს უფლება მოსთხოვოს ზარალის ანაზღაურება ნივთის გაუარესების ან განადგურებასთან დაკავშირებით; მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს შემოსავლების დაბრუნება, მიღებული მფლობელის მიერ ნივთის გამოყენების შედეგად; როცა მესაკუთრე პირიქით, ვალდებულია აუნაზღაუროს მფლობელს ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ნივთის შენახვასთან (ე. წ. „საჭირო ხარჯები“).¹⁷

ნათელია, რომ ვინდიკაციური სარჩელის არსი საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან მომდინარეობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის, აგრეთვე სსკ 158-ე მუხლის შესაბამისად, მესაკუთრეს უფლება აქვს არ ფლობდეს ან არ სარგებლობდეს კუთვნილი ნივთით. ამდენად, მესაკუთრეს აქვს საკუთარი ნივთის თავისუფალი ფლობისა და სარგებლობის უფლება, თუ არ არსებობს სარგებლობის აუცილებელი სოციალური ინტერესი. ეს კი, გულისხმობს

მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით, მათ შორის, გამოითხოვოს კუთვნილი ნივთი სხვა პირის უკანონო მფლობელობიდან. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის პრეროგატივაა და მას შეუძლია ნივთის მფლობელს მოსთხოვოს ნივთის დაბრუნება სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვინდუკაციური სარჩელის აღძვრის საფუძველი ვლინდება უკანონო მფლობელობაში არსებული ქონების გამოთხოვაში – უკანონო, ანუ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ არსებული ქონების მოპასუხის მფლობელობიდან გამოთხოვაში. მაშასადამე, განსახილველი სარჩელი მიზნად ისახავს არაუფლებამოსილ პირთაგან ნივთის გამოთხოვას და მის გადაცემას უფლებამოსილი პირისათვის. აღნიშნულ ურთიერთობას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, „მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება“. მფლობელის მიმართ მესაკუთრეს წარდგენილი უნდა ჰქონდეს დასაბუთებული პრეტენზია, ამისათვის ვინდუკაციური სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს სსკ 172-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენელ სამ ელემენტს:

1. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე;
2. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი;
3. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება (ნორმის აღწერილობითი ნაწილის ე.წ. ნეგატიური, უარყოფითი შემადგენელი ელემენტი).

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე ამ სამივე წინაპირობის (ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტების) არსებობას დაადგენს, შეუძლია განაწესოს სამართლებრივი შედეგი: მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დაკისრება.¹⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვინდუკაციური სარჩელის დაკმაყოფილების პირველი პირობაა, რომ მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ნორმით დადგენილი მოთხოვნის უფლება ეკუთვნის, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთის მესაკუთრეს. ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა ასევე, შეუძლია ერთ-ერთ თანამესაკუთრესაც, თუ ადგილი აქვს საერთო საკუთრებაში არსებულ ნივთზე უკანონო მფლობელობის განხორციელებას. ამ შემთხვევაში, თანამესაკუთრემ ნივთი უნდა გამოითხოვოს მხოლოდ მთლიანად, ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ და არა მხოლოდ თავისი წილის ფარგლებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-3 წინადადება). ვინდუკაციაზე უფლების სუბიექტია მესაკუთრე (მოსარჩელე), ხოლო ვალდებულების სუბიექტია არამართლზომიერი მფლობელი (მოპასუხე), რომელიც ფაქტობრივად ფლობს სადავო ნივთს მოთხოვნის წარდგენის მომენტისათვის. „ვინდუკაციის ვითარებაში მესაკუთრეს შერჩენილი აქვს მხოლოდ ნივთზე საკუთრების უფლება, რომელიც თავისთავად არამატერიალური უფლებაა და ვის ხელშიც არ უნდა იყოს საკუთრების ობიექტი, მესაკუთრეს ეს უფლება არ წაერთმევა. ვინდუკირების წესი მთლიანად დამოკიდებულია, თუ რა გზითაა გამოსული მესაკუთრის ხელიდან საკუთრების ობიექტი“,¹⁹ იყო თუ არა ნივთის მფლობელი ამ ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი. კანონმდებლობა მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა კონფლიქტის საკითხს განსხვავებულად აწესრიგებს მოძრავი და უძრავი ქონების ბრუნვის შემთხვევაში. თუ პირველ შემთხვევაში, წინა პლანზე დგას ქონების მესაკუთრის ინტერესები,

მეორე შემთხვევაში, პრიორიტეტი ეძლევა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს. უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობისათვის „აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“ (სსკ 183-ე მუხლი). „უძრავი ქონების შეძენის ეს წესი განაპირობებს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის მოწესრიგებას. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლში აღნიშნულია: „შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვიებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვიებელი არ იყო მესაკუთრე“. კეთილსინდისიერი შემძენის ასეთი უფლებრივი მდგომარეობა გამონვეულია საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით სამოქალაქო ბრუნვის მექანიზმში. „უძრავი ნივთის გამსხვიებლის მესაკუთრედ მიჩნევისათვის შემძენისათვის საკმარის საფუძველია, რომ გამსხვიებელი მესაკუთრედ რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში. თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისი დადგენილია ამავე ნორმით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემძენმა იცის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული გამსხვიებელი არ არის მესაკუთრე. ამდენად, აღნიშნული ნორმით დაწესებული შემძენის კეთილსინდისიერების დადგენისათვის, საკმარისი არ არის მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, არსებითი საკითხია მესაკუთრის ვინაობისადმი შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება (იცოდა თუ არ იცოდა). შესაბამისად, შემძენის ინტერესების დაცვის მარეგულირებელი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს როგორც საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა არ იცოდა ქონების სხვა მესაკუთრის თაობაზე.“²⁰ სხვა შემთხვევაში რეესტრის მონაცემებს კანონმდებელი აპრიორულად უტყუარობისა და სისრულის ნიშნით ნათლავს. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით: „1. რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. 2. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა“. ამგვარად, როცა საქმე ეხება უძრავი ქონების შეძენას, აქ საჯარო რეესტრის (უფლების რეგისტრაციის ფაქტის) სანდოობის პრეზუმფცია გვაქვს სახეზე, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის გარანტს და ემსახურება ბრუნვის მონაწილის ინტერესების უზრუნველყოფას და დაცვას. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე, ობიექტურად არსებული ფაქტი – საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია, იცავს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს საჯარო რეესტრში რეგისტრაციაუნარიან უფლებების განკარგვის დროს და მისი სისწორის პრეზუმფცია ეხება როგორც ადრინდელი მესაკუთრის, ასევე, ახალი შემძენის უფლებებს. ...მაგ.: ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ს მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა იმ საფუძველით, რომ სადავო ქონება წარმოადგენდა მის საკუთრებას, რაც დასტურდებოდა გ-სთან დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, ხოლო „ბ“ აღნიშნულ ქონებას ფლობდა უკანონოდ. ბ-მ სარჩელი არ ცნო, ვინაიდან იგი სადავო ქონებას ფლობდა დ-სთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ქონების მესაკუთრე იყო „ა“, ვინაიდან მისი საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე დასტურდებოდა საჯარო რეესტრის მონაცემებით, ხოლო „ბ“ კი, ფლობდა ქონებას, მაგრამ არ გააჩნდა მისი ფლობის უფლება, ვინაიდან მან ქირავ-

ნობის ხელშეკრულება დადო დ-სთან, რომელიც არ წარმოადგენდა აღნიშნული ქონების მესაკუთრეს. სასამართლომ სრულიად სამართლიანად ბ-ს დააკისრა სადავო ფართობის გამონთავისუფლების მოვალეობა. დასახელებული ნორმებიდან ნათლად ჩანს, რომ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენა ამ ქონებაზე საკუთრების შექმნის თავისებურებითაა განპირობებული. უძრავი ქონების შექმნისას დაპირისპირებულ მხარეებს შორის დგას, უხეშად რომ ვთქვათ, „არბიტრი“, რომელიც პასუხისმგებლობის ძირითად ტვირთს თავის თავზე იღებს. ეს „არბიტრი“ საჯარო რეესტრია, რომლის წყალობითაა, რომ კეთილსინდისიერება იმარჯვებს საკუთრებაზე.²¹ თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ის გარემოება, რომ მყიდველი შეიძლება აღმოჩნდეს კეთილსინდისიერი შემძენის როლში, რომლის მიმართაც კანონმდებელი არ უშვებს ვინდიკაციას, არ უნდა უშლიდეს მესაკუთრეს ხელს, წარადგინოს სარჩელი ბათილი (არარა) გარიგების შედეგებიდან გამომდინარე,²² არარა გარიგებები სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და შესაბამისად, რეალურად არ მოხდება ამგვარი ნასყიდობის დროს საკუთრების უფლების გადაცემა მყიდველზე, ანუ ასეთ შემთხვევებში, მყიდველის კეთილსინდისიერება დამაბრკოლებელი გარემოება არ უნდა იყოს ტიტულოვანი მესაკუთრისათვის. კანონმდებლის ასეთი მიდგომა ო. სკვორცოვის აზრით, განიხილება, როგორც ხარვეზი ვინდიკაციის მარეგულირებელ ნორმებში, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ „ხარვეზებს ვინდიკაციის წესის კონსტრუირებაში თანამედროვე ცივილურ მოდელში იურიდიულად მიყვავართ საკუთრების უფლების უსაფუძვლო შექმნის ლეგიტიმაციისაკენ, ისეთ ხარვეზიან ფაქტებზე დაყრდნობით, როგორცაა ბათილი გარიგებები.“²³

ჩვენს მიერ მოტანილ ნორმებში ერთმანეთის პირისპირ დგანან მესაკუთრე და კეთილსინდისიერი შემძენი. როგორც უკვე ითქვა, მათი მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია მოძრავი და უძრავი ნივთების შექმნისას. სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლიდან გამომდინარე, მოძრავ ქონებაზე საკუთრების შექმნა ხდება მისი გადაცემით. აქ ისეთი სინამდვილე ყალიბდება, როდესაც ერთმანეთის პირისპირ დგანან ნივთის მესაკუთრე და მისი შემძენი. მათ შორის არ დგას არავითარი სხვა ისეთი პირი, რომელიც უხეშად რომ ვთქვათ, თავისთავზე აიღებდა რაიმე პასუხისმგებლობას. ნივთის შემძენის ბედ-იღბალი მთლიანადაა დამოკიდებული გამსხვისებლის სამართლებრივ მდგომარეობაზე და საკუთარ წინდახედულობაზე. არ აღმოჩნდება გამსხვისებელი მესაკუთრე – შემძენის კეთილსინდისიერება ვერ გახდება ყოველთვის მისი უფლების დაცვის იარაღი. უმეტესწილად, აქ საკუთრება იმარჯვებს კეთილსინდისიერებაზე და ამის გამო ერთაბრძოლა მესაკუთრის სასარგებლოდ მთავრდება. ასევე, სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომ ყოველი მხარე იმ ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის ზიდვაც მას შეუძლია. როცა მტკიცდება, რომ იგი უძღურია ზიდოს ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება.²⁴ სანივთო სამართალში მოქმედებს პრინციპი – „*nemo plus iuris ad alium transferre potest quam ipse habet*“, რაც ნიშნავს, რომ არავის შეუძლია იმაზე უკეთესი უფლება გადასცეს სხვას ნივთზე, რაც თვითონ მას აქვს. ამის შედეგია, რომ თუ „ა“ უსასყიდლოდ გადასცემს „ბ“-ს ნივთს, რომლის მესაკუთრე არის არა თვითონ, არამედ „გ“, „დ“ ვერ გახდება ამ ნივთის მესაკუთრე. თუ დ დაუფლებულია აღნიშნულ ნივთს, „გ“-ს შეუძლია, აღძრას სარჩელი „დ“-ს მიმართ და გამოითხოვოს იგი. ერთადერთი უფლება, რაც „დ“-ს კანონით აქვს, არის უფლება, აღძრას სარჩელი „ა“-ს მიმართ მიყენებული ზიანის გამო (მეორადი მოთხოვნის უფლება). სანივთო სამართლის ხისტი წესების მიხედვით, მნიშვნელობა არა აქვს დ-მ იცოდა თუ არა, რომ გ იყო მისთვის გადაცემული ნივთის მესაკუთრე და არა „ა“. საგულისხმოა, რომ მოძრავი ნივთის მფლო-

ბელის შემთხვევაში, შესაძენი უფლების ნამდვილობის და აქედან გამომდინარე, სანდოობის ვარაუდი გვაქვს სახეზე. ეს კარგად ჩანს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლით; დადგენილია: „1. ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. 2. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. საკუთრების პრეზუმფცია არ გამოიყენება არც ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოპარეს ან სხვაგვარად გავიდა იგი მისი მფლობელობიდან. საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებს ძველი მფლობელის სასარგებლოდ მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში.“²⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესებიდან გამომდინარე, ასევე საყურადღებოა, ნამდვილი მესაკუთრის მფლობელობიდან მოძრავი ნივთის გამოსვლის ნებითი მომენტის განსაზღვრა, ანუ თუ კეთილსინდისიერი შემძენის მიერ შეძენილი მოძრავი ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან გამოვიდა მისი ნების გარეშე, ე. ი. მოპარეს, დაკარგა და ა. შ. მაშინ კეთილსინდისიერების მიუხედავად, მესამე პირი ვერ გახდება მისი მესაკუთრე და იგი ვალდებულია, ნივთი დაუბრუნოს ნამდვილ მესაკუთრეს²⁶. თუმცა, ასეთ შემთხვევაში დგება რესტიტუციის საკითხი. სკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შემძენი ხდება მოძრავი ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო უფლებამოსილი პირი (ნივთის მესაკუთრე), მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. პირი კეთილსინდისიერია მაშინ, როცა მან არ იცოდა და არც მოვალე იყო, სცოდნოდა ის გარემოება, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე (სკ-ის 187-ე მუხლის 1 ნაწილის მე-2 წინადადება), მაგრამ ყოველთვის, როცა საეჭვო ხდება გამსხვისებლის უფლებამოსილების საკითხი, საკუთრების შეძენა არ მიიჩნევა კეთილსინდისიერად. ასეთ შემთხვევაში დაგვეხმარება სკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია, რომლის მიხედვით, ივარაუდება, რომ წინა მფლობელი მისი ფლობის პერიოდში იყო მესაკუთრე. ურთიერთსაწინააღმდეგო პრეზუმფციათა კონფლიქტის შემთხვევაში, საყურადღებოა, სკ-ის 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება: საკუთრების პრეზუმფცია ახლანდელი მფლობელის სასარგებლოდ არ გამოიყენება ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა ან მოპარეს. ეს დებულება ზემოთ აღნიშნულ სკ-187-ე მუხლის მე-2 ნაწილს ეხმაურება. ამით ნავარაუდევია უფლებამოსილი პირის საკუთრება მისი მფლობელობის პერიოდში, რადგან თუ დადგენილია ქურდობის ფაქტი, გამოირიცხება შემდგომ პერიოდში საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა და არც ერთ ამჟამინდელ მფლობელს არ შეუძლია დაეყრდნოს სკ-158-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებულ პრეზუმფციას.²⁷ „უმეტესობა სამართლის სისტემებში ზემოთ აღნიშნული შეუთავსებლობის გადაჭრა ხდება ამგვარად: ხელშესახები საგნების შემთხვევაში მხარე, რომელიც კეთილსინდისიერად შეიძენს ნივთს – გახდება ნივთის კანონიერი მესაკუთრე, ხოლო თავდაპირველი მესაკუთრე კარგავს საკუთრების უფლებას და რჩება არაკეთილსინდისიერი გამყიდველის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ამარა. მაგალითად, ბ-მ იქირავა ველოსიპედი თავისი ახლო მეგობარი ა-სგან, რათა გაისეირნოს, მაგრამ დღის ბოლოს მან ეს ველოსიპედი მიჰყიდა „ც“-ს, რომ იშოვოს ცოტა ფული და იყიდოს ლუდი, რადგან მას ძალიან მოსწყურდა მთელი დღე ველოსიპედზე სეირნობის შემდეგ. თუ „ც“ კეთილსინდისიერად მოქმედებს, მაშინ ის გახდება ველოსიპედის მესაკუთრე და იგი ვალდებული არ იქნება დაუბრუნოს ველოსიპედი „ა“-ს. „ა“-ს კი, რჩება ერთადერთი შესაძლებლობა, რომ ზიანი აინაზღაუროს „ბ“-სგან, რომელმაც დაარღვია თავისი ვალდებულება „ა“-ს მიმართ – დღის ბოლოს დაებრუ-

ნებინა მისთვის ველოსიპედი, ამასთან, მთლიანად დახარჯა ფული, რაც ველოსიპედის გაყიდვით მოიპოვა, რითაც „ა“ უგერგილო მოთხოვნის უფლების ამარა დატოვა.“²⁸

ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების მეორე აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი. აღნიშნული თავისთავად გამომდინარეობს მოთხოვნის არსიდან, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა ეხება ნივთის მფლობელობიდან გამოთხოვას, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ მფლობელობა არ უნდა იყოს კანონიერი, ვინაიდან სსკ 172-ე მუხლის პირველი ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესაძლებლობას, თუ მფლობელობა არაკანონიერია, მფლობელი არაკეთილსინდისიერია, შესაბამისად, კეთილსინდისიერ მფლობელს არ შეიძლება ჩამოერთვას ნივთი. მფლობელობა წყდება მხოლოდ მაშინ, „თუ მესაკუთრე მფლობელს ნაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას“ (სკ-168-ე მუხლი).

„კეთილსინდისიერი მფლობელის ცნება მოცემულია სკ-ის 159-ე მუხლში: კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს, ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში, საჭირო გულმოდგინე შემონმების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამოსილი მფლობელი არ წარმოადგენს კეთილსინდისიერი მფლობელის ქვესახეობას, არამედ სრულიად სხვას, მის საპირისპიროს: ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ მფლობელი, რომელსაც ფაქტობრივად აქვს მფლობელობის უფლება (შეად. სკ 172-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება) და მფლობელი, რომელსაც არა აქვს მფლობელობის უფლება, მაგრამ საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე არაბრალეული (ბრალის ხარისხი გამომდინარეობს სკ-ის 395-ე და 326-ე მუხლებიდან) შემონმების საფუძველზე, შეიძლება უფლებამოსილ პირად იქნეს მიჩნეული. მხოლოდ ამ უკანასკნელს შეესაბამება კეთილსინდისიერების ცნება. სასურველია, რომ 159-ე მუხლის ცნების ამგვარი განმარტების გზით, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს უფლებამოსილი და კეთილსინდისიერი მფლობელები“.²⁹

უძრავ ნივთებთან მიმართებით საკითხი მარტივად წყდება, ვინაიდან საკუთრების უფლება საჯარო რეესტრიდან დასტურდება, ხოლო რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებები, როგორცაა მენარმის გულისხმიერება, საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი და ა.შ. მაგალითად, „ა“-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში „ბ“-ს მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა შემდეგი საფუძველებიდან გამომდინარე: „ა“-მ ზეპირი გარიგების შედეგად ავტომანქანა გადასცა „გ“-ს, იმ პირობით, რომ „გ“ ავტომანქანას გადაიფორმებდა მხოლოდ ღირებულების გადახდის შემდეგ. „გ“-მ ისარგებლა ავტომანქანის სარეგისტრაციო მონმობით და ნოტარიუსთან შეთანხმების გზით, ავტომანქანა დააგირავა „ბ“-სთან 8000 აშშ დოლარის სესხის უზრუნველსაყოფად და მიიმალა. სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ამრიგად, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისთვის აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა – ნამდვილი უფლება (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლება მყიდველისა მოითხოვოს ნივთის გადაცემა) და ნივთის ფაქტობრივი გადაცემა (ამ შემთხვევაში ავტომანქანის გადაცემა მყიდველზე). სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის, პირველი წინადადების თანახმად, თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის

გადახდის შემდეგ, შემძენზე გადაცემული ნივთი საფასურის სრულად გადახდამდე, გამსხვი-
 სებლის საკუთრებაა. მიუხედავად, „ა“-სა და „ბ“-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრუ-
 ლებისა, „ა“ დარჩა ავტომანქანის მესაკუთრედ და საკუთრების უფლება ავტომანქანაზე „ბ“-
 სთვის არ გადაუცია. ამიტომ როგორც მესაკუთრეს, მას შეუძლია სამოქალაქო კოდექსის 172-ე
 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოითხოვოს სხვისი უკანონო მფლობელობიდან ავტო-
 მანქანის გამოთხოვა.³⁰

აღსანიშნავია ისიც, რომ „სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს ყოველთვის არ შეუძლიათ,
 ნამდვილი უფლებების შესახებ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ მაშინ, როდესაც
 ბრუნვამ უკვე უპიროვნო ფორმები შეიძინა. შესაბამისად, ისინი მუდმივი საშიშროების წინაშე
 დგანან, თუ დაუჯერებენ ფაქტობრივ ვითარებას, მაგალითად, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი
 ნამდვილად მისი მესაკუთრეა (სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილი), სინამდვილეში კი, ნივთზე
 მფლობელობა შეიძლება ტიტულოვანმა მესაკუთრემ დაკარგა მისი ნების საწინააღმდეგოდ.
 პრობლემას შესაძლებელია სამი უკიდურესი გადაწყვეტა ჰქონდეს: 1. შესაძლო შეცდომის ყველა
 რისკის გადატანა მოხდეს მესაკუთრეზე; 2. ყველა რისკი გადატანილ იქნეს მყიდველზე; 3. ყველა
 შესაძლო რისკის თავიდან ასაცილებლად, შემოღებულ იქნეს ყოველი უფლების რეგისტრაციისა
 და აღრიცხვის რეესტრები. გასაგებია, რომ ნებისმიერი მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება
 სამოქალაქო ბრუნვის პარალიზებას გამოიწვევდა. მესაკუთრის ნების არარსებობის შემთხვე-
 ვაში, საკუთრების მკაცრად განუსხვისებლობის პრინციპის დაცვა დასაშვებია, მხოლოდ სუს-
 ტად განვითარებული სასაქონლო ბრუნვის პირობებში. ბრუნვის სწრაფ განვითარებას, რაც
 თავისთავად გულისხმობს უპიროვნო დინამიკის ზრდას, მივყავართ საგამონაკლისო წესების
 რიგორიზმთან შეჯახებამდე. გამოსავალი ამ დაპირისპირების შერბილებაშია და სწორედ ამიტომ,
 კანონმდებელი მიმართავს ე.წ. ორ ბოროტებას შორის „ნაკლები ბოროტების“ არჩევანის გზას,
 რაც კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის შემოღებას უკავშირდება (სკ-ის 185-ე და 187-ე
 მუხლები).³¹

ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის უფლება წარედგინება მფლობელს, რომე-
 ლიც არ არის უფლებამოსილი ნივთის ფლობაზე. თუ მფლობელი ნივთს ფლობს განსაზღვრული
 სამართლებრივი საფუძვლით, მაშინ აღნიშნული მოთხოვნის წარდგენა დაუშვებელია. სამარ-
 თლებრივ საფუძველს წარმოადგენს, მაგალითად, ხელშეკრულება, რომლის პირობის თანახმად,
 შეიძლება ან უნდა განხორციელდეს ნივთზე მფლობელობა, ასევე სანივთო უფლებები, რომლე-
 ბიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე, დაკავშირებულია განსაზღვრული ნივთის მფლობე-
 ლობასთან, კერძოდ, უზუფრუქტი, სერვიტუტი, გირავნობა. ასეთ მფლობელს საქართველოს
 სამოქალაქო კოდექსი მართლზომიერ მფლობელად მიიჩნევს და მას იცავს აგრეთვე, 162-ე
 მუხლითაც, რომლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად: „დაუშვებელია მართლზომიერ
 მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.“³² მაგალითად: თუ გამქირავებელმა ნივთი
 დროებით სარგებლობაში გადასცა დამქირავებელს (სკ მუხლი 531), მას არა აქვს უფლება შემ-
 დგომში ვინდიკაციური სარჩელით დაიბრუნოს ეს ნივთი, არამედ მან უნდა იხელმძღვანელოს
 მხოლოდ ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონების გადაცემისა და დაბრუნების
 პირობებით. ამ წესის პრაქტიკული აზრი აშკარაა: თუ მესაკუთრეს ნებისმიერ შემთხვევაში (რო-
 გორც სახელშეკრულებო, ისე სხვა შემთხვევებშიც) ექნება ვინდიკაციური სარჩელის წარდგენის
 უფლება, ანუ თუ დავუშვებთ ერთდროულად სანივთო და ვალდებულებითი სარჩელის წარდ-
 გენის შესაძლებლობას, მაშინ მესაკუთრე აშკარად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნ-

დება, ხოლო სამოქალაქო ბრუნვა არ განვითარდება და იგი მხოლოდ მარტივი ყიდვა-გაყიდვებით იქნება შემოფარგლული. „გარდა აღნიშნულისა, კანონით დადგენილია შემთხვევები, როდესაც არა მარტო მართლზომიერ, არამედ არამართლზომიერ მფლობელსაც შეუძლია უარი განაცხადოს ნივთის უკან დაბრუნებაზე იმ პირობით, რომ იგი ნივთს ფლობს კეთილსინდისიერად. კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის თანახმად, კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გაიღო ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს და რაც არ არის კომპენსირებული ამ ნივთით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით. მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ღირებულება უნდა გამოიქვითოს. იგივე წესი ვრცელდება ისეთ გაუმჯობესებებზე, რომელთა შედეგადაც გაიზარდა ნივთის ღირებულება, თუკი გაზრდილი ღირებულება ნივთის დაბრუნების მომენტისათვის ჯერ კიდევ არსებობდა. სწორედ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე არის კეთილსინდისიერი მფლობელი უფლებამოსილი უარი განაცხადოს ნივთის უკან დაბრუნებაზე.“³³

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი. აქვე აღინიშნა ისიც, რომ მფლობელობა არ უნდა იყოს კანონიერი, შესაბამისად, კეთილსინდისიერ მფლობელს არ შეიძლება ჩამოერთვას ნივთი. მფლობელობა წყდება მხოლოდ მაშინ, „თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას“ (სკ-168-ე მუხლი). თუმცა, როდესაც ვამბობთ, რომ პრიორიტეტულია მესაკუთრის უფლებები და ვაცხადებთ, რომ მესაკუთრის უფლება ყველა შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს – გარკვეული სიფრთხილე გვმართებს, რათა უკიდურესობაში არ გადავვარდეთ და მფლობელობის არანაკლებ, მნიშვნელოვანი უფლება არ უგულვებლავყოთ. მფლობელობის უფლებას მთელი რიგი ნორმები და ინსტიტუტები ეძღვნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საკმაოდ დიდი თეორიული საფუძვლებია იმისათვის, რომ განვაცხადოთ: „მფლობელობის ინსტიტუტი ფართო გაგებით მოიცავს საკუთრებასაც.“ მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ურთიერთობებში, განსაკუთრებით, სამოქალაქო ბრუნვის დროს გარკვეული ბრუნვის ობიექტების მესაკუთრე ყველა ვერ იქნება, მაგრამ ის, რომ ბრუნვაში ჩვენ ამა თუ იმ ნივთებს ვიყენებთ და ამა თუ იმ მოქმედებებს ვახორციელებთ, არ უნდა დაგვაინყდეს სწორედ, რომ მფლობელობა ანიჭებს ბრუნვის მონაწილეებს იმის უფლებამოსილებას, რომ ესა თუ ის ნივთები მფლობელობის ინსტიტუტის საფუძველზე იყოს ბრუნვაში მოქცეული. ამიტომ აქ ერთგვარი სირთულეც იქმნება, მაგალითად: შესაძლებელია თუ არა ნებისმიერ დროს, თუ მესაკუთრეს დასაბუთებული პრეტენზია აქვს, მოვთხოვოთ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება? რაში უნდა გამოიხატებოდეს დასაბუთებული პრეტენზია? თუმცა ისიც ნათელი და ცალსახაა, რომ მფლობელობაც არ უნდა იყოს მუდმივი და უწყვეტი ხასიათის. გულწრფელად უნდა გვანუხებდეს მესაკუთრის ინტერესები, მესაკუთრის ბედი, მაგრამ არანაკლებ, მფლობელთა ინტერესები. ეს საკითხი დღემდე სადავოა და არც სასამართლო პრაქტიკაში არ არის სრულყოფილად დარეგულირებული.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/1-370, 382, 390, 402, 404, 18 მაისი, 2007 წ. (საქმის დასახ.: საქართველოს მოქალაქეები: ზ. ელაშვილი, ს. მაშია, რ. გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).
- ² ნატალი ფრისერო, უფლება ქონების პატივისცემაზე, გამოქვეყნებულია წიგნში „საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბილისი, 2005 წ., გვ. 33.
- ³ ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007 წ., გვ. 45.
- ⁴ იხ.: საქართველოს პარლამენტის 27.12.2001 წლის №1243 დადგენილება – „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“. პირველი ოქმის მიმართ საქართველომ გააკეთა რიგი დათქმები. იხ.: ევროპის საბჭოს სახელმწიკრულეო სამსახურის ვებ-გვერდი: <http://conventions.coe.int>.
- ⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეორე სექცია, პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (განაცხადი №36548/97), საბოლოო ვერსია 05/02/2003 განჩინება, სტრასბურგი, 2002 წლის 5 ნოემბერი, გვ. 17.
- ⁶ გაიუსი მოღვაწეობდა დაახლოებით ქრ. შობის 117/138-180/192 წ.წ. მის კალამს ეკუთვნის: კერძო სამართლის კლასიკური სახელმძღვანელო "Institutiones".
- ⁷ უძველეს რომაულ სამართალში საკუთრების აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი არ არსებობდა. ვინმეს ხელისუფლებაში არსებული რაიმე ნივთის აღსანიშნავად, ყველა შემთხვევაში, ბატონობის აღმნიშვნელი ძალზე ძველი ტერმინი დომინიუმ (ზმნა მოთვინიერებიდან) გამოიყენებოდა. ცივილური, კვირიტული საკუთრების უძველეს სახეს დომინიუმ ეს იურე ცივილტიუმ ეწოდებოდა.
- ⁸ Wolf Manfred, Sachenrecht, 13. Auflage, München, 1996, გვ. 77.
- ⁹ იხ.: О. С. Иоффе, В. А. Мусин, Основы римского гражданского права, Л., 1974, стр. 79.
- ¹⁰ გიორგი ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2007, გვ. 82-83.
- ¹¹ Е.А. Васильев, А.С. Комаров, Гражданское и торговое право зарубежных государств, т. I., Москва, 2004, стр. 372; გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით ტერმინს „ფულადი ვინდიკაცია“, აღნიშნულთან მიმართებით ფართოდ განიხილებოდა საკითხი – აუცილებელი იყო თუ არა ინდივიდუალიზების მოთხოვნა ფულადი ვინდიკაციის შემთხვევაში. ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გაეცა, უპირველეს ყოვლისა, ჰ. ვესტერმანის და პინგერის მიერ, რადგან ფულის გადახდის შემთხვევაში, კრედიტორის ინტერესი ღირებულებას ეხება, ხოლო (BGB პარ. 985) სანივთო სარჩელი, როგორც წესი, განიხილებოდა ვალდებულებითი სამართლის მიხედვით, ამიტომ გერმანული იურისტების აზრით, ფულადი ვინდიკაცია წარმოადგენს არა სანივთო ვინდიკაციას, არამედ ღირებულების ვინდიკაციას, რადგან იგი ეხება არა კონკრეტულ კუბიურებს, არამედ ღირებულებას. Hh. ვესტერმანის ეს მსჯელობა ფულად ვინდიკაციასთან დაკავშირებით არ იქნა აღიარებული, რადგან ამ ინტერესის დაკმაყოფილება ხდება წმინდა ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნებით და არა სანივთოსამართლებრივი მოთხოვნის გზით... გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ვინდიკაცია ორიენტირებულია ძირითადად, ქონების გადაცემაზე, გარკვეულ შემთხვევებში, იგი მოიცავს ნივთზე წვდომის განხორციელების შესაძლებლობას... იხ.: С. Н. Beck. Българisches Gesetzbuch Sachenrecht 4. Auflage, გვ. 1061-1062.

- ¹² იხ.: Zacharid von Lingenthal, Karl Salomo: Handbuch des französischen Civilrechts, 8., verm. und verb. Aufl. / bearb. von Carl Crome, Freiburg i. B. Band 2 - 1894, გვ. 610.
- ¹³ Е.А. Васильев, А.С. Комаров, Гражданское и торговое право зарубежных государств, т. I., Москва, 2004, стр. 373.
- ¹⁴ Е.А. Васильев, А.С. Комаров, დასახ. ნაშრომი, გვ. 374-375.
- ¹⁵ С. Ю. Пятин, Гражданское и торговое право зарубежных стран, Москва, 2009, стр. 102-103.
- ¹⁶ იხ.: Е.А. Васильев, А.С. Комаров, დასახ. ნაშრომი, გვ. 375-377.
- ¹⁷ Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, Книга 2, Издатель серии – пр. В. Бергманн, Москва, Издательство БЕК, 2001, გვ. 187.
- ¹⁸ www.Supremecourt.ge, იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.
- ¹⁹ ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 97.
- ²⁰ www.Supremecourt.ge, იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ას-980-1243-05, ქ. თბილისი, 9 მარტი, 2006 წ. გადაწყვეტილება (კასატორი – ლ. სუთიძე, მონინალმდეგე მხარე – ა. გოგუელიძე).
- ²¹ www.Supremecourt.ge, იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.
- ²² М. Брагински, Витрянски, Договорного права, Москва, 1997, стр. 654.
- ²³ О. Ю. Скворцов, Вещные иски в судебно-арбитражной практике, Москва, 1998, стр. 59.
- ²⁴ www.Supremecourt.ge, იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.
- ²⁵ www.Supremecourt.ge, იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.
- ²⁶ მესამე პირისადმი აღნიშნულ მიდგომას ავითარებს კონტინენტური ევროპის სამართალიც, მათ შორის, ჰოლანდიურიც, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჰოლანდიელმა კანონმდებელმა 3.68 მუხლის მესამე ნაწილში გაითვალისწინა გამონაკლისის გამონაკლისი და ჩანერა, რომ მესამე პირი, რომელიც, როგორც მომხმარებელი, კეთილსინდისიერად შეიძენს ხელშესახებ ნივთს პირისგან, რომელიც მისი ჩვეულებრივი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში ყიდის ამ ნივთს (მაგალითად, თუ მომხმარებელი შეიძენს ველოსიპედს ჩვეულებრივ ველოსიპედების მაღაზიაში), ასეთი მყიდველი დაცულია და იგი ხდება საქონლის მესაკუთრე (იხ.: ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი; აგრეთვე, მ. თოდუა, ჰ. ვილემსი დასახ. ნაშრომი, გვ. 80.).
- ²⁷ ჰაინ ბოელინგი, პეტერ ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009წ.წ. გვ. 63-66.
- ²⁸ მზია თოდუა, ჰუუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, ნაწილი II, თბილისი, 2006, გვ. 79-80.
- ²⁹ ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2004, გვ. 126.
- ³⁰ www.Supremecourt.ge, იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.
- ³¹ მზია თოდუა, ჰუუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 10-11.
- ³² ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 331.
- ³³ იხ.: ზ. ჭეჭელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 331.

VINDICTIVE APPEAL AS LEGAL MEANS OF PROTECTING THE PROPERTY RIGHT

LAURA MIKAVA

Judge, Zugdidi District Court,

Doctoral Candidate of the Law department, Tbilisi Iv. Javakbshvili State University

The article refers to the legal means of protecting the property right – vindictive appeal, its role and importance on all stages of law development from the point of view of protecting the fundamental right of a person.

This topic is reviewed based on the analysis of the relevant norms from the Civil Code of Georgia and the developed states back from the time of Rome law up to present. Special attention is paid to the contradiction between the legal interests of the proprietor and the property owner from the point of protection of the property rights; In addition, analysis of the court practice is presented; challenges related to the movable and immovable property cases are outlined and the opinions related to their solutions and solution means are proposed.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

დავით მასხიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

აღიარებულია, რომ ორგანიზებული დანაშაული გვევლინება კრიმინალის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და საშიშ სახეობად, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებზე. ამასთან, ასევე ხაზგასასმელია, რომ ხსენებული სახის კრიმინალი უფრო და უფრო იღებს ტრანსნაციონალურ ხასიათს. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება საერთაშორისო დონეზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელება, რაც ცხადია, ნაკლებად ეფექტიანი იქნება შესაბამისი აქტების არსებობის გარეშე, რომელთა საფუძველზედაც განსაზღვრული იქნება სხვადასხვა ქვეყნების მიერ, მითითებული სახის კრიმინალის დასამარცხებლად, როგორც ერთიანი სტრატეგიის დასახვის, ასევე, თანამშრომლობის ძირეული პრინციპების შემუშავება.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, რომელიც მიღებულ იქნა 2000 წლის 15 ნოემბერს და მისივე 38-ე მუხლის თანახმად, ძალაში შევიდა 2003 წლის 29 სექტემბერს. აღნიშნული

კონვენცია საქართველოს სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ იქნა 2000 წლის 13 დეკემბერს, ხოლო მისი რატიფიცირება კი, 2006 წლის 7 ივნისს მოხდა.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ მითითებული კონვენცია ორგანიზებული დანაშაულის დეფინიციას არ ადგენს, თუმცა, მასში დეტალურადაა განმარტებული მითითებული სახეობის კრიმინალთან დაკავშირებული ტერმინები და ასევე, მკაფიოდ არის გადმოცემული მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლით ამავე აქტის მიზნებისათვის განმარტებულია ისეთი ტერმინები, როგორცაა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, მძიმე დანაშაული, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, ქონება, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი, ყადაღა, ამოღება, კონფისკაცია, კონტროლირებადი მიწოდება და ა.შ. კონვენციის ტერმინების განმარტებას აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვა, კერძოდ, კონვენცია თავისი შინაარსით, დანიშნულებითა და გამოყენების სფეროებით ერთგვაროვნად უნდა იქნას აღქმული ამავე კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ, რათა თანამშრომლობის პერიოდში, მისი იმპლემენტაციისა თუ პირდაპირი გამოყენების ეტაპზე არ წარმოიშვას კითხვები კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების შემადგენლობასთან დაკავშირებით, რაც, თავისთავად, ეჭვქვეშ დააყენებს აღნიშნული საერთაშორისო აქტის გამოყენების ეფექტიანობას. კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულების ცნებების განმარტებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველო კონვენციის იმ მონაწილე სახელმწიფოების რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო ნორმების შემუშავებისას აღნიშნული კონვენციის ცნებებით იხელმძღვანელეს. მაგალითისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილში მოცემული ორგანიზებული ჯგუფის განმარტება კონვენციით გათვალისწინებული ორგანიზებული ჯგუფის ცნების იდენტურია.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“ გაეროს კონვენციით განსაზღვრულია მისი მოქმედების სფერო. კერძოდ, იგი გამოიყენება, რათა აღიკვეთოს, გამოძიებულ იქნეს და სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს:

- დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა;
- დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრება;
- კორუფცია;
- მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

მითითებულთან ერთად კონვენციის მოქმედების სფეროში ასევე, ექცევა ნებისმიერი მძიმე დანაშაული, თუ იგი ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და ჩადენილია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების მიერ. „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის მიხედვით, მძიმე დანაშაულს წარმოადგენს დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის მაქსიმალური ზღვარი წარმოადგენს არანაკლებ ოთხ წელს.¹ რაც შეეხება კრიმინალური ქმედების ტრანსნაციონალურობას, აღნიშნული განმარტებულია მითითებული კონვენციით, რომლის შესაბამისადაც, დანაშაულებრივი საქმიანობა ტრანსნაციონალურია, თუ იგი:

- ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში;
- ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის არსებითი ნაწილი განხორციელდა სხვა სახელმწიფოში;

- ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში;
- ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება მეორე სახელმწიფოში.²

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, გარდა კონკრეტულად განსაზღვრული დანაშაულებებისა, მითითებული კონვენციის მოქმედების სფეროში ასევე, ხვდება ნებისმიერი კრიმინალური ქმედება, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის მაქსიმუმი წარმოადგენს არანაკლებ ოთხ წელს, ოღონდ ამასთან, იგი განხორციელებული უნდა იყოს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ და ატარებდეს ტრანსნაციონალურ ხასიათს.

იმისათვის, რომ დეტალურად მოხდეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის იურისდიქციის დადგენა, სასურველია, ცალ-ცალკე იქნეს განხილული თითოეული დანაშაულებრივი ქმედება, რომელზედაც ვრცელდება წინამდებარე საერთაშორისო აქტი.

მითითებული კონვენციის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი ნიშნავს ერთი ან რამდენიმე მძიმე დანაშაულის ან ამ კონვენციის მიერ ასეთად მიჩნეული დანაშაულის ჩადენის მიზნით დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულ და შეთანხმებულად მოქმედ სტრუქტურული ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისაგან შემდგარ ჯგუფს, რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს ფინანსური ან სხვაგვარი სარგებელი.³ ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, მძიმეა დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის მაქსიმუმი წარმოადგენს არანაკლებ ოთხ წელს, ხოლო რაც შეეხება სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფს, „ც“ პუნქტის შესაბამისად, მითითებულს წარმოადგენს ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც აუცილებელი არ არის, ფორმალურად იყოს განანილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.⁴

ზემოთ აღნიშნულის განხილვის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ორგანიზებულ ჯგუფთან დაკავშირებული დეფინიციები შექმნილია სწორედ ამ კონვენციის დებულებათა გავლენით. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად. მითითებულ მუხლს კონვენციისაგან განსხვავებს მხოლოდ ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის დაკონკრეტებული ჯგუფში წევრების მინიმალური ოდენობა, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება თუ რა კატეგორიის დანაშაულების ჩასადენად შეკავშირდნენ კრიმინალები, ხოლო შემოსავლის მიღების სახე კი, დაკონკრეტებულია, კერძოდ, სარგებელი შესაძლებელია მიღებულ იქნეს მხოლოდ უკანონო გზით.

როგორც წინამდებარე კონვენციიდან ჩანს, იმისათვის, რომ დანაშაულებრივი გაერთიანება ჩაითვალოს ორგანიზებულ ჯგუფად,

- იგი უნდა არსებობდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში;
- მასში წევრთა ოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები;
- ჯგუფის მოქმედება უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული;
- ჯგუფს უნდა ჰქონდეს სტრუქტურული ფორმა;
- წევრები უნდა გაერთიანდნენ ერთი ან მეტი მძიმე დანაშაულის ჩასადენად;

■ მიზანს უნდა წარმოადგენდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი, ფინანსური ან სხვა სახის სარგებლის მიღება.

ახლა შესაძლებელია სათითაოდ განხილულ იქნეს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები. იმისათვის, რომ „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის კონტექსტში ჯგუფი ჩაითვალოს ორგანიზებულ ჯგუფად ამისათვის უპირველესად, საჭიროა, რომ:

იგი არსებობდეს დროის გარკვეულ პერიოდში, ანუ ჯგუფის შექმნიდან დანაშაულის ჩადენამდე არის დროის განსაზღვრული მონაკვეთი. ცხადია, ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში, კრიმინალური ქმედების ჩადენას, ყოველთვის წინ უსწრებს ადამიანთა შეკავშირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს, როგორც უშუალოდ ქმედების განხორციელებისას წინასწარ შეუთანხმებლად, ისე წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ ორგანიზებული ჯგუფის შემთხვევაში, იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებობს, როგორც დანაშაულებრივი განზრახვით გაერთიანებულ პირთა ერთობა, დროის აღნიშნულ პერიოდში ხდება დანაშაულთა დეტალური დაგეგმვა, ფუნქციონირება გადანაწილება და ა.შ.

წევრთა ოდენობა ჯგუფში არ უნდა იყოს სამზე ნაკლები, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში, თუ კრიმინალურ გაერთიანებაში მხოლოდ ორი წევრია, იმისდა მიუხედავად რა დანაშაულს ჩაიდენენ ისინი, ან ექნება თუ არა მათ განხორციელებულ კრიმინალურ ქმედებებს ტრანსნაციონალური ხასიათი, აღნიშნული მაინც არ იქნება ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება.

ჯგუფის მოქმედება უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული, ანუ ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა არ ხდება სპონტანურად, მისი წევრების თითოეული ნაბიჯი არის წინასწარ შეთანხმებული, კარგად დაგეგმილი და ყოველივე ამის შემდეგ ხდება ქმედების განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება, რაც ძალიან ეფექტურს ხდის მათ დანაშაულებრივ საქმიანობას.

ჯგუფს უნდა ჰქონდეს სტრუქტურული ფორმა. წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, ჯგუფის სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად ჩასათვლელად აუცილებელია, რომ იგი არ იყოს შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად, აუცილებელი არაა ფორმალურად განაწილებული იქნეს როლები წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა. როგორც მითითებული პუნქტიდან ჩანს, იმისათვის, რომ ჯგუფი ჩაითვალოს სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად, მისი შექმნა არ უნდა მოხდეს შემთხვევით დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად, ანუ მითითებული გაერთიანების ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს, როგორც წესი, გამოცდილ კრიმინალთა მყარი ერთობა. რა თქმა უნდა, მიზნები არის დანაშაულებრივი, მაგრამ ამ მიზნების მიღწევა ხდება კარგად დაგეგმილი და განსაზღვრული ქმედებების განხორციელებით. ორგანიზებულ ჯგუფში პირთა კავშირი არა მარტო წინასწარია, ე.ი. დანაშაულის ჩადენამდეა ორგანიზებული, არამედ განსაკუთრებით მყარია, იმდენად მტკიცეა, რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენას წინ არაფერი უდგას.⁵ აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კონვენციის თანახმად, არ არის აუცილებელი წევრთა შორის როლების ფორმალური გადანაწილება, მკაცრი სუბორდინაცია, რადგან შესაძლებელია ჯგუფი შექმნას ერთმა პირმა, მოამზადოს დანაშაულის ჩასადენად, ხოლო უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედება ჯგუფმა განხორციელოს მეორე წევრის ხელმძღვანელობით. ასევე, არაა აუცილებელი, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი. ერთი მხრივ, წევრობის უწყვეტობა სავალდებულო არაა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზებული ჯგუფი, როგორც წესი, იქმნება რამდენიმე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად, გამო-

რიცხული არაა, რომ იგი ჩამოყალიბდეს მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩასადენად,⁶ შესაბამისად, ამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჯგუფი დაიშლება და წევრობაც შეწყდება. მეორე მხრივ, წევრების ცვალებადობა შესაძლებელია განხორციელდეს ორგანიზებულ ჯგუფში, რომელიც შექმნილია არაერთი დანაშაულის ჩასადენად, რაც შეიძლება განპირობებული იყოს იმ ფაქტით, რომ თვითონ ორგანიზებული ჯგუფის შექმნა მიუთითებს წევრების მიზანზე, რომ მათ განახორციელონ განსაკუთრებით რთული დანაშაულები, რადგან ყოველი კრიმინალური ქმედება და მისი შემადგენლობა ინდივიდუალურია. მათი განხორციელება მოითხოვს სხვადასხვა ხერხების შერჩევას, შესაბამისად, საჭირო ხდება ყოველი კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად სპეციალური ცოდნის მქონე პირების გამოყენება. ამდენად, მათ წინაშე არსებული ამოცანებიდან გამომდინარე, ცვლილებები ორგანიზებულ ჯგუფში შეიძლება შეეხოს პირებს, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან სხვადასხვა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებაში. თუმცა, აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ჯგუფში წევრთა ცვალებადობა ხორციელდება მკაცრი კონტროლისა და კონსპირაციის პირობებში, რათა ამ ჯგუფის საქმიანობა სხვა პირებისათვის უცნობი დარჩეს, ან მასში არ შეაღწიონ შემთხვევითმა პირებმა, რომლებმაც შეიძლება ჯგუფის დეზორგანიზაცია გამოიწვიონ.⁷

ჯგუფის წევრები უნდა გაერთიანდნენ ერთი ან რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩასადენად. როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, მძიმე დანაშაული, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არის არანაკლებ ოთხი წლისა, შესაბამისად, კრიმინალური გაერთიანების წევრებს მიზნად უნდა ჰქონდეთ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენა, რომელთათვისაც სასჯელის მაქსიმუმი ოთხ წელზე ნაკლები არ არის.

მიზანი უნდა იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა სახის სარგებლის მიღება. აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ნიშანს. საბოლოოდ, ორგანიზებული ჯგუფის შექმნის იდეა და მიზანი, პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღებაა.⁸ აქვე აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან, რომლის შესაბამისადაც, ორგანიზებული ჯგუფის მიზანი შემოსავლის უკანონო მიღება უნდა იყოს, მითითებული კონვენცია არ აკონკრეტებს შემოსავლის სახეობას, მხოლოდ მიუთითებს, რომ მიზანი უნდა იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა სახის სარგებლის მიღება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მოქმედების სფეროში ექცევა დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების გარკვევის შემდეგ, ასევე სასურველია, დეტალურად განვიხილოთ, თუ რა სახის მონაწილეობაა დასჯადი მითითებული სახეობის კრიმინალურ გაერთიანებაში.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ მითითებული კონვენცია ყველა მონაწილე სახელმწიფოს ავალდებულებს მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომა, რომელთა შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები განზრახ ჩადენის შემთხვევაში, ჩაითვლება დანაშაულად:

1. ქვემოთ დასახელებულ ქმედებათაგან ერთ-ერთი ან ორივე დანაშაულებრივ ქმედებათა განხორციელება მიუხედავად იმისა, ჩადენილ იქნა მცდელობა, თუ დასრულებული დანაშაული:
 - ერთ ან რამდენიმე პირთან შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, და თუ ამას ითვალისწინებს შიდა კანონმდებლობა, ასევე მოიცავს რომელიმე მონაწილის მიერ

შეთანხმების სისრულეში მოსაყვანად გარკვეული ქმედების შესრულებას ან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში ჩაბმას;

■ პირის, რომელიც აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს და საერთო დანაშაულებრივ საქმიანობას, ან ამ ჯგუფის განზრახვას, ჩაიდინოს შესაბამისი დანაშაულები, აქტიური მონაწილეობა:

ა. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში;

ბ. ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში სხვაგვარი საქმიანობა, იმის წინასწარი შეცნობით, რომ ამგვარი მონაწილეობა ხელს უწყობს გაერთიანების კრიმინალური მიზნის მიღწევას.

2. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა, ნაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა.⁹

როგორც მითითებულიდან ჩანს, კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, რომ მიიღონ ზომები, რომელთა საფუძველზეც, დანაშაულად ჩაითვლება პირთა შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ამ შეთანხმების სისრულეში მოსაყვანად გარკვეული ქმედების შესრულება, ან დანაშაულებრივი გაერთიანების საქმიანობაში ჩართვა. ასევე უნდა მოხდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება გაერთიანების მიზნის მიღწევაში დასახმარებლად. თუმცა აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება განხორციელებულ უნდა იქნეს განზრახ და დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მისი ქმედების არსი, ხოლო წინასწარი შეცნობის, განზრახვის, ჩანაფიქრისა, თუ მიზნის დადგენა უნდა მოხდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ კონვენციის თანახმად, ასევე, დასჯადად უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ უშუალოდ მონაწილეობის მიღება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობაში, არამედ კრიმინალური გაერთიანების მონაწილეობით მძიმე დანაშაულის ჩადენის ხელმძღვანელობა, ორგანიზება, ხელშეწყობა და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ გაცნობიერებულია რა ორგანიზებული დანაშაულის დიდი საფრთხე, კონვენციით ხდება სანინააღმდეგო ზომების გატარება არა მხოლოდ უშუალოდ ორგანიზებულ ჯგუფში ჩართულ პირთა მიმართ, არამედ ნებისმიერის, რომელიც თავის ქმედებით ხელს შეუწყობს კრიმინალური გაერთიანების მიზნის მიღწევას.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-6 მუხლით ხდება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაცია. მითითებული ნორმით კონვენციის ყველა წევრ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომელთა შედეგად დანაშაულად იქნება აღიარებული შემდეგი განზრახვი ქმედებები:

■ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გარდაქმნა ან გადაცემა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან დამალვის მიზნით ან დახმარების გაწევა ნებისმიერი პირისათვის, რომელიც მონაწილეობდა „ძირითადი სამართალდარღვევის“¹⁰ ჩადენაში, რათა თავიდან აირიდოს მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

■ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი ხასიათის, წყაროს, ადგილმდებარეობის, გადაადგილების, ქონებაზე უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან შეცვლა.¹¹

როგორც მითითებულიდან ჩანს, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, განახორციელონ სხვადასხვა ზომები, რომელთა საფუძველზეც წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის პროცესში მონაწილეობა ჩაითვლება დანაშაულად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის ნორმები უფრო შორსაც მიდის და უკანონო ქონების ლეგალიზაციის პროცესში მონაწილეობის გარდა, დასჯადად აცხადებს, ასევე:

■ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენას, ფლობასა და გამოყენებას;

■ ზემოთ მითითებული დანაშაულების ჩასადენად შეკავშირებას, ჩადენის მცდელობასა და მის ჩასადენად დახმარებას, ნაქეზებას, უზრუნველყოფასა და რჩევის მიცემას.¹²

ამდენად, კონვენციით განსაზღვრულია, რომ არა მხოლოდ აქტიური ქმედება უნდა დაისაჯოს უკანონო შემოსავლის გათეთრების პროცესში, არამედ ისეთი პასიური, „უმნიშვნელო“ ქმედებაც, როგორცაა მაგალითად, სამართალდამრღვევებისათვის რჩევის მიცემა საქმიანობის განსახორციელებლად.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონვენციის შესაბამისად, ზემოთ მითითებული ქმედებები ჩაითვლება დასჯადად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განხორციელდა განზრახ და წინასწარი შეცნობით, ხოლო ამავე მუხლის „ფ“ პუნქტით განმარტებულია, რომ დანაშაულებრივი ქმედებების მითითებული შემადგენელი ელემენტები უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე გარემოებათა ობიექტური გამოკვლევის შედეგად.

კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ მათ საკანონმდებლო ზომების გარდა უნდა განახორციელონ სხვა ქმედებებიც, რომლებითაც აღიკვეთება დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ლეგალიზაცია. აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოთა მოვალეობას წარმოადგენს ერთიანი ყოველმხრივი რეგულაციების და რეჟიმის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება დანაშაულებრივი შემოსავლის გათეთრების წინააღმდეგ და გათვლილი იქნება ბანკებისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებისათვის, ასევე ორგანიზაციებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველნი არიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თვალსაზრისით. აღნიშნული რეჟიმის ფარგლებში უნდა მოხდეს კლიენტთა იდენტიფიცირება, ასევე, საექვო ტრანზაქციების დაფიქსირება და შეტყობინება.

კონვენციის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ხელი შეუწყონ მითითებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობას, როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული მიზნის სრულყოფილი განხორციელებისთვის სავალდებულოა ფინანსური დაზვერვის სამსახურის შექმნა, რომელიც ფულის გათეთრების შემთხვევებში იმოქმედებს, როგორც ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების ეროვნული ცენტრი.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, წევრ სახელმწიფოებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ განახორციელონ სხვადასხვა ღონისძიებები მათ საზღვარზე ნაღდი ფულადი სახსრებისა და შესაბამისი საბრუნავი დოკუმენტების გადაადგილების გამოვლენისა და კონტროლის მიზნით. თუმ-

ცა, აქვე მითითებულია, რომ მიღებული ინფორმაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული კანონიერი კაპიტალის ნებისმიერი გზით გადაადგილების ხელის შესაშლელად.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობის გარდა, მითითებული კონვენცია ასევე, ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ სხვადასხვა ზომები, რათა დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ლეგალიზაცია ჩაითვალოს დანაშაულად. აღნიშნულს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც ცნობილია, ორგანიზებული დანაშაულის მიზანი, უპირველესად, შემოსავლის მიღებაა, ხოლო იმისათვის, რომ მიღებული რესურსები გამოყენებულ იქნეს, საჭიროა მისთვის კანონიერი სახის მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულებრივ საქმიანობას აზრი ეკარგება. შესაბამისად, კონვენცია ადგენს ვალდებულებებს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომ განსაკუთრებით გამკაცრონ ბრძოლა, როგორც უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, ასევე, მათი გადაადგილების წინააღმდეგ.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს კორუფციას. აღნიშნული სწორედაც რომ მეტად მნიშვნელოვან მართულებას წარმოადგენს, რადგან ცნობილია, რომ კორუფცია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების არსებობის ერთ-ერთი ბერკეტია. კრიმინალების მიერ ხდება საჯარო პირთა მოსყიდვა, შესაბამისად, დამნაშავეები იღებენ ოფიციალურ მოხელეთა მფარველობას, რაც ძალიან ართულებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომელთა შედეგად დანაშაულად ჩაითვლება:

- საჯარო მოხელისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, იმისათვის, რომ ამ მოხელემ მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისგან;
- პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა საჯარო მოხელის მიერ, პირადად ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, რომ ამ მოხელემ მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან.¹³

კონვენცია ასევე, მიუთითებს, რომ უშუალო შესრულების გარდა, დანაშაულად მიჩნეულ უნდა იქნეს მითითებულ ქმედებებში თანამონაწილეობაც. გარდა ამისა, ხაზი ესმება სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად მიიჩნიოს, როდესაც ზემოთ მითითებულ ქმედებებს ახორციელებს უცხო ქვეყნის საჯარო მოხელე ან საერთაშორისო სამოქალაქო სამსახურში მყოფი პირი.

როგორც ვხედავთ, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია დიდ ყურადღებას უთმობს კორუფციას, რაც უდავოდ გასათვალისწინებელია ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე. სავარაუდოდ, ყოველგვარი ვალდებულების მიუხედავად, რომელთაც კონვენცია უწესებს წევრ სახელმწიფოებს, კორუფცია ისედაც დასჯადია ყველა ქვეყანაში. კორუფციის კრიმინალიზაციაზე აქცენტის გაკეთებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მითითებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების

როლს ორგანიზებული დანაშაულობის სისტემაში და მის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის წარმოების საჭიროებას.

კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის კრიმინალიზაციას. ნევრ სახელმწიფოებს ვალდებულება ეკისრებათ გაატარონ ღონისძიებები, რომელთა შედეგად დანაშაულად ჩაითვლება განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებები:

- ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება ან არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება, ყალბი ჩვენების მიცემაზე დაყოლების ან ჩვენების მიცემაში ან მტკიცებულების წარდგენაში ჩარევის მიზნით, მითითებული კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში;
- ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში სასამართლო ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში ჩარევის მიზნით ფიზიკური ძალის, მუქარის ან დაშინების გამოყენება. თუმცა, აღნიშნული არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, შექმნას კანონმდებლობა სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა დასაცავად.¹⁴

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, კონვენცია ზემოთ მითითებულ ქმედებას იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ მას ისეთი მძიმე დანაშაულების გვერდით აყენებს, როგორცაა ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და კორუფცია, რაც საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ უნდა იყოს, რადგან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებისას, როგორც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის, ასევე, მოწმეთათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ მათ თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი თავს შეიკავებენ სამართალწარმოებაში აქტიურად მონაწილეობის მიღებისაგან, რაც მნიშვნელოვანწილად შეასუსტებს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობას.

ზემოთ აღნიშნულის პარალელურად, კონვენცია ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოებს, რომ უზრუნველყონ სხვადასხვა ზომების მიღება მოწმეთა (საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, პიროვნებისა და ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება და ა.შ.) და დაზარალებულთა დასაცავად და სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

გარდა დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომელთაც ყველზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, წინამდებარე კონვენცია ასევე, ადგენს რეკომენდაციებს საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით, რაც აღნიშნულ საერთაშორისო აქტს კიდევ უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს. ნევრ სახელმწიფოებს საშუალება აქვთ განახორციელონ სამართლებრივი დახმარება, აწარმოონ ერთობლივი გამოძიება და დამნაშავეთა ექსტრადიცია მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ურთიერთშორის რაიმე სხვა შეთანხმება. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონვენცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ნევრი ქვეყნების სამართალდამცავთა შორის პრაქტიკის გაზიარებას, ასევე, ერთმანეთის კადრების პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, თვით დეფინიციიდან გამომდინარე, სცილდება ერთი კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს. შესაბამისად, მსგავს დაჯგუფებაში

შეიძლება მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის კრიმინალები, რომელთაც საქმიანობის საკუთარი მეთოდები აქვთ. ცხადია, ასეთ დროს ფასდაუდებელია კრიმინალის წარმოშობის ქვეყნის სამართალდამცავი სისტემის როგორც გამოცდილება, ასევე, მომზადებისა და გადამზადების კურსები, სადაც კარგადაა გაანალიზებული და შესწავლილი ადგილობრივი დანაშაულების თავისებურებანი.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არ იქნებიან, განიხილონ სასჯელის შემცირების შესაძლებლობა იმ პირისათვის, რომელიც არსებითად თანამშრომლობს გამოძიებასთან. მითითებული გარემოების აუცილებლობა გამომწვეულია იმით, რომ უმეტეს შემთხვევაში, ტრადიციული ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი დაჯგუფებების საქმიანობა, მათი წესები და წევრთა შემადგენლობა გასაიდუმლოებულია. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოებისათვის უკიდურესად ძნელი ხდება მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან არ გააჩნიათ ინფორმაცია მათი შიდა საქმიანობისა თუ სტრუქტურის შესახებ. მითითებული დანაწესი განსაკუთრებით ღირებული და ეფექტიანია თანამედროვე კრიმინალური დაჯგუფებების სტრუქტურის პირობებში. კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ ლიდერები მაქსიმალურად არიან იზოლირებულნი რიგითი წევრებისაგან და უშუალოდ, ისინი არავითარ დანაშაულებრივ ქმედებას არ ახორციელებენ. თუმცა, სწორედ მათ მიერ ხდება დანაშაულებრივი სინდიკატის საქმიანობის პოლიტიკის შემუშავება და სწორედ მათი დავალების შედეგად ხდება კანონსწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელება. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, სახეზეა პირი, რომელიც წარმართავს დანაშაულებრივი დაჯგუფების საქმიანობას, ხოლო მეორე მხრივ კი, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება თითქმის შეუძლებელია, რადგან უშუალოდ იგი დანაშაულებრივ ქმედებას არ ჩადის. შესაბამისად, ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრიმინალური გაერთიანების წევრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელსაც ცხადია, ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნების მოტივი უნდა ჰქონდეს. სასჯელის შემცირება კი, ამგვარი მოტივაციის შესაქმნელად აპრობირებული მეთოდია, რომელიც თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს გამოცდილებას, დანაშაულთან ბრძოლის საქმეში საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტია მითითებული სახის კრიმინალთან ბრძოლაში. მეტად მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე კონვენცია აკონკრეტებს, თუ რომელ ქმედებებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ტრანსნაციონალური კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლისას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, მოახდინონ განსაზღვრული ქმედებების კრიმინალიზაცია შიდა კანონმდებლობაში, რაც ხელს შეუწყობს ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ერთობლივ ბრძოლას, რადგან ცხადია, რომელიმე ქმედება თუ დანაშაულია ერთ ქვეყანაში, ხოლო მეორეში კი, არა, ისინი ვერ ითანამშრომლებენ ასეთი სახის კრიმინალის წინააღმდეგ. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეკომენდაციებს, რომელიც შეეხება თანამშრომლობას წევრ სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებს შორის. აღნიშნული მომენტი გადამწყვეტია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავსი ხასიათის კრიმინალის განმახორციელებელი ორგანიზებული დაჯგუფება არასდროს მოქმედებს ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე. შესაბამისად, თუ არ იქნება ამ ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთთა-

ნამშრომლობა, მისი ბოლომდე დამარცხება შეუძლებელი იქნება. ასევე ხაზგასასმელია, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეებს ეძლევათ საშუალება განახორციელონ სამართლებრივი ურთიერთდახმარება და დამნაშავეთა ექსტრადიცია, რაც ასევე, მნიშვნელოვანია, რადგან რიგ შემთხვევაში, შეიძლება ქვეყნებს არ გააჩნდეთ შეთანხმება მსგავს საკითხებში თანამშრომლობის შესახებ. ამ დროს, საჭირო ხდება კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმება, რასაც ხანგრძლივი დრო სჭირდება, ხოლო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში ოპერატიულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს წევრი სახელმწიფოების მოვალეობა ერთმანეთის კადრების მომზადების შესახებ. ვინაიდან, სპეციალური ცოდნის გარეშე, რაც არ უნდა აქტიურად განხორციელდეს ქმედებები კრიმინალთან საბრძოლველად, იგი ეფექტიანი ვერ იქნება, რადგან ყოველ კონკრეტულ დაჯგუფებასთან წარმატების მისაღწევად განსხვავებული მიდგომაა საჭირო. შესაბამისად, სწორედ ამ მეთოდებისა და წესების შენაწევად იქნება შესაძლებელი პარტნიორი ქვეყნის სამართალდამცავთა სპეციალურ სასწავლებლებში.

შენიშვნები

- ¹ United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Article 2, Sec. (b).
- ² United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Article 3, Sec.2.
- ³ United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Article 2, Sec. (a).
- ⁴ United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Article 2, Sec. (c).
- ⁵ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007 წელი, გვ. 225.
- ⁶ მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი – ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2008 წელი, გვ. 297.
- ⁷ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007 წელი, გვ. 225.
- ⁸ ოთარ გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008 წელი, გვ. 210.
- ⁹ United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Article 5, Sec. 1.
- ¹⁰ ნებისმიერი სამართალდარღვევა, რომლის შედეგადაც მიღებული იქნა შემოსავალი, რომელიც შემდგომ შეიძლება გახდეს ე. წ. „გათეთრების“ ობიექტი.
- ¹¹ United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Article 6, Sec. 1 (a).
- ¹² United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Article 6, Sec. 1 (b).
- ¹³ United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Article 8, Sec. 1.
- ¹⁴ United Nations Convention Against Transnational Organized Crime, Article 23.

UNITED NATIONS CONVENTION AGAINST TRANSNATIONAL ORGANIZED CRIME

DAVIT MESKHISHVILI

Doctoral Candidate of the Law department, Grigol Robakidze University

It is well known that the organized crime is one of the most complicated and dangerous for of crime that is effects all spheres of public life. Besides, the mentioned crime, is almost never the problem of one sole country. It is becoming more and more transnational. Baring this in mind, it is even more important to facilitate the mutual legal assistance between the states at the international level – and this without the relevant legal framework would be impossible to implement. The Article reviews one of the most important international act in this field – UN Convention against the Transnational Organized Crime.

This Article analysis the general principles of the above-mentioned Convention. Specifically, it reviews the definitions provided in the Convention, like: organized group, heavy crime, structured group, property and income obtained through the criminal ways. In accordance with the Criminal Code, as a result of comparison with the norms, the Article concludes that the norms in Georgian legislations regulated the above mentioned issues in compliance with the Convention.

Besides that, the Article is focused on the methods of fighting against organized crime and the commitments of the member states in this regard. At the end, it is concluded that the UN Convention against Transnational Organized Crime is one of he most important international act while fighting against this crime, and envisages effective provisions to ensure mutual cooperation between the states at the international level.

კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების - JOINT CRIMINAL ENTERPRISE დოქტრინის შექმნისა და გამოყენების აუცილებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში

გიორგი ღებუაძე

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

საერთაშორისო სისხლის სამართლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა ხასიათდება ადამიანთა დიდი ჯგუფის, საერთო მიზნით გამსჭვალული გაერთიანებების თანამოქმედებით, სადაც პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა შედარებით რთულია, ვიდრე ნაციონალურ სამართლებრივ სისტემაში. აღნიშნული ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხს უფრო მეტად ბუნდოვანს და ძნელად დასადგენს ხდის. ამ თემის ირგვლივ საინტერესოა ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სააპელაციო პალატის მიერ შემუშავებული კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინა,¹ კერძოდ, თუ რამ განაპირობა მისი შექმნისა და გამოყენების აუცილებლობა.

1. შესავალი

საერთაშორისო სისხლის სამართლით დადგენილი დანაშაულების მახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია მაკროკრი-

მინალური გარემო. ბრალდებული პირები პრაქტიკულად, ყველა შემთხვევაში მოქმედებენ ერთიანი გეგმითა და განზრახვით, ამოძრავებთ საერთო მიზანი, ორგანიზებული ფორმით იყენებენ ძალისმიერ მეთოდებს მსხვერპლის წინააღმდეგ. მაგალითისათვის გავიხსენოთ ჰოლოკოსტი, იუგოსლავიის (სრებრენიცა), რუანდის შემთხვევები, სადაც უამრავი ადამიანი გახდა რამდენიმე დღეში განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი. ადგილი ჰქონდა მასშტაბური ხასიათის დანაშაულებს, სადაც მტკიცებულებების მოძიება, თუ ვინ ჩაიდინა უკანონო ქმედება თუ აქტი, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სისხლის სამართალი ითვალისწინებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შერაცხვის ფორმას. პირველი სახეზეა, როდესაც მცირე ტერიტორიულ მონაკვეთზე ჩადენილია უკანონო ქმედება, სადაც კონკრეტული დამნაშავის დადგენა და მტკიცებულებების მოპოვება შესაძლებელია, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ბრალდებულის ბრალეულობასთან. მეორეს კი, ადგილი აქვს სისტემური, დიდ გეოგრაფიულ რეგიონზე გავრცელებული დანაშაულებების დროს. გარდა ამისა, შეგვიძლია ვისაუბროთ ასევე შემთხვევებზე, რომლებიც ეხება როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ შერაცხვის ფორმას. ისინი საერთაშორისო სისხლის სამართალში გამოიყენება არა ერთდროულად, არამედ ერთმანეთის მონაცვლეობით. არის ორმაგი პერსპექტივა. თუ ნათელი გახდა, კონკრეტულად ვის მიერ არის ჩადენილი დანაშაული, გამოიყენება ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი, თუ არა, მაშინ – კოლექტიური².

საერთაშორისო სისხლის სამართალში კონკრეტული ქმედების კვალიფიკაციის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინდივიდის წვლილი დანაშაულის ჩადენაში, შედეგის დადგომაში. სრული პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, დაეკისრება იმას, ვინც იყო გადანყვეტილების მიმღები დაჯგუფების, გაერთიანების, ორგანიზაციის ფარგლებში.

ზემოთ აღნიშნული საკითხის ირგვლივ, დიდ ყურადღებას იპყრობს ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის სააპელაციო პალატის მიერ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით შექმნილი დოქტრინა, კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფება – Joint Criminal Enterprise (JCE). ის უფრო და უფრო გამოიყენება საერთაშორისო სისხლის სამართალში, როგორც „ჯადოსნური იარაღი“ საერთაშორისო დანაშაულებთან საბრძოლველად³ და ხშირად, ბრალმდებლებისათვის „საყვარელ ცნებადაც“ მოიაზრება.⁴

2. კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინა

კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინა სიახლეს წარმოადგენს როგორც საერთაშორისო, ასევე, ნაციონალურ სამართლებრივ სისტემაში. ის არის მნიშვნელოვანი იარაღი იმ პირების გასასამართლებლად, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თანაამსრულებლობისა და საერთო მიზნის პრინციპებზე დაყრდნობით. ის ემსახურება მიზანს, რომ ინდივიდის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედება, ან მისი ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის შედეგი მიაწეროს „გაერთიანების“ ფარგლებს. კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინა შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც დანაშაულში მონაწილის მხრიდან პირდაპირი, ან ირიბი თანხმობა, რომელიც მიმართულია კრიმინალური აქტის აღსრულებისაკენ, ან დაუმთავრებელი დანაშაულებრივი მიზნის სისრულეში მოყვანისაკენ.

კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინის გამოყენება ყოველთვის იყო კამათის საგანი. ბრალდება უმეტესად მას იყენებდა, როდესაც არ იყო საკმარისი მტკიცებულება პიროვნების გასასამართლებლად. ასევე, დისკუსიის ობიექტი იყო მისი გაურკვეველი დეფინიციაც. მას ხშირად უწოდებენ პასუხისმგებლობის „უვარგის თეორიას“ და „ნადირს“, რომელიც ეძებს მსხვერპლს.⁵ ყოფილი იუგოსლავიის მოსამართლე ფერ-ჯოჰან ლინდჰოლმი წერდა, რომ JCE იყო არასასარგებლო ტრიბუნალის საქმიანობისათვის.⁶ მიუხედავად ამისა, დოქტრინა გამოიყენებოდა და განაგრძობს კიდევაც არსებობას საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში.

JCE-ის საშუალებით ბრალმდებელს შეუძლია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს ადამიანთა ფართო წრეს. დაჯგუფების გეგმასთან მიმართებაში არ არის აუცილებელი, რომ ის იყოს დანაშაულის ჩადენამდე მომზადებული.⁷ ის შეიძლება ფორმირებული იქნეს, ასევე, დანაშაულის ჩადენის პროცესში. ყველა შემთხვევაში, დოქტრინის ფარგლებში თანამსრულებლობა არსებობს, როდესაც ერთი ამსრულებლის ქმედება შეესაბამება სხვა ამსრულებლის მიზანს და ყველა მოქმედებს ერთდროულად ერთი და იგივე ადგილას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.⁸ მნიშვნელოვანია, რომ გეგმა, მიზანი, თავისი შინაარსით იყოს არამართლზომიერი, ითვალისწინებდეს დანაშაულის ჩადენას.⁹

კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინა შექმნილ იქნა ბრალდების მხარისათვის, მაღალი თანამდებობის პირების, სერბი პოლიტიკოსი და სამხედრო ჩინოვნიკების სამართალში მიცემის მიზნით,¹⁰ რომლებიც ფარულ ორგანიზებასა და მართვას უწევდნენ დანაშაულებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე.¹¹ ყველაზე ცნობილი და გამორჩეული პიროვნება, ვინც იუგოსლავიის ტრიბუნალმა გაასამართლა, იყო სლობოდან მილოშევიჩი. საბრალდებო აქტში ის იყო ცნობილი დამნაშავედ კრიმინალურ მიზნობრივ დაჯგუფებაში მონაწილეობისათვის ბოსნიაში, ხორვატიასა და კოსოვოში განხორციელებული ქმედებებისათვის.¹² მაღალი თანამდებობის პირების გასამართლება დოქტრინის მეშვეობით უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე სხვა პირებისა. აღსანიშნავია, რომ ტრიბუნალზე ბრალდების მხარე დოქტრინას უმეტესად იყენებდა, როდესაც ბრალდებულებს შეგნებული მონაწილეობა და შემხებლობა ჰქონდათ დანაშაულთან.

საერთო მიზანი, ეს არის JCE-ის დოქტრინის ელემენტი და მას წარმოადგენს, როგორც ჯგუფური პასუხისმგებლობის თეორიას.¹³ დაჯგუფების წევრების მაკავშირებელი რგოლი არის მათი ერთიანი განზრახვა, მიაღწიონ საერთო მიზანს. ის ჩადენილ უნდა იყოს ერთობლივად ან ურთიერთშეთანხმებით.¹⁴ JCE შეიძლება შედგებოდეს, ასევე პატარა, სუბსიდიური ქვეგაერთიანებებისაგან.¹⁵ ეს შეიძლება მოხდეს, თუ ის ფართო ხასიათის მატარებელია. მაგალითად, გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში.

3. კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინის შექმნის აუცილებლობა

JCE, როგორც საერთო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემური შერაცხვის ფორმა, დამკვიდრდა ყოფილი იუგოსლავიის სააპელაციო პალატის მიერ ტადიჩის საქმეზე, სადაც განისაზღვრა კიდევაც პირველად, დოქტრინის გამოყენების აუცილებლობა.¹⁶

ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის სააპელაციო პალატა ეძებდა თეორიულ კომპონენტს, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ჯგუფური დანაშაულების მიმართ, რომელიც დაეხმარებოდა

სასამართლოს მძიმე წინააღმდეგობის გადალახვაში, მტკიცებულებების მოპოვების საქმეში, რომელიც, უმეტესწილად, ძნელად მოსაძიებელი ან რთულად დასაბუთებელი იქნებოდა. მაგალითად, ინდივიდების შემხებლობა და კავშირი საერთაშორისო დანაშაულში. JCE-ის სქემის თანახმად, დაჯგუფების ერთ-ერთი წევრის მიერ ჩადენილი ქმედება სხვა წევრს დანაშაულად შეეფარდება, თუ ეს იყო კრიმინალური გეგმის გონივრული წინასწარგანჭვრეტადი შედეგი.¹⁷

ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალამდე, კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინას ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ტრიბუნალებში, როგორცაა ნიურნბერგი და ტოკიო.¹⁸ აღნიშნული გამოიყენებოდა ინდივიდების დასასჯელად, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ დაჯგუფებების მიერ ჩადენილ გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში. იმ დროს, როდესაც ადამიანები პასუხისმგებელი იყვნენ დანაშაულის დაგეგმვასა და აღსრულებაში, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო სხვა საშუალებით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მათი მიცემა, გამომდინარე იმ მტკიცებულებების მოპოვების სირთულიდან, რომლებიც კონკრეტულ დანაშაულში მათ პირდაპირ მონაწილეობაზე მიუთითებდა.

4. კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინის გამოყენების აუცილებლობა

დუსკო ტადიჩი იყო იმ შეიარაღებული დაჯგუფების წევრი, რომელიც შევიდა პრიჯედორის (Priedor) რეგიონის სოფელ ჯასკიში (Jaskici), განაცალკევა მამაკაცები ქალებისა და ბავშვებისაგან და უმოწყალოდ სცემა ისინი. სოფლიდან დაჯგუფების გასვლის შემდგომ, ხუთი მოკლული მამაკაცი იქნა ნაპოვნი.¹⁹

ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის სასამართლო პროცესზე რამდენიმე მონაწილე ამოიცნო დუსკო ტადიჩი, როგორც ერთ-ერთი შეიარაღებული პირი, რომელიც შევიდა დასახლებაში, მაგრამ არც ერთს არ შეეძლო თქმა, რომ მას რაიმე კავშირი ჰქონდა მკვლელობასთან. არ იყო არავითარი მტკიცებულება, ვინ განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება, კერძოდ, მკვლელობა, ვინ ესროლა თავში ოთხ მათგანს. სასამართლო პალატამ არ გამოიცილა ფაქტი, რომ ქმედებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასახლებაში, განხორციელებული ყოფილიყო იმ პირების მიერ, რომლებიც შევიდნენ სოფელში, მაგრამ ბრალდებული ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი ასეთი ქმედებებისათვის.²⁰ გათვალისწინებულ იქნა ის გარემოებაც, რომ ზუსტად იმ დღეს, მეზობელ სოფელ სივჩიში (Sivci) შევიდა დიდი შეიარაღებული სერბული დაჯგუფება და იქ ეთნიკურ წმენდას ახორციელებდა. ფაქტი, რომ არ ყოფილა მსხვერპლი სოფელ სივჩიში, იძლეოდა ვარაუდის საშუალებას, რომ მკვლელობა არ იყო ორი სოფლის ეთნიკური წმენდის განხორციელების გეგმის ნაწილი, რომელშიც ბრალდებულმა მიიღო მონაწილეობა.²¹

ბრალდების მხარემ გაასაჩივრა სასამართლო პალატის გადაწყვეტილება, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ტადიჩი მონაწილეობდა ჯასკიში განხორციელებულ თავდასხმებში, რომლის მიზანი იყო პრიჯედორის რეგიონის განწმენდა არასერბი მოსახლეობისაგან არაჰუმანური და ძალადობითი აქტებით. მკვლელობა ბრალდებულისათვის იყო წარმოსადგენი, წინასწარგათვალისწინებადი მოვლენა, რომელიც ბრალდების აზრით, მას გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა. საბოლოოდ, ტადიჩი უნდა ყოფილიყო ცნობილი დამნაშავედ ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის სტატუტის მე-7(1) მუხლით, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მოკლა ხუთი მამაკაცი.²²

დაცვის მხარე არ ეთანხმებოდა ბრალდების მოსაზრებას და ამბობდა, რომ უნდა დამტკიცებულიყო, მოიცავდა თუ არა თავის თავში თავდასხმის გეგმა, რომელშიც ტადიჩი საგარეუდოდ მონაწილეობდა, მკვლელობას და ჩათრეულ იქნა თუ არა ის მასში მკვლელობის გეგმით.²³

მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ შეიარაღებულმა დაჯგუფებამ, რომელშიც იყო ბრალდებული, მოკლა 5 მამაკაცი ჯასკიში, სააპელაციო პალატამ დასვა საკითხი – შეიძლებოდა თუ არა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით, პირი დამნაშავედ ყოფილიყო ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ არ მოიპოვებოდა არავითარი მტკიცებულება, რომ მან მოკლა ერთ-ერთი მაინც.²⁴

ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის სააპელაციო პალატა, ტადიჩის საქმის კვალიფიკაციის პროცესში დადგა თეორიული კომპონენტის შექმნის აუცილებლობის ნინაშე, რათა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცა ჯგუფურ დანაშაულში ბრალდებული პირები. ამით ის გააიოლებდა იმ პირთა დასჯას, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ დანაშაულებში, რომლებშიც ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ არამართო პირდაპირი მონაწილეობის ფორმით. ტრიბუნალის წესდება არ განსაზღვრავს კრიმინალურ მიზნობრივ დაჯგუფებას, როგორც პასუხისმგებლობის შესაძლებლობას, შესაბამისად კონკრეტულ მუხლში. ის იქნა მოძიებული უკვე დაფუძნებულ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში მეორე მსოფლიო ომის პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად.²⁵ ასევე, შესწავლილ იქნა რიგი ქვეყნების ნაციონალური კანონმდებლობა, მაგრამ ვერ იქნა მოძიებული თანმიმდევრული, გამართლებული პრაქტიკა. სააპელაციო პალატამ დასძინა, რომ საერთო გეგმის დოქტრინა, როგორც თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობის ფორმა, მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში და მისი გამოყენება ტრიბუნალის წესდების ფარგლებში შესაძლებელი იყო.²⁶

ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი დოქტრინას სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიებდა. მაგალითად, საერთო გაერთიანება, საერთო მიზანი და ა.შ. მოგვიანებით, პრეცედენტულმა სამართალმა განსაზღვრა, რომ ყველა ეს ტერმინი პასუხობდა პასუხისმგებლობის ერთ საერთო ფორმას, რომელიც უნდა ყოფილიყო მოხსენებული, როგორც კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფება (Joint Criminal Enterprise).²⁷

ტადიჩის პასუხისმგებლობა დაფუძნებული იყო სწორედ კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინაზე. მას აქვს სამი კატეგორია. სამივე ეხება დანაშაულის ჩასადენად საერთო მიზნით გამსჭვალულ ადამიანთა დაჯგუფებას, რომელიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. გააჩნია რა, სამივე კატეგორიას საერთო ობიექტური მხარის ნიშნები, ყველას განსხვავებული სუბიექტური მხარის ფორმა აქვს.²⁸

პირველი კატეგორია, რომელსაც ძირითად JCE-ს უწოდებენ, ხასიათდება შემთხვევით, როდესაც ყველა ბრალდებული მონაწილეობს საერთო გეგმის ფარგლებში და ამოძრავებს ერთი და იგივე საერთო განზრახვა. აქ ყველა მონაწილე არის პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, განურჩევლად მათი მონაწილეობის ხარისხისა.²⁹ იმისათვის, რომ ქმედების კვალიფიკაცია მოხდეს პირველი კატეგორიით, უნდა დადგინდეს დაჯგუფების ერთ-ერთ ასპექტში მაინც, ბრალდებულის მხრიდან მონაწილეობის სურვილი და დანაშაულებრივი განზრახვა, გაზიარებული სხვა ჯგუფის წევრებთან ერთად.³⁰

მეორე კატეგორიას, სისტემურ JCE-ს, ადგილი აქვს, როდესაც სახეზეა „სისტემური სისასტიკე, ძალადობა“, უპირველეს ყოვლისა, როგორიცაა საკონცენტრაციო ბანაკი.³¹ კრიმინალური

მიზნობრივი დაჯგუფების მეორე კატეგორიით პასუხისმგებლობისათვის უნდა დამტკიცდეს ორგანიზებული რეპრესიული სისტემის არსებობა, ბრალდებულების მხრიდან მასში აქტიური მონაწილეობა, მისი ბუნების ცოდნა და შემდგომში მონაწილეობის განზრახვა.³²

მესამე კატეგორია, გავრცობილი JCE, ეს არის შემთხვევა, სადაც საერთო გეგმის ფარგლებში ადამიანთა ჯგუფი სჩადის ქმედებას, რომელიც არაა გათვალისწინებული გეგმით.³³ მესამე კატეგორიის დროს ბრალდების მხრიდან უნდა დამტკიცდეს, წინასწარგანჭვრეტადი იყო თუ არა, რომ დანაშაული ჩადენილი იქნებოდა ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მიერ და ბრალდებულმა იცოდა რა, რომ ასეთი დანაშაული შესაძლებელი იყო მომხდარიყო გაერთიანების ფარგლებში, ნებაყოფლობით „აილო რისკი თავის თავზე.“³⁴

სააპელაციო პალატამ ტადიჩის საქმეზე მიიჩნია, რომ მესამე კატეგორია იყო ყველაზე ახლოს ბრალდებულის მიერ გამოხატულ ქმედებებთან. ჯგუფს ჰქონდა არასერბი მოსახლეობის განმენდის საერთო მიზანი. მკვლელობა არ იყო მათ გეგმაში მოცემული, მაგრამ მოიაზრებოდა, რომ არასერბები იქნებოდნენ მოკლული ქმედებათა სისრულეში მოყვანის პროცესში. პალატამ გამოიძია, რომ ტადიჩმა იცოდა აღნიშნულის შესაძლებლობის შესახებ და მან ნებაყოფლობით „აილო რისკი თავის თავზე.“³⁵

გავრცობილმა JCE-მ ჩამოაყალიბა დოქტრინის პასუხისმგებლობის სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების ახალი სახე, რომლის საშუალებითაც, არსებული მტკიცებულების დონე დამაკმაყოფილებელი გახადა. ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სასამართლო პალატამ დაუშვა შეცდომა,³⁶ ბრალდებული იყო სერბული წარმომავლობის შეიარაღებული დაჯგუფების წევრი, რომელმაც მიზნად დაისახა ძალისმიერი ფორმით სოფლის განმენდა მამაკაცებისაგან. მკვლელობა იყო წარმოსადგენი, წინასწარგათვალისწინებადი მოვლენა, რომელიც, ბრალდების აზრით, უნდა ყოფილიყო გაცნობიერებადი. ბრალდებული გასამართლებულ იქნა ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული არაერთი დანაშაულისათვის. მრავალი ბრალდებიდან, რომელიც მას წაყენებული ჰქონდა, ერთ-ერთი იყო ხუთი მამაკაცის მკვლელობა სოფელ ჯასკიში.³⁷

5. დასკვნა

მიუხედავად მრავალი პრობლემისა, რომელიც არსებობს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სფეროში, აშკარაა წარმატებები, რომელიც დროთა განმავლობაში იქნა მიღწეული საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების პროცესში.

ყოფილი იუგოსლავიის სააპელაციო პალატა ტადიჩის საქმეზე, კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინის ჩამოყალიბების დროს დაეყრდნო ნიურნბერგის სასამართლო პრაქტიკას, იურიდიული ნორმების სიმწირის გამო. არ არსებობდა ჩამოყალიბებული დისპოზიცია, რომელიც საშუალებას მისცემდა ბრალდების მხარეს გამოეყენებინა იგი ქმედების კვალიფიკაციის პროცესში. თუ ბრალდების მხარე, ზემოთ აღნიშნულ დოქტრინაზე დაყრდნობით, დაამტკიცებდა, რომ ბრალდებულები იმყოფებოდნენ დანაშაულის ჩადენის პროცესში, მიუხედავად მათი მონაწილეობის ხარისხისა, დაანესებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მათზე.

კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინამ ბრალდების აქტები უფრო იოლი გახადა. ის საშუალებას აძლევს ბრალდებას მასში შეიტანოს უფრო მეტი ბრალდებები, ვიდრე სხვა

ფორმის პასუხისმგებლობები, ვინაიდან მესამე კატეგორიას აქვს სუბიექტური მხარის უფრო დაბალი მოთხოვნილებები, რომ პირი მიცემულ იქნეს სამართალში. მესამე კატეგორია მხოლოდ ითხოვს, რომ უმაღლესი თანამდებობის პირისაგან მოხდეს ნებისმიერი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიძლება შორს იყოს დაჯგუფების საერთო გეგმისაგან. გავრცობილი JCE-ით ბრალდება უნდა დაადგინოს, რომ ბრალდებულს ჰქონდა ცოდნა იმ ვარაუდის შესახებ, რომელმაც გამოიწვია დამატებითი დანაშაული, ანუ ქმედება, რომელიც იყო წინასწარგათვალისწინებადი. ის, რომ კრიმინალურ მიზნობრივ დაჯგუფებას აქვს უფრო დაბალი სუბიექტური მხარის ნიშნები, ვიდრე პასუხისმგებლობის სხვა სახეს, ხდის მას უფრო ძლიერ იარაღად ბრალდების მხარისათვის.

ნებისმიერი ახალი თეორიული კომპონენტი, დოქტრინა, რომელიც დაეხმარება მართლმსაჯულებას პრობლემური საკითხების გადალახვაში, რა თქმა უნდა, მისაღები უნდა იყოს საერთაშორისო სისხლის სამართლის დოგმატიკისათვის. მაგალითად, თუ მეთაურის პასუხისმგებლობა სრულად თავს ვერ ართმევდა თავის დანიშნულებას, JCE-ის მესამე კატეგორიით, უკვე შესაძლებელი გახდა პასუხისმგებლობის სხვაგვარად დაკისრება. საერთაშორისო დანაშაულები ხასიათდება რა, ადამიანთა თანამოქმედებით, მართლაც, ამ პროცესში, როდესაც მათი კონკრეტულ ქმედებებთან პირდაპირი შემხებლობის დადგენა შეუძლებელია, კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინა საკითხის რეგულირების შესაბამისი საფუძველია. ის ქმნის პრევენციას მომავალში იმ დანაშაულთა აღსაკვეთად, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნეს კაცობრიობის მიმართ. გლობალიზაციის საკითხი, კომუნიკაციის საშუალებების განვითარება, საერთაშორისო სისხლის სამართლით გათვალისწინებულ დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირის დადგენას ქმედებასა და შედეგს შორის უფრო და უფრო ძნელად დასადგენს ხდის. კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფება, განსაკუთრებით კი, დოქტრინის მესამე კატეგორია, სუბიექტური მხარის მინიმალური მოთხოვნით იდეალური ვარიანტია აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად, ასევე, მაღალი თანამდებობის პირების გასასამართლებლად, რომლებიც არაპირდაპირი ფორმით მართავენ „ორგანიზაციას“.

მიუხედავად იმისა, რომ კრიმინალური მიზნობრივი დაჯგუფების დოქტრინის მიმართ არსებობს გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება, მან სათანადო ადგილი დაიმკვიდრა საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისპრუდენციაში.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: Joint Criminal Enterprise ტერმინთან მიმართებაში; მერაბ ტურავა, სსსხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, 2010, გვ. 281; ასევე, აღნიშნული წიგნის მე-7 გამოცემა, 2008, გვ. 234.
- ² იხ.: Kai Ambos, Internationales Strafrecht, 2 Auflage, 2008, გვ. 151-152.
- ³ იხ.: Kai Ambos, Joint Criminal Enterprise and Command Responsibility, Journal of International Criminal Justice, 2007, www.oxfordjournals.org.
- ⁴ იხ.: Antonio Cassese, The Proper Limits of Individual Criminal Responsibility Under the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice, 2007, www.oxfordjournals.org.
- ⁵ იხ.: Ciara Damgaard, Individual Criminal Responsibility for Core International Crime, 2008, გვ. 128.
- ⁶ იხ.: იქვე.
- ⁷ იხ.: Kriangsak Kittichaisaree, International Criminal Law, 2002, გვ. 238; aseve, Gerhard Werle, Principles of International Criminal Law, Second Edition, 2009, გვ. 173; Prosecutor v Vasiljevic (საქმე IT-98-32-A) სააპელაციო პალატის 2004 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, პარ. 100.
- ⁸ იხ.: Otto Triffterer, Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court, Second Edition, 2008, გვ. 749-751.
- ⁹ იხ.: William A. Shabas, The Un International Criminal Tribunal-The former Yugoslavia, Rwanda and Sierra Leone, 2006, გვ. 309-314.
- ¹⁰ იხ.: Allison Marston Danner and Jenny S. Martinez, Guilty Associations: Joint Criminal Enterprise, Command Responsibility, and the Development of International Criminal Law, 2004, www.ssrn.com.
- ¹¹ იხ.: Elies van Sliedregt, JCE as a Pathway to Convicting Individuals for Genocide, Journal of International Criminal Justice, 2007, www.oxfordjournals.org.
- ¹² იხ.: Prosecutor v Milosevic (საქმე IT-02-54).
- ¹³ იხ.: Kai Ambos, Joint Criminal Enterprise and Command Responsibility, Journal of International Criminal Justice, 2007, www.oxfordjournals.org.
- ¹⁴ იხ.: Prosecutor v Krajisnik (საქმე IT-00-39-თ) სასამართლო პალატის 2006 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, პარ. 884.
- ¹⁵ იხ.: Prosecutor v Kvočka et al. (საქმე IT-98-30/1) სასამართლო პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარ. 307.
- ¹⁶ იხ.: Prosecutor v Tadic (საქმე IT-94-1-A) სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 172.
- ¹⁷ იხ.: William A. Schabas, An Introduction to the International Criminal Court, Third Edition, 2009, გვ. 215-216.
- ¹⁸ იხ.: Allison Marston Danner and Jenny S. Martinez, Guilty Associations: Joint Criminal Enterprise, Command Responsibility, and the Development of International Criminal Law, 2004, www.ssrn.com.
- ¹⁹ იხ.: იქვე, პარ. 178.
- ²⁰ იხ.: Prosecutor v Tadic (საქმე IT-94-1-T) სასამართლო პალატის 1999 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება, პარ. 373.
- ²¹ იხ.: იქვე, პარ. 373.
- ²² იხ.: Prosecutor v Tadic (საქმე IT-94-1-A) სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 175.
- ²³ იხ.: იქვე, პარ. 176, 177.
- ²⁴ იხ.: იქვე, პარ. 185.
- ²⁵ იხ.: Allison Marston Danner and Jenny S. Martinez, Guilty Associations: Joint Criminal Enterprise, Command Responsibility, and the Development of International Criminal Law, 2004, www.ssrn.com.

- ²⁶ იხ.: *Prosecutor v Tadic* (საქმე IT-94-1-A) სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 220.
- ²⁷ იხ.: *Prosecutor v Brdjanin* (საქმე IT-99-36) სასამართლო პალატის 2001 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 26.
- ²⁸ იხ.: Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wilmshurst, *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, 2007, გვ. 305-310.
- ²⁹ იხ.: Antonio Cassese - *International Criminal Law, Second Edition*, 2008, გვ. 191.
- ³⁰ იხ.: *Prosecutor v Simic, Tadic and Zaric* (საქმე IT-95-9) 2003 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება, პარ. 157; ასევე, *Prosecutor v Stakic* (საქმე IT-97-24-T) 2003 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 436; აღნიშნულ საქმეებში მონაწილეებს ამოძრავებთ საერთო განზრახვა მიზნის განსახორციელებლად.
- ³¹ იხ.: *Prosecutor v Tadic* (საქმე IT-94-1-A) სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 202.
- ³² იხ.: იქვე, პარ. 203; იხ. ასევე, *Prosecutor v Krnojelac* (საქმე IT-97-25-A) სააპელაციო პალატის 2003 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, პარ. 96.
- ³³ იხ.: *Prosecutor v Tadic* (საქმე IT-94-1-A) სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 204.
- ³⁴ იხ.: იქვე, პარ. 220, 228; იხ. ასევე, სამ კატეგორიასთან დაკავშირებით Jennifer Trahan, *Genocide, War Crimes, Crimes Against Humanity - A Topical of the Case Law of International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia*, Human Rights Watch Organization, 2006, გვ. 417-427; *Prosecutor v Vasiljevic* (საქმე IT-98-32) სააპელაციო პალატის 2004 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, პარ. 101.
- ³⁵ იხ.: *Prosecutor v Tadic* (საქმე IT-94-1-A) სააპელაციო პალატის 1999 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, პარ. 231-232.
- ³⁶ იხ.: იქვე, პარ. 233.
- ³⁷ იხ.: ტადიჩის სხვა ბრალდებებთან დაკავშირებით კონკრეტულად *Prosecutor v Tadic* (საქმე IT-94-1).

NEED FOR CREATION AND USAGE OF THE JOINT CRIMINAL ENTERPRISE DOCTRINE IN THE INTERNATIONAL CRIMINAL LAW

GEORGE DGEBUADZE

Doctoral Candidate, The University of Georgia

The following article is dedicated to the issue of personal liability in International Criminal Law, in other words the doctrine of *Joint Criminal Enterprise*. According to the International Criminal law joint crime involves co-perpetration by a large group of people with common goal, where compared to the national law system, it is more difficult to identify the responsible persons. This makes the issue of personal liability even more vague and difficult to determine. One of the tools for solving this legal issue is the doctrine of the Joint Criminal Enterprise developed by the Appeals Chamber of the International Criminal Tribunal of the former Yugoslavia. This doctrine enables to apply criminal liability to a large group of people.

The article reviews *the Dusko Tadic's Case*. During the qualification of the mentioned case, the Appeals Chamber of International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia used the doctrine of Joint Criminal Enterprise for the first time and formulated 3 categories of it: 1. I category – basically referred as JCE – deals with the situation when all the defendants are acting in the framework of the common plan and according to the common goal; 2) II Category – systemic JCE – is characterized with “systemic cruelty, violence”, primarily a phenomena such as a concentration camp. 3), III category – extended/advanced JCE – when the group of people in the framework of the common goal are committing an act not envisaged under the plan.

Though there is some negative attitude towards the doctrine of JCE, it has still found relevant place in the common international criminal law.

სასჯელის დანიშვნის საკითხისათვის თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში

აღამ მასარაძე

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

თანამონაწილეობისას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სირთულეს წარმოადგენს, რომ დანაშაული რამდენიმე პირის ერთობლივი მოქმედებით ხორციელდება. ერთობლივი მოქმედება მომდინარეობს ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის, ასევე, ამსრულებლის მოქმედებიდან. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, რამდენიმე პირის ძალისხმევით ნაყოფს წარმოადგენს, რომელიც დანაშაულის ამსრულებლის მოქმედებაში და ამის საფუძველზე, საერთო დანაშაულებრივ შედეგში გაერთიანდება. თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა ერთიანი დანაშაულისათვის დაეკისრებათ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა თანამონაწილეს ერთი ზომის ერთგვაროვანი სასჯელი უნდა შეეფარდოს. თანამონაწილეობისას უნდა განხორციელდეს სასჯელის ინდივიდუალიზაცია. სამართლიანადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ არაინდივიდუალიზებულ სასჯელს არ შეუძლია წარმატებით განახორციელოს თავისი ფუნქციური დანიშნულება. თუ სასჯელი არ არის ინდივიდუალიზებული, ის უსამართლოა. უსამართლო სასჯელი არ იწვევს საზოგადოებაში და მსჯავრდებულში იმ რეაქციას, რომელიც აუცილებელია ზოგადი და სპეციალური პრევენციის ამოცანათა გადანაცვებისათვის.¹

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში სასჯელის ინდივიდუალიზაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ კრიტერი-

უმთა თუ მიდგომათა შინაარსზე, რომელიც სასამართლომ კანონმდებლის მითითებით უნდა გაითვალისწინოს. სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსთა გათვალისწინებით, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე მიმართულება შეინიშნება.

პირველ მათგანს უნდა მივაკუთნოთ ის ქვეყნები, სადაც დანაშაულის თანამონაწილის სახის მიხედვით დადგენილია სასჯელის შემცირება. ამის ნათელი მაგალითია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 26-ე პარაგრაფის მიხედვით დანაშაულის წამქეზებელი ამსრულებლის მსგავსად ისჯება, მაგრამ დამხმარესათვის (პარ. 27) სასჯელი შემცირებულია პარ. 49, 1 აბზაცის მიხედვით. მასში დადგენილია სასჯელის შემსუბუქების შემდეგი წესები:

1. თავისუფლების უვადო აღკვეთა იცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლით.
2. დანაშაულისათვის განსაზღვრული ვადიანი თავისუფლების აღკვეთისას გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ვადა მცირდება სამ მეოთხედამდე. იგივე წესი მოქმედებს ფულადი ჯარიმის დროსაც.
3. მინიმალური ვადა სასჯელისა თავისუფლების აღკვეთის სახით მცირდება: იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური ვადა ათიდან ან ხუთი წლიდან არის განსაზღვრული ორი წლით; თუ მინიმალური ვადა სამიდან ან ორი წლიდან არის – ექვსი თვით; თუ მინიმალური ვადა არის ერთი წლიდან – სამი თვით; სხვა შემთხვევებში კი, კანონით დადგენილი მინიმალური ვადით.²

ზოგიერთი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსები დამხმარის მიმართ აწესებენ ზოგად-დად, სასჯელის ფაკულტატიური შემცირების შესაძლებლობას. ასე, მაგალითად, შვეიცარიის 1938 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი ადგენს, რომ „ის ვინც განზრახ შეუწყობს ხელს სხვას დანაშაულის ჩადენაში ან გადაცდომაში შეიძლება დაისაჯოს მსუბუქად“. სასჯელის ფაკულტატიურ შემცირებას ასევე, ითვალისწინებს დანიის 1933 წლის სისხლის სამართლის კოდექსიც (23-ე მუხ.) და სხვ.

ცალკეული ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსები არ განსაზღვრავენ სასჯელის სავალდებულო ან ფაკულტატიურ შემცირებას, არამედ საერთო სახელმძღვანელო საწყისების სახით აწესებენ თანაბარ პასუხისმგებლობას ყველა თანამონაწილისათვის. ამ გზით მიდის, მაგალითად, საფრანგეთის 1992 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 121-6 მუხლში ნათქვამია, რომ ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილე ისევე დაისჯება, როგორც დანაშაულის ამსრულებელი.³ ანალოგიურ პოზიციას იცავს იაპონიის 1907 წლის სისხლის სამართლის კოდექსიც, რომლის 63-ე მუხლი ადგენს, რომ დამხმარეს სასჯელი უნდა შეუმსუბუქედეს ამსრულებლის სასჯელის შესაბამისად.⁴

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იაპონიისა და საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსები თანამონაწილეთა დასჯის შესაძლებლობას ზღუდავენ მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულებრივი ქმედების დროს. ასე მაგალითად, იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, ისეთი დანაშაულის დამხმარე ან წამქეზებელი, რომელიც სასჯელის სახით პატიმრობას ან მცირე ფულად ჯარიმას იწვევს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯება, თუ ამის შესახებ სპეციალურადაა მითითებული კანონში. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედებები თავისი სიმძიმის მიხედვით სამ ნაწილად იყოფა: დანაშაულად, გადაცდომად და დარღვევად, მაგრამ თანამონაწილეობა მხოლოდ დანაშაულში და გადაცდომაში (111-1; 121-6 და 121-7 მმ.) დასჯადი.

იაპონიისა და საფრანგეთის კანონმდებლობის მსგავსად, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ზღუდავს იმ განზრახ დანაშაულთა წრეს, რომლისთვისაც შესაძლებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თანამონაწილეობისათვის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი კანონმდებლობით თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა ყველა მცირე მნიშვნელობის მქონე ნებისმიერი ქმედებისათვის დაეკისრებათ. თანამონაწილეობის ინსტიტუტის ასეთი გაგება წინააღმდეგობრივი და უსაფუძვლო იქნებოდა. თანამონაწილეობის ინსტიტუტის დებულებები სისხლის სამართლის კოდექსის სხვა ნორმებთან ერთიანობაში უნდა გავიაზროთ. ეს კონკრეტული შემთხვევა მე-7 მუხლის II ნაწილთან ორგანულ კავშირში უნდა წარმოვიდგინოთ. მასში ნათქვამია, რომ ქმედება შესაძლებელია კოდექსით გათვალისწინებულ ნიშნებს შეიცავდეს თუმცა, მცირე მნიშვნელობის გამო აუცილებელი არ იყოს მისი ჩამდენის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა. მაშასადამე, თანამონაწილეები სსკ-ის მე-7 მუხლის II ნაწილის საფუძველზე, შესაძლებელია გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან კიდევ, რომელიმე თანამონაწილეს, მაგალითად, მსუბუქი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დანაშაულში მონაწილეობის მცირე ხარისხის გამო არ დაეკისროს პასუხისმგებლობა.⁵

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს თანამონაწილის რომელიმე სახის მიმართ სასჯელის სავალდებულო ან ფაკულტატიურ შემცირებას. იგი ისტორიული წარსულის მსგავსად, პოტენციურად ყველა თანამონაწილისათვის სასჯელის თანაბარ ფარგლებს აწესებს. ამიტომ ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოსდა მოქმედი კანონმდებლობისათვის არ არის აუცილებელი თანამონაწილეთა სახეებად დაყოფა. თუმცა, ამგვარი დასკვნა არ შეესაბამება მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად პრინციპებსა და დადგენილებებს თანამონაწილეებისათვის სასჯელის დანიშვნის თაობაზე.

სასამართლომ თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვის მიზნით უნდა იხელმძღვანელოს, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებში განსაზღვრული დებულებებით (53-ე მუხ.) ასევე, იმ სპეციალური კრიტერიუმებით, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულში ამსრულებლობისათვის არის დადგენილი (57-ე მუხ.). მაგალითად, სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებში მითითებული დებულება, რომ „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით“ თანაბრად ვრცელდება, როგორც ერთპიროვნული, ასევე, თანამონაწილეობის გამოვლენილი დანაშაულის მიმართაც. ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულის მსგავსად, თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროსაც, სასამართლოს არ შეუძლია დამნაშავეს სასჯელის ზომად დაუნიშნოს ჩადენილი დანაშაულისათვის განსაზღვრული სანქციის მინიმალურ ზღვარზე ნაკლები და მაქსიმალურზე მეტი.

გარდა ამისა, კანონმდებელი ამავე ნორმაში განსაზღვრავს, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას უნდა იხელმძღვანელოს ამ კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. ეს მითითება საკმაოდ ფართო და ტევადი ცნებაა. მასში იგულისხმება როგორც ზოგადი, ასევე ის სპეციალური ნორმები, რომლებიც კონკრეტულ ვითარებაში დაკავშირებულნი არიან სასჯელის დანიშვნასთან და ზეგავლენას ახდენენ ამ პროცესზე. მაგალითად, მოქმედი კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის წესებს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის (56-ე მუხ.) და დანაშაულში თანამონაწილეობისა თუ თანაამსრულებლობისათვის (57-ე მუხ.). იმ

შემთხვევაში, თუ თანამონაწილეობით განხორციელდება დანაშაულის მცდელობა, სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო 57-ე, არამედ 56-ე მუხლში განსაზღვრული დებულებებიც, ცხადია, იმ დანაშაულთან ერთად, რომლის განხორციელებასაც თანამონაწილეები ცდილობდნენ.

53-ე მუხლის მეორე ნაწილით, კანონმდებელი ადგენს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შეიძლება დაინიშნოს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი სასჯელი. უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება დაინიშნოს დანაშაულთა და განაჩინთა ერთობლიობით (59-ე მუხ.), ხოლო უფრო მსუბუქი 55-ე მუხლის საფუძველზე. კერძოდ, მაშინ თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლოს ეძლევა უფლება დაინიშნოს კოდექსის შესაბამისი მუხლით დანესებული ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელი. ეს დებულებები სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროსაც. თუ, მაგალითად, სასამართლო დაადგენს, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის თანამონაწილემ, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მოხდამდე, მან კვლავ ჩაიდინა თანამონაწილეობით (ან ერთპიროვნულად) არაერთი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ასეთ პირობებში სასამართლოს აქვს უფლება, განაჩინთა ერთობლიობით (59-ე მუხ.), სასჯელის შეკრების გზით, დანაშაულში მონაწილე პირს, საბოლოო სასჯელად მთლიანობაში შეუფარდოს ორმოც წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მაშასადამე, სასჯელის დანიშვნის ზოგად სანყისებში მითითებას, რომ სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს ზოგად ნაწილში განსაზღვრული დებულებებით, „ჯაჭვურ რეაქციაში მოჰყავს“ ზოგად ნაწილში განსაზღვრული ის ნორმები, რომლებიც დაკავშირებული არიან სასჯელის დანიშვნასთან ან ზეგავლენას ახდენენ ამ პროცესზე.

ამასთან, ამ ნორმებიდან ზოგიერთი მათგანი სპეციალური ხასიათისაა და მათ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას იყენებს, ხოლო ზოგიერთ მათგანს ზოგადი ხასიათი აქვს და ისინი სასამართლოს მიერ, ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას, მხედველობაში მიიღება ნებისმიერი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე. მაგალითად, 56-ე მუხლით სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას. მაგრამ 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული დებულება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელ გარემოებების შესახებ, კერძოდ, მითითება დანაშაულის მოტივზე და მიზანზე, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე, მოვალეობათა დარღვევის ხასიათზე, დამნაშავის წარსულ ცხოვრებაზე თუ ა.შ. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ნებისმიერი სახითა თუ ფორმით გამოვლენილი დანაშაულის შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას, იქნება ეს დამთავრებული თუ დაუმთავრებელი ან კიდევ ერთპიროვნული თუ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული და სხვ.

კანონმდებლის მოთხოვნა სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების, აგრეთვე, დამნაშავის პიროვნების გათვალისწინების თაობაზე, წარმოადგენს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის რეალურად განხორციელებას. ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულის დროს სასამართლოს შესაძლებლობა აქვს და ამასთან, ვალდებულიც არის გარეგნულად თუნდაც ერთნაირი, ორი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების დადგენის გზით, მუხლის სანქციის ფარგლებში და-

ნიშნოს მკაცრი ან ნაკლებად მკაცრი სასჯელი ანდა უფრო მსუბუქი სასჯელის სახე თუ ზომა, ანუ განხორციელოს სასჯელის რეალური ინდივიდუალიზაცია.⁶

კანონმდებლის მოთხოვნა სასჯელის დანიშვნის დროს შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინების შესახებ, ცხადია, თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულსაც შეეხება, თუმცა, ამ უკანასკნელს გარკვეული სპეციფიკაც ახასიათებს. კერძოდ, ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულის დროს, ნებისმიერი სახის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოება, ამ ერთი პირისათვის არის დამახასიათებელი და შესაბამისად, საქმის ყველა კონკრეტული გარემოებების დადგენა და მათი გათვალისწინება სასამართლოს მიერ, სასჯელის დანიშვნის დროს, ამ ერთი პირის მიმართ ხდება. თანამონაწილეობისას კი, ეს საკითხი რამდენადმე განსხვავებულად და შედარებით რთულად წყდება.

თანამონაწილეობის შემთხვევაში, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების დიფერენცირებული შეფასება უნდა განხორციელდეს. ეს გარემოებები უნდა დაიყოს ორ ნაწილად: პერსონალურ და არაპერსონალურ გარემოებებად. პერსონალური ნიშანი, რომელიც დანაშაულში მონაწილე რომელიმე პირის მხარეს არის მოცემული, იგი სასამართლომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს მხედველობაში მხოლოდ იმ პირის მიმართ უნდა მიიღოს ვისაც იგი უშუალოდ ახასიათებს. იგივე უნდა ითქვას ბრალის ნიშანზეც, რომელიც ზრდის ან ამცირებს ბრალის ხარისხს. არაპერსონალური გარემოება კი, რომელიც ამსრულებლის მიერ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ახასიათებს, მან სასჯელის განსაზღვრისას ზეგავლენა უნდა იქონიოს არა მარტო ამსრულებელზე, არამედ დანაშაულში მონაწილე სხვა პირებზეც. ცხადია, თუ მათ შეცნობილი ჰქონდათ ეს გარემოებები.⁷ მაგალითად, დანაშაულის ამსრულებლის უარყოფითმა ან დადებითმა წარსულმა ცხოვრებამ ან მისმა პირადმა თუ ეკონომიკურმა პირობებმა, ასაკმა, ორსულობამ თუ სხვა პერსონალური ხასიათის გარემოებებმა არ უნდა გაამკაცრონ ან შემამსუბუქონ სხვა თანამონაწილეთა სასჯელი. მაგრამ არაპერსონალურმა გარემოებებმა, როგორებიცაა, მაგალითად, დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით, დანაშაულით მძიმე შედეგების გამოწვევა, დანაშაულის ჩადენა საყოველთაოდ საშიში საშუალებებით და ა.შ. მსგავსი ხასიათის ობიექტური ნიშნები სასამართლომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს უნდა გაითვალისწინოს, როგორც ამსრულებლის მიმართ, ასევე, დანაშაულის თანამონაწილეთა მიმართაც, თუ მათ შეცნობილი ჰქონდათ ეს ნიშნები. თანამონაწილეობისას სასჯელის დანიშვნის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ზეგავლენის ამგვარ სპეციფიკაზე, სხვათა შორის პირდაპირ მიუთითებს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლი, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობისათვის სასჯელის დანიშვნის სპეციალურ კრიტერიუმებს განსაზღვრავს. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ „შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ერთ-ერთი თანამონაწილის ან ამსრულებლის პიროვნებას შეეხება, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ამ თანამონაწილისათვის ან ამსრულებლისათვის სასჯელის დანიშვნის დროს“. მაშასადამე, პერსონალური ნიშანი, რომელიც ახასიათებს რომელიმე თანამონაწილეს, არ შეიძლება პასუხისმგებლობაში შეერაცხოს სხვა თანამონაწილეებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვისათვის 53-ე მუხლის მესამე ნაწილით და 57-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული დებულებები ერთიან, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. პირველი მათგანი თუ სასამართლოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის ზოგად პრინციპზე მიუთითებს, რომლის გამოყენებაც ნებისმიერი სახითა თუ

ფორმით ჩადენილი დანაშაულისათვის არის აუცილებელი, მეორე, უკვე აკონკრეტებს იმ სპეციფიკას, რომელიც ამ ნორმის გამოყენების დროს თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულს ახასიათებს. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს დანაშაულში მონაწილე პირების მიმართ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა განხორციელოს ამ დებულებათა სინთეზური გამოყენება.

დანაშაულში თანამონაწილეობისას სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის სპეციალური მნიშვნელობა აქვს არა მარტო, ზემოთ განხილულ 57-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ დებულებას სხვადასხვა ნიშნების შერაცხვის თაობაზე, არამედ ამავე მუხლის პირველ ნაწილით დადგენილ დებულებას დანაშაულში მონაწილეობის ხასიათზე და ხარისხზე, კერძოდ: „დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება პირის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამონეუელი ან შესაძლებელი ზიანის ხასიათზე და ხარისხზე.“

მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული ცნებებია, თუმცა, არაერთგვაროვანი. მონაწილეობის ხასიათი თვისებრივი მახასიათებელია და მასში თანამონაწილის მიერ შესრულებული როლი – მისი ფუნქციის თავისებურებები იგულისხმება ერთობლივ დანაშაულებრივ ქმედებაში. მონაწილეობის ხარისხი რაოდენობრივი მაჩვენებელია და იგი პირის აქტიურობის ზომას, მისი მონაწილეობის ინტენსიურობასა და ეფექტურობას ასახავს, როგორც დანაშაულის მომზადებაში, ასევე დანაშაულებრივი შედეგის მიღწევაში. დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი, სამართლიანად აღინიშნება იურიდიულ ლიტერატურაში, რომ არსებითი ზომით განისაზღვრება მოქმედების იმ ხასიათით, რომელსაც ესა თუ ის პირი ასრულებს დანაშაულის ჩადენაში.⁸ ამ თვალსაზრისით, დანაშაულის ორგანიზატორის ინტენსიურობა და მასადადამე, მისი მონაწილეობის ხარისხი უფრო მაღალია ვიდრე, მაგალითად, დანაშაულის დამხმარის, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, აიოლებს მის განხორციელებას. ამიტომ, თუ სხვა პირობები თანაბარია – ორგანიზატორი, როგორც წესი, უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე დამხმარე.

ამასთან, მონაწილეობის ხარისხი ასახავს არა მხოლოდ იმ მოქმედებების ინტენსიურობას, რომლებიც დანაშაულში მონაწილეობის ხასიათით განსხვავდებიან, არამედ ინტენსიურობას ცალკეული თანამონაწილეების მოქმედებების, რომლებიც ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში ერთი და იგივე ხასიათის ფუნქციებს ასრულებენ. ავილოთ, მაგალითად, შემთხვევა, სადაც მკვლელობის დამხმარის როლი გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ მან ურჩია ამსრულებელს, თუ სად და როდის უკეთესია მსხვერპლისათვის ჩასაფრება და შემთხვევა, სადაც დამხმარის მოქმედება გარდა აღნიშნული ხელშეწყობისა გამოიხატა მკვლელობის ჩასაღწევად იარაღის მიცემაში, დაბრკოლებათა აცილებაში, წინასწარ შეპირებაში, რომ მისცემდა ამსრულებელს თავშესაფარს და ა.შ. ორივე შემთხვევაში მოქმედებების ხასიათი ერთგვაროვანია. შესრულებული მოქმედებები ფუნქციური თვალსაზრისით, დამხმარის მოქმედების სფეროს მიეკუთვნება, თუმცა, სხვადასხვაგვარია მათი დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი. ამასთან, დამხმარის ინტენსიურობა, ანუ მისი მონაწილეობის ხარისხი, რაც არ უნდა დიდი იყოს, ის არ შეიძლება ორგანიზატორად გადაიქცეს. ამისათვის უკვე აუცილებელია ასეთმა პირმა შეცვალოს მოქმედების ხასიათი. მან ორგანიზება უნდა გაუკეთოს ან უხელმძღვანელოს თანამონაწილეთა მოქმედებებს.

მაშასადამე, დანაშაულში მონაწილეობის ხარისხით ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ, არა მხოლოდ ის თანამონაწილეები, რომლებიც სხვადასხვა სახელის მქონე – ამსრულებლის, ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის ფუნქციებს ასრულებენ, არამედ ისინიც, რომლებიც ერთი და იგივე სახელის მქონე ფუნქციებს ასრულებენ. ისევე, როგორც თანამსრულებლობის დროს შეიძლება თითოეული ამსრულებლის მონაწილეობის ხარისხი განსხვავდებოდეს, ზუსტად ასევე, შეიძლება განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან მონაწილეობის ხარისხი იმ დამხმარეების, ან წამქეზებლების, რომლებიც ხელს უწყობენ ან აქეზებენ ერთი და იგივე დანაშაულის ჩასადენად.

როგორც უკვე ვთქვით, დანაშაულში მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია და მონაწილეობის ხარისხი არსებითი ზომით განისაზღვრება დანაშაულში მონაწილეობის ხასიათით. ამ მხრივ, დანაშაულის ორგანიზატორის მოქმედებას ამსრულებლის მსგავსად, ხშირად განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში და შედეგის მიღწევაში. ერთობლივ ქმედებაში დანაშაულის ორგანიზატორს დომინირებული ფუნქცია უკავია. პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ 'ორგანიზატორი, რაც უფრო გამჭრიახი, ლონიერი და მიზანსწრაფულია, მით უფრო ეფექტურია თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს მიღწეული შედეგი. ზოგადად, ორგანიზატორს სხვა თანამონაწილეებთან შედარებით და განსაკუთრებით დამხმარის ფიგურასთან შედარებით, დანაშაულში მონაწილეობის გათვალისწინებით, პრევალირებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. ამიტომ, ამსრულებლის მსგავსად, მართალია ორგანიზატორი უშუალოდ (არ კლავს, არ ძარცვავს და ა. შ.) არ სჩადის დანაშაულს, მაგრამ იგი ამსრულებლის თანაბრად, რიგ შემთხვევებში კი, მასზე მკაცრადაც შეიძლება დაისაჯოს.

წამქეზებლის მოქმედების ხასიათიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალია მისი მონაწილეობის ხარისხი. წამქეზებელი დანაშაულის განხორციელების ინიციატორი და მისი იდეური სულისჩამდგმელია. შესაბამისად, მისი მონაწილეობის ხარისხიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დამხმარისა. დანაშაულის წამქეზებლის სასჯელიც სხვა თანაბარი პირობების არსებობისას შესაძლებელია გაუთანაბრდეს ამსრულებლის სასჯელს.

ყველაზე ნაკლებ როლს დანაშაულის ჩადენაში, როგორც წესი, დამხმარე ასრულებს, იგი წამქეზებლის მსგავსად, არ არის დანაშაულის სულისჩამდგმელი, არამედ მხოლოდ ხელს უწყობს მის განხორციელებას, უიოლებს თანამზრახველებს დასახული მიზნის მიღწევას. ამიტომ, სწორად უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ლიტერატურაში ერთობ მყარად გაბატონებული პოზიცია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა გარემოებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სასჯელის განსაზღვრაზე – თანაბარია და სასჯელის ზომის სხვაობა დანაშაულში შესრულებული ხასიათით და ხარისხით უნდა განისაზღვროს. ამ შემთხვევაში, დანაშაულის დამხმარეს ნაკლებად მკაცრი სასჯელი უნდა დაენიშნოს, ვიდრე დანარჩენ თანამონაწილეებს.⁹

აღნიშნულ თვალსაზრისს, არსებითად ადასტურებს სასამართლო პრაქტიკის შესწავლაც. ჩვენს მიერ განზრახ მკვლევლობის სისხლის სამართლის საქმეთა შერჩევითი შესწავლისას, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც დამხმარის მოქმედების კვალიფიკაცია ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციას ემთხვევა და ამასთან, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები მოცემული ამსრულებლის და დამხმარის მხარეს მეტნაკლებად თანაბარია, ამსრულებელისათვის დანიშნულის სასჯელის სახე ვადიანი თავისუფლების აღკვეთა საშუალოდ 3-4 წლით აღემატება დამხმარის სასჯელის ზომას.

დანაშაულის დამხმარის მიმართ შედარებით მკაცრი სასჯელის დანიშვნა გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როდესაც დამხმარე თავისი პირადი თვისებებით უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებს, ვთქვათ, არის წარსულში არაერთჯერ ნასამართლევია, ან როდესაც ამსრულებლის მხარეს მოცემულია იმდენად მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც სასამართლოს სასჯელის დანიშვნის დროს აიძულებს ძირითადი ყურადღება გადაიტანოს არა თვით მოქმედების ხასიათზე, არამედ დამნაშავის პიროვნებაზე. თუ დავუშვათ, დანაშაულის ამსრულებელი არის არასრულწლოვანი, რომელიც უფროსი დამხმარის გარკვეული ზეგავლენის ქვეშ მოექცა, ასეთ პირობებში შესაძლებელია სასამართლომ შედარებით მსუბუქი სასჯელი დაუნიშნოს არასრულწლოვან ამსრულებელს. მაგრამ, თუ დანაშაულში დახმარების დროს ამსრულებლის მხარეზე მოცემულია ისეთი პირადი შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც თავისი არსით პრინციპულ ზეგავლენას ვერ ახდენს სასჯელის ზომის განსაზღვრაზე, მაგალითად, როგორებიცაა დადებითი დახასიათების არსებობა, გარკვეული ნახალისება, კმაყოფაზე ყოფნა და ა.შ. ასეთ გარემოებათა არსებობისას, ვინაიდან ამსრულებელი უშუალოდ ჩადის დანაშაულს და მაშასადამე, მისი მოქმედება უფრო ქმედით პირობას წარმოადგენს დანაშაულის ჩასადენად, სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ ასეთ შემთხვევაში ამსრულებელს უფრო მკაცრი სასჯელი დაენიშნოს, ვიდრე დამხმარეს.

ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი წესი არ შეიძლება დოგმად ვაქციოთ. ვინაიდან, იშვიათად, თუმცა მაინც, დამხმარის დანაშაულში ფაქტობრივი ხელშეწყობა და მისი მონაწილეობის ინტენსიურობის ხარისხი ზოგჯერ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი დანაშაულის მიზნის მიღწევის გზაზე არ ჩამორჩება დანაშაულის ამსრულებლის თუ სხვა თანამონაწილეთა მოქმედებების ხარისხს. ასეთი ვითარება განსაკუთრებით მაშინ შეინიშნება, როდესაც დამხმარის მოქმედება დროისა და ადგილის მიხედვით ამსრულებლის მოქმედებას ემთხვევა და მისი ხელშეწყობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს დანაშაულის ჩასადენად. ამგვარ შემთხვევებში, სასამართლო ზოგჯერ მნიშვნელოვნად უახლოებს ერთმანეთს ამსრულებლის და დამხმარის სასჯელის ზომას, ხოლო ზოგჯერ, კიდევაც ათანაბრებს მათ.

პირველი მათგანის დასადასტურებლად შესაძლებელია მივუთითოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმე ს. კვარაცხელიას, ჯ. სახოკიას, მ. სახოკიას და სხვათა მიმართ. სადაც დამხმარეებმა ჯ. სახოკიამ, მ. სახოკიამ და სხვა პირებმა, რომლებიც ურიკაზე მოთავსებულ მსხვერპლს გარს შემოერტყნენ, ადგილზე მისულ პოლიციის მუშაკებს, მსხვერპლის დახსნას რომ ცდილობდნენ, გაუჩინეს მედგარი წინააღმდეგობა. ამით, ამსრულებელ ს. კვარაცხელიას ააცილეს დაბრკოლება, ამ უკანასკნელს მისცეს საშუალება დანის გამოყენებით ჩაედინა მკვლელობა. სასამართლომ ამსრულებელს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუნიშნა, ხოლო დამხმარეებს – 10-10 წლით.

რაც შეეხება ამსრულებლის და დამხმარის სასჯელის გათანაბრების საკითხს, ეს გარემოება იშვიათად, თუმცა, მაინც შეინიშნება საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში, სადაც დამხმარე თავისი ფაქტობრივი მონაწილეობის მიხედვით, არსებით როლს ასრულებს დანაშაულის ჩადენაში. ჩვენს მიერ 7 წლის წინათ შესწავლილი იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ხელშეწყობის აღმოჩენის 12 ფაქტი. ძირითადად, მათი შინაარსი შემდეგი სახის იყო: დანაშაულის ამსრულებელი, რომელსაც არ ჰქონდა პასპორტი, წინასწარ უთანხმდებოდა სარფის საბაჟო საკონტროლო გამშვები პუნქტისაკენ მომავალი ავტობუსის მძღოლს, რომ მას, გარკ-

ვეული თანხის საფასურად, დაემალა მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტობუსის სალონში ან წინასწარ მონყობილ საიდუმლო სათავსოში და ამ გზით უკანონოდ გადაეყვანა სახელმწიფოს საზღვარზე. ამგვარი შინაარსის 12 სისხლის სამართლის საქმიდან სასამართლომ სამ შემთხვევაში, ამსრულე-ბელსაც და დამხმარე-მძღოლსაც შეუფარდა ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ერთ შემთხვევაში – ერთი წლით და ექვსი თვით. ამასთან, სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას დამხმარესთან მიმართებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „მისი მოქმედება არის ერთ-ერთი ეფექტური პირობა, რომელიც დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხარისხით არ ჩამორჩება ამსრულებლის მოქმედებას“¹⁰ მაშასადამე, სასამართლომ გაითვალისწინა ამსრულებლის და დამხმარის დანაშაულში მონაწილეობის შეფარდებითი ხარისხი, ასევე, დამხმარის ხელშეწყობის ფაქტობრივი მნიშვნელობა დანაშაულის ჩასადენად, დამხმარესაც სასჯელის იგივე ზომა დაუნიშნა, რაც დანაშაულის ამსრულებელს.

ამრიგად, დასკვნა, რომ დამხმარეს უფრო ნაკლებად მკაცრი სასჯელი უნდა დაენიშნოს ვიდრე სხვა თანამონაწილეებს, ასეთი დასკვნა არ შეიძლება ყოველთვის გაკეთდეს მხოლოდ ფორმალურად დანაშაულში შესრულებული მოქმედების ხასიათის გათვალისწინების საფუძველზე. მოქმედი კანონმდებლობის დადგენილება, რომელიც არ ავალდებულებს სასამართლოს ყველა თანამონაწილეს ერთნაირი სასჯელის ზომა დაუნიშნოს ან დაუნიშნოს ერთ თანამონაწილეს უფრო მკაცრი, ვიდრე მეორეს, მათ მიერ შესრულებული მოქმედების ხასიათზე დამოკიდებულებაში, პრინციპში სწორად უნდა ჩაითვალოს. ვინაიდან იგი სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას ცალკეულ შემთხვევებში, თავი დააღწიოს ფორმალურ მიდგომას თანამონაწილეთა მოქმედებების შეფასებაში და მთელი მოცულობით გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნისას მისი ფაქტობრივი როლი მოცემული დანაშაულის ჩადენაში, რეალური მნიშვნელობა მოქმედებისა სხვა თანამონაწილეთა მოქმედებებისათვის და დანაშაულეობრივი შედეგის მიღწევისათვის.

ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სასამართლო თანამონაწილეთა დასჯისას საბოლოო დასკვნას არა მხოლოდ დანაშაულში ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის საფუძველზე აკეთებს, არამედ შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების საფუძველზეც, რომელიც არა მარტო ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შეეხება, არამედ დანაშაულში მონაწილე პირებსაც. ამ კრიტერიუმთა გამოყენებამ ცხადია, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება.

თანამონაწილეთა მიმართ სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმებზე მსჯელობისას აქვე უნდა შევჩერდეთ საკმაო მნიშვნელობის მქონე ერთ საინტერესო ფაქტზე, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში განხორციელებული ცვლილებების ტენდენციას შეეხება. კერძოდ, ეს უკავშირდება კონკრეტული დანაშაულებისათვის სანქციით განსაზღვრული სასჯელების ზომის შევიწროებას, ანუ სასჯელის მინიმალური ზომის მალა აწევას და მაქსიმალურის დაბლა დაწევას. ასეთი მიდგომა, სადაც ხშირ შემთხვევებში, სასჯელის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს შორის არის განსხვავება ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, არც თუ იშვიათად, ხელს უშლის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარებას. ნიმუშისათვის ავიღოთ მოქმედი სსკ-ის 137 მუხლის (გაუპატიურება) პირველი ნაწილი, რომელიც სასჯელის ზომად ითვალისწინებს 4 დან 6-წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სასამართლომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელებისას შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით ამსრულებელს, ვთქვათ, შეუფარდა 5 წელი. მაგრამ იბადება კითხვა: რამდენი წელი უნდა შეუფარდოს სასამართლომ დამხმარეს? რომლის ხელშეწყობაც გამოიხატა მხოლოდ

რჩევის მიცემაში, თუ როგორ მიეტყუებინა შერჩეული მსხვერპლი თავის ბინაში. ამასთან, წარმოვიდგინოთ, რომ დამხმარის მხარეზე არის არაერთი შემამსუბუქებელი და არც ერთი დამამძიმებელი გარემოება. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია სასჯელის მინიმალურ ვადად განუსაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის ასეთი დანიშვნა, ვფიქრობთ, რომ არ იქნება სამართლიანი. ჩვეულებრივ პირობებში, როცა თანაბარია ამსრულებლის და დამხმარის მხარეზე არსებული პირადი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, შესრულებული როლის გათვალისწინებით, მოცემული სასჯელის ზომაში განსხვავება უნდა იყოს მინიმუმ ერთი წლის ვადით. აქედან გამომდინარე, სასამართლოს არ ეძლევა შესაძლებლობა გაითვალისწინოს სხვა პირადი შემამსუბუქებელი გარემოებები და ამის მიხედვით, რეალურად განხორციელოს სასჯელის ინდივიდუალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 57-ე მუხლში, სადაც თანამონაწილეობისათვის სასჯელის დანიშვნის სპეციალური კრიტერიუმებია დადგენილი, მესამე ნაწილში ჩამოყალიბებულიყო ნორმა, რომელიც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას მსგავს შემთხვევებში, დამხმარისათვის უფრო ნაკლები სასჯელი შეეფარდებინა. ეს ნორმა შეიძლება ასეთი სახით ჩამოყალიბდეს: „სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით თავისუფლების აღკვეთის სახით განსაზღვრული სასჯელის მინიმალური ზღვარი, დამხმარესთან მიმართებაში შეიძლება შემცირდეს ორი წლის ვადით, მაგრამ არანაკლებ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილით სასჯელის მოცემული სახისათვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარისა.“ ვფიქრობთ, ასეთი მითითება ხელს შეუწყობს სასამართლოს განახორციელოს სასჯელის რეალური ინდივიდუალიზაცია, როგორც ფაქტობრივად განხორციელებული ობიექტური როლის მიხედვით ასევე, პერსონალური შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინებით.

შენიშვნები:

- ¹ П. И. Гришаев, Г. А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, ст. 184; В. С. Прохоров, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, Дис. на соискание ученой степени к. ю. н. Л., 1962, ст. 292.
- ² Уголовное законодательство зарубежных стран, (Ашлии, США, Франции, Германии, Японии) Под ред. И. Д. Козачкина, М., 1999, ст. 258.
- ³ იქვე, გვ. 197.
- ⁴ იქვე, გვ. 344.
- ⁵ აღნიშნული საკითხების გარშემო სწორად მსჯელობენ პ. ტელნოვი, პ. გრიშაევი, გ. კრიგერი. იხ.: П. Ф. Тельнов, Ответственность за соучастие в преступлении, М., 1978, ст.58; П. И. Гришаев, Г. А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, ст. 170-171.
- ⁶ იხ.: ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, სასჯელი, ლექციების კურსი, თბ., 2001, გვ. 36-53.
- ⁷ ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ, ა. მახარაძე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბ., 2006, გვ. 229-252; ო. გამყრელიძე, დანაშაულის შეაღობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 165-171.
- ⁸ П. И. Гришаев, Г. А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, ст. 189; В. С. Прохоров, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, Дисертация на соискание ученой степени к. ю. н. Л., 1962, ст. 312; У. С. Джекебаев, Л. М. Вайеберг, Р. П. Суданова, Соучастие в преступлении, Алма-Ата, 1981, ст. 115-116 и др.
- ⁹ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 229-231; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია, თბ., 2004, გვ. 304; М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, ст. 153-154 и др.
- ¹⁰ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს არქივი, 1998, საქმე №1-13.

THE PUNISHMENT INDIVIDUALIZATION MATTER IN COMMITTING CRIME WITH ACCEESSARY

ADAM MAKHARADZE

Full Professor of Rustaveli State University

The article deals with analyses of accessarial punishment individualization matter of executor, organizer, instigator, and helpmate in accessarial crime. The author reviews penal legislation of different countries, which anticipating accessory sometimes establish reduction of compulsory or facultative punishment. On the other hand, independently from accessarial nature establish equal punishment based on common initial directions.

The article also deals with general or special criterions based on current Georgian Criminal Code, which impact punishment individualization of accessory. The author discusses factual participation nature and quality, personal or non-personal signs existed on accessory's side, that influence on other accessory's responsibility and on defining individualization process.

ფულის გათეთრება ოფშორული ზონების გამოყენების გზით

ენიო ოსაძე

ჰამბურგის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი,
თელავის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

ოფშორული ცენტრების ზოგადი მიმოხილვა

ბანკები ან სხვა ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ახორციელებენ ოფშორულ ოპერაციებს, გათავისუფლებულნი არიან იმ ფართო სპექტრის რეგულაციებისაგან, რომელიც თან სდევს ქვეყნის შიგნით არსებულ ფინანსურ ინსტიტუტებს. ოფშორული ბანკების მიერ განხორციელებული ტრანზაქციები, როგორც წესი, თავისუფალია გადასახადებისაგან, ამავდროულად, ოფშორული ბანკები თავიდან იცილებენ ყოველგვარ დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც კაპიტალის ფინანსურ ბრუნვას თუ უძრავი ქონების ფლობას ახლავს. ასევე, ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, თავისუფლდებიან მარეგულირებელი ორგანოების მიერ კაპიტალზე დაწესებული კონტროლისა და ლიკვიდაციისაგან.

არსებობს მოსაზრება, რომ ოფშორულ ცენტრებს პირველად საფუძველი ჩაეყარა მაშინ, როდესაც აშშ-სგან შეშინებულმა საბჭოთა კავშირმა, რომ არ გაყინულიყო მისი ქონება, დაიწყო ბრიტანულ ბანკებში თავისი ანაბრების დაბანდება დოლარის ვალუტაში, რის შედეგადაც გრძელვადიანი ანაბრების (უცხოურ ვალუტაში) შენახვის წინაპირობა „ცივი ომი“ გახდა. ომის შედეგად ის ბანკები, რომლებსაც ჰქონდათ საბჭოთა კავშირის მიერ მიღებული ანაბრები, არ გათავისუფლდნენ გადასახადებისა და ფულის ტრანზაქციასთან დაკავშირებული მოთხოვნებისაგან.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოფშორული ბანკების ისტორიას დიდ ბრიტანეთში დაედო საფუძველი.¹

აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ ოფშორული ბანკების აღზევების ხანა დაიწყო 1970-1980 წლებში. 1960 წელს, აშშ-მა მის ბანკებზე კაპიტალის კონტროლი დააწესა, მაშინ როცა უმეტესი ბანკები არღვევდნენ მათთვის დადგენილ წესებს და ახდენდნენ სხვადასხვა საფინანსო სისტე- მიდან იზოლირებას. ამავე წელს ინვესტორების მოსაზიდად ბანკებმა დაიწყეს გრძელვადიანი ანაბრების გაცემა, რამაც ხელი შეუწყო პირდაპირ კონკურენციას კერძო კორპორაციებსა და ხელისუფლებას შორის. 1970 წელს, დასავლეთის უმრავლესმა ბანკებმა სესხის გაცემა სხვა- დასხვა სუვერენულ სახელმწიფოებზე დაიწყეს, რომლებიც საჭიროებდნენ სესხებს საზღვარ- გარეთ, რაც თავისთავად, ამ უკანასკნელთა აქტიურ მონაწილეობას გულისხმობდა ოფშორულ ცენტრებში.²

დღევანდელ პერიოდში დაწესებულმა სხვადასხვა მოთხოვნებმა თუ კანონებმა, ოფშორულ ცენტრებზე ნაწილობრივ იქონია ზეგავლენა. კანონმდებლობისა თუ სხვა მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების თანახმად, მათ უნდა შეინარჩუნონ თავიანთი მნიშვნელობა, მაგრამ უნდა გახდნენ გამჭვირვალენი, რათა აღმოიფხვრას ყოველგვარი საბანკო მაქინაციები. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ამგვარი ცენტრების ჩამოყალიბებას მხოლოდ კრიმინალური საფუძველი არ უდევს, მაგალითად, ეკონომიკურად დასუსტებული ე.წ. ღარიბი ქვეყნები აღნიშნულ ფინანსურ ცენტრებს აყალიბებენ, რათა მოიზიდონ ინვესტორები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ინტერესმოკლებული არ იქნება ყურადღება შევაჩეროთ, თუ რატომ ხდება კრიმინალური სამყაროს მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის უდიდესი ნაწილის ოფშორულ ცენტრებში დაბანდება მისი გათეთრების მიზნით, კერძოდ:

- ოფშორული ცენტრები კლიენტს სთავაზობს ე.წ. „თავისუფლება, მომსახურება და შესაძ- ლებლობას“ (freedom, service and opportunity). თავისუფლებაში იგულისხმება გადასახა- დებისაგან თავისუფლება; თავისუფლება სარეზერვო აქტივების თანაფარდობის მოთხოვ- ნისაგან; თავისუფლება ინფორმაციის გამოაშკარავებისაგან; მომსახურება გულისხმობს კლიენტის პერსონალურ და კორპორატიულ მომსახურებას; ოფშორული კაპიტალის მენეჯმენტსა და გლობალურ მეურვეობა-მზრუნველობას.
- ინდივიდუალური მენარმეები თუ ტრანსნაციონალური კორპორაციები ოფშორულ ზონებს იყენებენ, როგორც თავიანთი კონფიდენციალობისა და ბიზნეს გარემოში კონკურენტ- უნარიანობის შესანარჩუნებლად.
- ოფშორულ ცენტრებს აქვთ „მოძრავი ანგარიში“. ხშირ შემთხვევაში კრიმინალები ანგა- რიშს ერთ იურისდიქციაში მყოფ ბანკში ხსნიან, მაგრამ საბანკო ოპერაციას სხვა იურის- დიქციაში ახორციელებენ. კერძოდ კი, ერთი იურისდიქციის ბანკში ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, ხდება მეორე ბანკის გაფრთხილება, რათა ამ უკანასკნელმა ტრანსფერი განახორციელოს სხვა იურისდიქციის ბანკში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული „მოძრავი ანგარიში“ სამართალდამცავებს დიდ პრობლემას უქმნის ე.წ. შავი ფულის კონფისკაცი- ისას.
- უმეტესი ოფშორული ცენტრები პირდაპირ კავშირში იმყოფებიან კაზინოებთან. კერძოდ კი, აღნიშნული კავშირის მეშვეობით, ფულის გათეთრება ხდება შემდეგი სქემით: ფულის

გათეთრების მესვეურები გასათეთრებელი ფულით ყიდულობენ სათამაშო ჩიპებს და თამაშობენ კაზინოში. შემდგომ აბრუნებენ ჩიპებს და იღებენ ქვითარს, რითიც მიდიან რომელიმე ბანკში მოგებული თანხის გასანაღებლად. აღნიშნული პროცესის დროს, არავინ ინტერესდება თუ საიდან გაჩნდა გასათეთრებელი ფული, რომელიც საბოლოოდ, მოგებულ თანხად უბრუნდებათ.

- ოფშორულ ცენტრებს მჭიდრო კავშირი აქვთ ე.წ. ხელშემწყობ აგენტებთან რომლებიც შუამავლობენ კლიენტებთან. ხელშემწყობი აგენტების შეთავაზება ითვალისწინებს ფინანსურ კონსულტაციებს/რჩევებს და კლიენტის დარწმუნებას ფინანსური ცენტრით სარგებლობის უპირატესობაში.

არსებობს უამრავი ე.წ. იატაკქვეშა საბანკო სისტემა (Underground banking system), რომელიც თავის მხრივ, კომპლექსური ოფშორული ზონაა. ასეთი ტიპის ბანკებია ჩინური „Chip system“ ან „Chop system“, პაკისტანურ-ინდური „Hundi system“ იგივე „Hawalah system“. აღნიშნული სისტემებით კლიენტის კაპიტალის ტრანზაქცია ხდება ტელეფონის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ისეთი სახის სიმდიდრე, როგორცაა ოქრო და ძვირფასი ქვები ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადადის ყოველგვარი სავალდებულო ფინანსური დოკუმენტაციის გარეშე. იქიდან გამომდინარე, რომ ე.წ. იატაკქვეშა საბანკო სისტემა ფინანსურ ტრანზაქციას ახორციელებს საერთაშორისო ქსელის (Network) მეშვეობით, სამართალდამცავი ორგანოები ვერ უწევენ კონტროლს აღნიშნულ პროცესს, რაც თავის მხრივ, აადვილებს კრიმინალების მიერ ფულის გათეთრების შესაძლებლობას.³

გადახდის ახალი მეთოდების ოფშორული უზრუნველყოფა

პოტენციური რისკ-ფაქტორი, რომელიც შეიძლება საერთო იყოს გადახდის ახალი მეთოდების ყველა სახისათვის, არის იურისდიქცია. ზოგ შემთხვევაში, გადახდის ახალი მეთოდების შემქმნელები ან მომსახურების მიმწოდებლები შეიძლება იმყოფებოდნენ ოფშორულ ფინანსურ ცენტრში, სადაც როგორც აღვნიშნეთ, კანონებისა და ნორმატიული აქტების ნაკლებად საიმედო სისტემებია. ამასთან, პროცესები, რომლებიც გადახდის ახალ მეთოდებთანაა დაკავშირებული, ხშირად რამდენიმე ისეთ იურისდიქციას გაივლის, რომელთა გავლენითაც უფრო კომპლექსური პროდუქტი იქმნება. რამდენიმე იურისდიქციის მონაწილეობა ქმნის ტრანზაქციების დაფარვას, რომელიც თავის მხრივ, ართულებს გადახდის ახალი მეთოდების ზედამხედველობის ეფექტიანობას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. როდესაც გადახდის ახალი მეთოდები ინტერნეტით ვრცელდება, იურისდიქციასთან დაკავშირებული პრობლემები მატულობს. კერძოდ, თუ რომელ იურისდიქციებს მიეკუთვნებიან მომსახურების პროვაიდერები, სად არიან ისინი ჩართულები, ხელისუფლების რომელი ორგანოები აგებენ პასუხს მათ კონტროლზე და ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის რომელი რეჟიმი გამოიყენება მათ წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი იმ იურისდიქციისათვის, სადაც რიგითი კლიენტებისათვის გადახდის ახალი მეთოდების გამოყენება დაშვებულია, განსაკუთრებით რთული ხდება აღნიშნულ უკანონო ქმედებებში ჩარევა და მათი შეჩერება. პრობლემის ნათლად წარმოჩენისათვის, წარმოგიდგინთ გადახდის ახალი მეთოდების სქემას.

ა) გადახდის ახალი მეთოდების რისკები ფულის გათეთრებისას⁴

გადახდის მეთოდი	პოტენციური რისკ-ფაქტორები	მიმდინარე და პოტენციური რისკების შემამცირებლები
<p>წინასწარი გადახდის ბარათები: ღია სისტემა (Prepaid cards: open-system)</p>	<ul style="list-style-type: none"> ■ ბარათის ანონიმური მფლობელი; ■ ანონიმური დაფინანსება (შემოდინება) და თანხების ანონიმური გატანა (გადინება); ■ საბარათე თანხის მაღალი ლიმიტი და/ან არალიმიტირებული ბარათების რაოდენობა, რომელიც კერძო პირს შეუძლია შეიძინოს; ■ ნაღდი ფულის გატანა ყველა ბანკომატიდან; ■ ოფშორულმა ემიტენტებმა ყველა იურისდიქციაში შესაძლოა კანონები არ დაიცვან. 	<ul style="list-style-type: none"> ■ ბარათის მფლობელის იდენტიფიკაცია; ■ დაფინანსების შეზღუდვის ვარიანტები; ■ ბარათის შევსების ლიმიტი და/ან ბარათების რაოდენობა, რომელიც კერძო პირს შეუძლია შეიძინოს; ■ ერთი ტრანზაქციის ლიმიტირება; ■ ნაღდი ფულის საზღვარგარეთ ალების შეზღუდვა; ■ ტრანზაქციების მონიტორინგი და საეჭვო აქტივობების შესახებ ანგარიშების წარმოდგენა; ■ ბარათის/ანგარიშის დაბლოკვა; ■ არასასურველი მოვარჯიშების ქსელისა და ბანკომატების მიმწოდებლების/ქსელის შეზღუდვა
<p>წინასწარი გადახდის ბარათები: დახურული სისტემა (Prepaid cards: closed-system)</p>	<ul style="list-style-type: none"> ■ ბარათის ანონიმური მფლობელი; ■ ანონიმური დაფინანსება; ■ საბარათე თანხის მაღალი ლიმიტი; ■ ნაღდი ფულის მასის ჩანაცვლება; ■ არალიმიტირებული ბარათების რაოდენობა, რომელიც კერძო პირს შეუძლია შეიძინოს. 	<ul style="list-style-type: none"> ■ ბარათის მფლობელის იდენტიფიკაცია; ■ ბარათის შევსების ლიმიტი და/ან ბარათების რაოდენობა, რომელიც კერძო პირს შეუძლია შეიძინოს; ■ დაფინანსების შეზღუდვის ვარიანტები; ■ ტრანზაქციების მონიტორინგი და საეჭვო აქტივობების შესახებ ანგარიშების წარმოდგენა; ■ პირდაპირ ბანკომატიდან ნაღდი ფული მოხსნის შეზღუდვა; ■ ბარათის/ანგარიშის დაბლოკვა.
<p>ელექტრონული საფულე (Electronic Purse)</p>	<ul style="list-style-type: none"> ■ ბარათის ანონიმური მფლობელი ■ ანონიმური დაფინანსება და თანხების ანონიმურად მიღება ■ საბარათე თანხის მაღალი ლიმიტი ■ ტრანზაქციის შესახებ ჩანაწერების არარსებობა 	<ul style="list-style-type: none"> ■ ბარათის მფლობელის იდენტიფიკაცია; ■ ბარათიდან ბარათზე გადარიცხვის შესაძლებლობის არარსებობა; ■ დახარჯული/შენახული ფულის რაოდენობის შეზღუდვა;

		<ul style="list-style-type: none"> ■ საზღვარგარეთ ფუნქციონირების შეზღუდვა; ■ დაფინანსების შეზღუდვის ვარიანტები; ■ ტრანზაქციების მონიტორინგი და საექვო აქტივობების შესახებ ანგარიშების წარმოდგენა; ■ ბარათის/ანგარიშის დაბლოკვა;
მობილურით გადახდები (Mobile payments)	<ul style="list-style-type: none"> ■ ანონიმური ანგარიშები; ■ ანონიმური დაფინანსება და თანხების ანონიმურად მიღება; ■ მაღალი ან არარსებული ანგარიშის დაფინანსების შეზღუდვა. 	<ul style="list-style-type: none"> ■ ანგარიშის მფლობელების იდენტიფიკაცია ტელეფონების, როგორც საბანკო ან საკრედიტო ბარათის ანგარიშთან დამაკავშირებელი მოწყობილობის, გამოყენებისას ან სატელეფონო კომპანიის მიერ ტელეფონის მფლობელის იდენტიფიკაცია; ■ საზღვარგარეთ ფუნქციონირების შეზღუდვა ■ ანგარიშის ან ტრანზაქციის თანხის შეზღუდვა; ■ დაფინანსების შეზღუდვის ვარიანტები; ■ ტრანზაქციების მონიტორინგი და საექვო აქტივობების შესახებ ანგარიშების წარმოდგენა; ■ ბარათის/ანგარიშის დაბლოკვა; ■ ქსელის გამოყენების შეზღუდვა.
ძვირფასი ლითონები (Precious metals)	<ul style="list-style-type: none"> ■ ანონიმური ანგარიშები; ■ ანონიმური დაფინანსება და თანხების ანონიმურად მიღება; ■ ოფშორული მომსახურების პროვაიდერებმა სხვა იურისდიქციებში შეიძლება კანონები არ დაიცვან. 	<ul style="list-style-type: none"> ■ ანგარიშის მფლობელის იდენტიფიკაცია; ■ გადამხდელისა და მიმღების მიერ ტრანზაქციის შესახებ ჩანაწერების შენახვა; ■ ტრანზაქციების მონიტორინგი და საექვო აქტივობების შესახებ ანგარიშების წარმოდგენა; ■ ბარათის/ანგარიშის დაბლოკვა; ■ მომსახურების მიღების შეზღუდვა.
ინტერნეტით გადახდის სისტემები (Internet payment system)	<ul style="list-style-type: none"> ■ ანონიმური ანგარიშები; ■ ანონიმური დაფინანსება და თანხების ანონიმურად მიღება (ბანკომატით); ■ მაღალი ან არარსებული ანგარიშის დაფინანსების შეზღუდვა; 	<ul style="list-style-type: none"> ■ ანგარიშის მფლობელის იდენტიფიკაცია; ■ გადამხდელისა და მიმღების მიერ ტრანზაქციის შესახებ ჩანაწერების შენახვა; ■ ტრანზაქციების მონიტორინგი და საექვო აქტივობების შესახებ ანგარიშების წარმოდგენა;

	<ul style="list-style-type: none"> ■ ოფშორული მომსახურების პროვაიდერებმა სხვა იურისდიქციებში შეიძლება კანონები არ დაიცვან. 	<ul style="list-style-type: none"> ■ დაფინანსების შეზღუდვის ვარიანტები; ■ ბარათის/ანგარიშის დაბლოკვა; ■ მომსახურების მიღების შეზღუდვა.
--	---	---

ხელისუფლების ორგანოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა შესაძლოა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აღმოჩნდეს ამ სიტუაციების გადაწყვეტისათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც ინფორმაციის გაცვლის ეფექტური და ქმედითი სისტემები არსებობს. ამასთან დაკავშირებით, გერმანიის მიერ 2003 წლის ბოლოს ბერლინში ჩატარებულ ASEM-ის სიმპოზიუმზე შემოთავაზებული იქნა „ადრეული გაფრთხილებისა და ინფორმაციის გაზიარების სისტემა.“⁵

ადრეული გაფრთხილებისა და ინფორმაციის გაზიარების სისტემა

ოფშორული ცენტრებისა და გადახდის სერვისების ემიტენტები, რომლებიც ე.წ. ხელშემწყობი აგენტების ან ინტერნეტის საშუალებით მოქმედებენ, ყოველთვის როდი იცავენ კანონს იმ ქვეყნებში, სადაც თავიანთი ბიზნესის განვითარება სურთ. 2003 წლის ოქტომბერში, ბერლინში ჩატარებულ ASEM-ის სიმპოზიუმზე გერმანიამ წარმოადგინა „ადრეული გაფრთხილებისა და ინფორმაციის გაზიარების სისტემა“ ფულის გადარიცხვის ალტერნატიული სისტემებისა და იატაკქვეშა საბანკო საქმიანობის კონტექსტში, იურისდიქციებს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის გასააქტიურებლად. ASEM-ის⁶ ექსპერტები „შეთანხმდნენ, რომ ASEM-ის ყოველ ქვეყანაში სამართალდამცავი ან საზედამხედველო ორგანოსაგან, ანუ ფინანსური დაზვერვის სამსახურისაგან (FIU) კოორდინაციის გააქტიურების მიზნით, საკონტაქტო პუნქტი შეექმნათ, რაც მოიცავს ინფორმაციის გაცვლას და, შეძლებისდაგვარად, ერთობლივი ღონისძიებების გატარებას შესაბამის ადგილობრივ და უცხოური ხელისუფლების ორგანოებს შორის უკანონო საქმიანობის ან ბოროტმოქმედების ჩადენის თავიდან ასაცილებლად. ASEM-ის ქვეყნების ექსპერტები ასევე, შეთანხმდნენ, რომ ადრეული გაფრთხილების ასეთი სისტემა ხელს შეუწყობს უკანონო საერთაშორისო ტრანზაქციების ჩაშლას ერთდროულად ყველა დაზარალებულ ქვეყანაში და საშუალებას მისცემს სამართალდამცავ და საზედამხედველო ორგანოებს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში აუცილებელი კოორდინირებული მუშაობა განახორციელონ. ექსპერტები მიესალმნენ სხვა ქვეყნების ამ პროცესში მონაწილეობას.“⁷

ადრეული გაფრთხილებისა და ინფორმაციის გაზიარების სისტემა მოგვიანებით მოიწონა FATF-ის რამდენიმე წევრმა, რომლებიც ამ სისტემას შეუერთდნენ. მათთვის ეს სისტემა განსახილველად წარმოადგინეს FATF-ის სემინარზე ტერორიზმის დაფინანსების შესახებ პარიზში, 2004 წლის თებერვალში.⁸

აღსანიშნავია, რომ ადრეული გაფრთხილების სისტემა თავდაპირველად გამიზნული იყო იატაკქვეშა საბანკო საქმიანობასთან საბრძოლველად, თუმცა მას ასევე შეუძლია ძალზე ეფექტიანი ინსტრუმენტი გახდეს გადახდის ახალი სისტემების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გადახდის აღნიშნულ ახალ მეთოდებს, განსაკუთრებით კი, მათთვის, ვინც ინტერნეტს იყენებს, თავისთავად ძალიან ჰგავს იატაკქვეშა საბანკო ქსელებს. გადახდის ახალი მეთოდები შეიძლება გამოყენებული იქნას თანხების გადასარიცხად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასე, რომ ადრეული გაფრთხილების სისტემა ძალიან სასარგებლო და ეფექტიანი ინსტრუმენტია არა მარტო კოორდინირებული მუშაობისათვის, არამედ გადახდის ასეთი ახალი სისტემების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფულის გადარიცხვის ალტერნატიული სერვისებისა და იატაკქვეშა საბანკო საქმიანობის შესახებ ბერლინის სიმპოზიუმის საბოლოო დასკვნები, 2003 წლის 30-31 ოქტომბერი, IV პარაგრაფი;
2. FATF-GAFI Financial Action Task Force, money laundering and terrorist financing vulnerabilities of commercial websites and internet payment systems, 2008;
3. FATF-GAFI Financial Action Task Force, Report on New Payment Methods 2006;
4. Global Financial Crime Terrorism, Money Laundering and Offshore Centres, Donato Maciandaro 2004;
5. Financial havens, banking secrecy and money-laundering Double issue 34 and 35 of the crime prevention and criminal justice newsletter Issue 8 of the UNDCP technique series UNITED NATIONS, New York 1998.

შენიშვნები:

- ¹ Financial havens, banking secrecy and money-laundering Double issue 34 and 35 of the crime prevention and criminal justice newsletter Issue 8 of the UNDCP technique series UNITED NATIONS, New York 1998.
- ² Financial havens, banking secrecy and money-laundering Double issue 34 and 35 of the crime prevention and criminal justice newsletter Issue 8 of the UNDCP technique series UNITED NATIONS, New York 1998.
- ³ Global Financial Crime Terrorism, Money Laundering and Offshore Centres, Donato Maciandaro 2004.
- ⁴ FATF-GAFI Financial Action Task Force, Report on New Payment Methods 2006.
- ⁵ FATF-GAFI Financial Action Task Force, Report on New Payment Methods 2006.
- ⁶ აბრევიატურა ASEM იმიჯრება, როგორც აზია-ევროპის შეხვედრა (Asia-Europe Meeting), არაფორმალური ფორუმი ევროპულ და აზიურ იურისდიქციებს შორის დიალოგისათვის. დამატებითი ინფორმაცია ASEM-ის და მისი წევრების შესახებ იხილეთ, საიტზე www.aseminfoboard.org
- ⁷ ფულის გადარიცხვის ალტერნატიული სერვისებისა და იატაკქვეშა საბანკო საქმიანობის შესახებ ბერლინის სიმპოზიუმის საბოლოო დასკვნები, 2003 წლის 30-31 ოქტომბერი, IV პარაგრაფი.
- ⁸ FATF-GAFI Financial Action Task Force, money laundering and terrorist financing vulnerabilities of commercial websites and internet payment systems, 2008.

MONEY LAUNDERING THROUGH OFFSHORE ZONES


NINO OSADZE

Master of Law of the Hamburg University

Doctoral Candidate of the Law Department, TEUSU

The article outlines an acute problem such as offshore financial centers that are extremely popular worldwide. They are used for illegal money laundering and large amount of capital investing, which on their side represent to be the international economic crime.

It should be noted, that these types of centers are used not only in big industrial states, but in the ones with developing market economy, where cash flow, short-term loans, or currency exchange rates are unsteady. Offshore centers encourage the state capital to become less transparent, which naturally results in exploitation of the ownership system and make different jurisdictions contradictory to each other. Offshore zones, that are also frequently referred as offshore banks, envisage keeping assets in the framework of one legal jurisdiction, but at the same time these assets are circulated using the other jurisdictions as well.



გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა სამართლის დოქტორის, ლევან დარბაიძის მონოგრაფია „ალექსანდრე ამილახვრის სამართლებრივი შეხედულებები“, რომლის სამეცნიერო რედაქტორია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იაკობ ფუტყარაძე.

ნაშრომი კომპლექსური გამოკვლევის შედეგად შეიქმნა. მონოგრაფიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და წყაროთმცოდნეობის მთავარ ბაზისს წარმოადგენს ზოგად-სამეცნიერო მეთოდები. მეცნიერული კვლევისას გამოყენებულ იქნა შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და ისტორიული მეთოდები.

წიგნი ქართული სამართლის ისტორიის იმ ძირითადი საკითხების მეცნიერული ანალიზის შედეგია, რომელთაც თანამედროვე საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის საჭირობო პრობლემების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მონოგრაფიული ნაშრომის კვლევის ძირითადი მიზანია ალექსანდრე ამილახვრის სამართლებრივ შეხედულებათა აქტუალურობის მეცნიერულად დასაბუთება და იმის წარმოჩენა, თუ როგორ ჰქონდა მას ჩამოყალიბებული თავისი მოსაზრებანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოწყობის სამართლებრივი საფუძვლების, სახელმწიფო ხელისუფლების „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ შედეგად ჩამოყალიბების, სამეფო ხელისუფლების ბუნებისა და სამართლებრივი ფარგლების, მეფის არჩევის, ხელისუფლების დანაწილების, საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის უფლებათა დაცვის, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების, რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის, საკანონმდებლო და სისხლის სამართლის საკითხების, სამართლიანი სასამართლოს შექმნის აუცილებლობის, სასჯელის უმაღლესი ზომის – სიკვდილით დასჯის, ადამიანის ბუნებითი უფლებების და კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 92 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 99 70 01



917735121588009